

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ლევან ტარიელაძე

**ამერიკის შეერთებული შტატები და კოსოვოს კრიზისი
(1998-1999 წწ.)**

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,
ასოც. პროფესორი რევაზ დიასამიძე

ბათუმი - 2021

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლ. ტარელაძე

10.12.2021 წელი

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. კოსოვოს ისტორია და კრიზისის წინაპირობები.....	16
§ 1. კოსოვო უძველესი დროიდან 1918 წლამდე.....	16
§ 2. კოსოვო 1918-1991 წწ.....	21
თავი II. აშშ-იუგოსლავიის ურთიერთობები კოსოვოს კონფლიქტამდე.....	27
§ 1. ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობები ბიპოლარულ სამყაროში	28
§ 2. აშშ და კრიზისი იუგოსლავიაში 1990-ანი წლების პირველ ნახევარში	42
თავი III. კოსოვოს კონფლიქტი და აშშ-ს ლიდერობა მის გადაწყვეტაში	61
§ 1. აშშ-ს გააქტიურება კოსოვოს პრობლემის მიმართ 1998 წლიდან	62
§ 2. მოლაპარაკებები რამბუიეში.....	88
§ 3. აშშ-ნატო-ს სამხედრო ინტერვენცია და სამშვიდობო ძალების განთავსება	102
დასკვნა.....	121
გამოყენებული ლიტერატურა.....	126

შესავალი

„ცივი ომის“ დასრულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. საბჭოთა კავშირი დაიშალა, გერმანია გაერთიანდა, მმართველი რეჟიმები და პოლიტიკური სისტემები შეიცვალა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. იდეოლოგიასთან ერთად აღნიშნულ პროცესებში ფიგურირებდა, და ზოგჯერ დომინირებდა, ნაციონალური კომპონენტი. ცხადია, ეს ყველაფერი ამერიკული პოლიტიკის გავლენის არეალის გაფართოების და რუსეთის უკან დახევის შედეგად იყო. აღნიშნული პროცესები ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა, სისხლისღვრის აცილება შეუძლებელი გახდა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, ექვსი რესპუბლიკისგან (სერბეთი, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია) შემდგარ ცენტრალურევროპულ სახელმწიფოში, სადაც დეზინტეგრაციული პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არნახული სისასტიკითა და ტრაგედიებით განვითარდა. ევროპის შუაგულში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე განვითარებულმა ჰუმანიტარულმა კატასტროფამ შეძრა მთელი ევროპა და მსოფლიო.

„ცივი ომის“ პერიოდში იუგოსლავია კომუნისტური სახელმწიფო იყო, მაგრამ ვარშავის პაქტის ქვეყნებთან შედარებით, იგი საბჭოთა კავშირისგან, უფრო მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ექვსი რესპუბლიკის და ორი ავტონომიური პროვინციისგან (კოსოვო და ვოევოდინა - სერბეთის შემადგენლობაში) შემდგარ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად, იოსიპ ბროზ ტიტო ახერხებდა ამ სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებას. იგი ქვეყანას გარდაცვალებამდე, 1980 წლამდე ედგა სათავეში. სიტუაცია დაიძაბა სერბი სლობოდან მილოშევიჩის მოსვლის შემდგომ, რომელმაც გადაწყვიტა გაეძლიერებინა სერბთა პოზიციები.

დეზინტეგრაციული პროცესები ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე თავიდანვე სისხლიანი დაპირისპირებების ფონზე წარიმართა. 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სლოვენიამ, ხორვატიამ და მაკედონიამ. 1992 წელს კი ბოსნია და ჰერცეგოვინამ. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღესვე, სლობოდან

მილოშევიჩმა გაგზავნა იუგოსლავიის სახალხო არმია სლოვენიაში, მაგრამ იმის გამო, რომ სლოვენია სერბეთს არ ესაზღვრება, სერბთა თემი სლოვენიაში შედარებით მცირერიცხოვანია და სლოვენის არმიაც კარგად იყო მომზადებული თავდაცვისათვის, ფართო მასშტაბიანი საომარი მოქმედებები არ წარმოებულა და ომმა სულ ათ დღეს გასტანა, რის შემდგომაც მხარეები დაზავდნენ. 1992 წელს კი სლოვენის დამოუკიდებლობა აღიარეს ევროპულმა სახელმწიფოებმა. შედარებით უფრო მასშტაბური იყო ხორვატიის ომი, სადაც ხორვატები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ სერბებს, რომელთაც ცალკე რესპუბლიკის შექმნა მოისურვეს ხორვატიის ტერიტორიაზე. ამ ბრძოლაში ხორვატებმა თავდაუზოგავი ბრძოლისა და საერთაშორისო მხარდაჭერის ხარჯზე დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მაგრამ დანაკარგი ორივე მხრიდან ათასობით გარდაცვლილს, ათიათასობით დაჭრილსა და დევნილს შეადგენდა. სლოვენისა და ხორვატიის შემდგომ იყო ბოსნიის ომი, რომელიც ყველაზე ჩახლართული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ბოსნია და ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში 1991 წლისთვის 4,4 მლნ ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის წარმოდგენილი იყო სამი დიდი ჯგუფი - ბოსნიელი მუსლიმები (44%), სერბები (31%) და ხორვატები (17%), რომლებმაც ქვეყანაში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების კვალდაკვალ გადაწყვიტეს საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკები შეექმნათ. ტერიტორიული დავების გამო მათ გააჩაღეს სასტიკი ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ. ომი სამ წელიწადნახევრის განმავლობაში მასობრივი ეთნიკური წმენდით მიმდინარეობდა და მხოლოდ 1995 წელს, ნატო-ს მცხიერი ჩარევის შედეგად დასრულდა დეიტონის შეთანხმებით.

სლოვენის, ხორვატიის და ბოსნიის ომების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევის შანსი გაუჩნდათ სერბეთის ავტონომიურ მხარეში - კოსოვოში მცხოვრებ ეთნიკურ უმრავლესობას - ალბანელებს, რომლებიც თავიანთი სეპარატისტული მიზნების გამო ხშირად განიცდიდნენ რეპრესიებს იუგოსლავიის მთავრობის მხრიდან, რომელსაც სერბი სლობოდან მილოშევიჩი ედგა სათავეში. ალბანელთა სეპარატისტული განწყობები, რომელიც მათ ყოველთვის გააჩნდათ, განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 1989 წელს სერბეთმა გააუქმა კოსოვოს ავტონომიური სტატუსი, რასაც კოსოვოელ ალბანელთა დიდი აღშფოთება მოჰყვა.

ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირებამ კოსოვოში პიკს მიაღწია 1998 წლის თებერვალში და ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

კოსოვოს კონფლიქტმა სწრაფად შეიძინა საერთაშორისო ხასიათი. მასში პირდაპირ ან ირიბად იქნენ ჩაბმულნი ევროპის და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციები და ა.შ. თუმცა კოსოვოს კრიზისის გადაწყვეტაზე მოქმედი მთავარი გარე ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იყო, რომელიც ნატო-ს მთავარ, მამოძრავებელ ძალას და „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ, საერთაშორისო პოლიტიკის ლიდერ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

კოსოვოს კრიზისი გახდა მეორე მასშტაბური მოვლენა ბალკანეთში ბოსნიის ომის შემდეგ, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები ღებულობდა მონაწილეობას 1990-ან წლებში. რაც იყო, გარკვეულწილად ლოგიკური გაგრძელება აშშ-ს პოლიტიკის რეგიონში. 1998-1999 წლებში კოსოვოში განვითარებული მოვლენების მძიმე შედეგები დღემდე იგრძნობა, საკითხი კი მიუხედავად კოსოვოს დამოუკიდებლობის მრავალი სახელმწიფოს მიერ აღიარებისა, არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი.

საკვლევი თემის აქტუალობა. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან აშშ დღემდე რჩება ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიმდინარე პროცესებზე. XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, აშშ ძალიან მოკლე დროში გადაიქცა რეგიონული აქტორიდან საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ, განმსაზღვრელ სახელმწიფოდ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გახდა დასავლური სამყაროს ცენტრი და ლიდერი საერთაშორისო ურთიერთობათა ბიპოლარულ სისტემაში. XX საუკუნის ბოლოს, „ცივი ომი“-ს დასრულების შემდგომ კი, აღმოჩნდა ვითარებაში, სადაც მისი სამხედრო-ეკონომიკური განვითარება ბევრად აღემატებოდა ნებისმიერი სხვა ქვეყნისას, რის გამოც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო მნიშვნელოვანი თავისუფლება თავის საგარეო პოლიტიკურ ქმედებებში და პოსტბიპოლარული

სამყაროს ლიდერ სახელმწიფოდ იქცა.

იუგოსლავიის ომებიდან, თავისი სისასტიკით, მასშტაბურობითა და საერთაშორისო ჩართულობით, გამორჩეულია კოსოვოს მოვლენები, რომელიც „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას ყველაზე რეზონანსული მოვლენაა. შესაბამისად, აშშ-ის პოლიტიკა აღნიშნულ კონფლიქტთან მიმართებაში, ვფიქრობთ უდაოდ საინტერესო და აქტუალურია. თავისი პრეცედენტებით და შედეგებით, ამ კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მასში უშუალოდ ჩართულ მხარეებზე, არამედ სრულიად სხვა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც, რის გამოც ის იმსახურებს ჩვენს ყურადღებას და ვფიქრობთ, საჭიროებს მეტ განხილვასა და შეფასებას, ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

კვლევის მიზანი. ნაშრომის მიზანია გავაანალიზოთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებები XX საუკუნის 90-ან წლებში, მაშინ როდესაც ფაქტიურად აღარ არსებობდა მისი საგარეო პოლიტიკის შემზღუდავი ძალა მსოფლიოში. იმ დროინდელი აშშ-ს საგარეო პოლიტიკიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, პოლიტიკა რეგიონულ ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში. ასეთი XX საუკუნის 90-ან წლებში რამდენიმე იყო, მაგრამ გადავწყვიტეთ განგვეხილა და შეგვესწავლა აშშ-ს მოქმედებები 1998-1999 წლებში სერბეთის ავტონომიურ მხარე კოსოვოში განვითარებულ კონფლიქტთან მიმართებაში, რომელიც ერთი შეხედვით ყველაზე მეტად გავს ქართულ კონფლიქტებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, და რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე. ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და მხარდამჭერი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და სურენიტეტისა. გამომდინარე აქედან, ჩვენი მიზანია კოსოვოს კონფლიქტის მაგალითზე გავაანალიზოთ მისი მოქმედებები სხვა ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვანია ქართულ კონფლიქტებთან პარალელების გავლებისა და სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობისათვის.

კვლევის მეთოდები. წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები;

კრიტიკულად იქნა გაანალიზებული საკვლევ თემასთან შეხებაში არსებული მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები, მემუარები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა შედარება და ანალიზი მნიშვნელოვანია მოვლენათა სიზუსტისა და ობიექტური შეფასებისათვის.

მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ კვლევას ქართულ სამეცნიერო სივრცეში, რომელშიც ქართულ, ინგლისურ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებზე დაყრდნობით განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებები და მისი ლიდერული როლი 1998-1999 წელს კოსოვოს კონფლიქტის გადაწყვეტაში, რაც საშუალებას იძლევა გავიგოთ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ თავისებურებები 1990-ან წლებში. ნაშრომში დინამიურად არის გაანალიზებული „ცივი ომის“ დასასრულს, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებული დეზინტეგრაციული პროცესები, რაც საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეგვექმნას იმ დროისათვის იუგოსლავიაში არსებულ ზოგად პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რამაც თავისი გავლენა მოახდინა შემდგომში კოსოვოს კონფლიქტის განვითარებაზე. ობიექტურადაა განხილული კოსოვოს კონფლიქტის განვითარების წინაპირობები, პროცესი და ჩართული მხარეების პოლიტიკური ინტერესები.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებული იქნას საკითხით დაინტერესებული პირების მიერ, როგორ ინფორმაციული და სამეცნიერო წყარო, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის და ეთნიკური კონფლიქტების შესწავლისას.

საკითხის შესწავლის ისტორია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოსოვოს კონფლიქტი 1998-1999 წლებში „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული მოვლენაა. შესაბამისად, საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროებიც არაერთგვაროვანია. საკითხის კვლევისას მოძიებული და განხილული იქნა 300-ზე მეტი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, სტატიები ანგარიშები, ინტერვიუები, საჯარო განცხადებები, მემუარები და სხვადასხვა დოკუმენტები. მათი ძირითადი ნაწილისათვის დამახასიათებელია 2 ტენდენცია: პირველი, არიან ავტორები, რომლებიც ცდილობენ ბოლომდე გაამართლონ აშშ-ნატო-ს სამხედრო მოქმედებები და ასეთი, რა თქმა უნდა

უპირველესად არიან ამერიკელი და დასავლეთ ევროპელი ავტორები, თუმცა ამერიკელებს შორისაც არიან აშშ-ს საგარეო პოლიტიკის და კონკრეტულად კოსოვოსთან მიმართებაში მისი მოქმედებების კრიტიკოსები; ხოლო, ავტორები, რომლებიც მიყვებიან მეორე ტენდენციას, რაც გულისხმობს აშშ-ს და ნატო-ს დამნაშავედ გამოცხადებას უსამართლო მოქმედებებსა და ომის გაჩაღებაში, გვხვდებიან ძირითადად რუსულ და თავისთავად სერბულ წყაროებში. ინგლისურ და რუსულ ობიექტური სულისკვეთების ნაშრომი, სადაც განხილულია კონფლიქტში ჩართული მხარეების და მათი მოქმედებების, როგორც დადებითი, ასევე უარყოფით მხარეები, თითქმის არ გვხვდება. რეალურად კი, წარმოუდგენელია ომსა და სისხლისღვრაში რომელიმე მხარე იყოს ბოლომდე მართალი. კოსოვოს კრიზისთან და ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქართულ სამეცნიერო სივრცეში სამწუხაროდ არ გვხვდება ბევრი ნაშრომი, მაგრამ თითქმის ყველა ავტორს მაქსიმალურად დაბალანსებული და ობიექტური პოზიცია უჭირავს საკითხთნ მიმართებაში.

კოსოვოს ისტორიის შესახებ ქართულენოვანი ნაშრომებიდან, აღსანიშნავია 2006 წელს მკვლევარ დაზმირ ჯოჯუას გამოქვეყნებული ნაშრომი: „კოსოვოს პრეცედენტი“, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს კოსოვოს შესაძლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგებს მთელ მსოფლიოში სეცესიონისტური მოძრაობების სტიმულირების კუთხით. ავტორი მკაფიოდ აღნიშნავს კოსოვოს კონფლიქტის მნიშვნელობას საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს კოსოვოს კონფლიქტის ისტორიის მიმოხილვის ერთ-ერთ პირველ მცდელობას ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ავტორი მოკლედ, თუმცა კონკრეტული აქცენტების დასმით, მიმოხილავს კოსოვოს კონფლიქტის ისტორიის საკვანძო საკითხებს უძველესი პერიოდიდან დღემდე და გამოკვეთს იმ ძირითად ფაქტორებსა და ეტაპებს, რამაც XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიო კოსოვოს კრიზისამდე მიიყვანა. ავტორი მკაფიოდ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ „კოსოვოს დამოუკიდებლობის

აღიარება არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევა და, ამდენად, არაკანონიერი, მართლსაწინააღმდეგო აქცია“.

კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით აღსანიშნავია ალექსანდრე ორახელაშვილის ნაშრომი: „აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე“ გამოქვეყნებული 2001 წელს. ნაშრომი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის კონტექსტში, კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების შედარებითი ანალიზის კვლევის ერთ-ერთ პირველ მცდელობას. ავტორი ფართოდ მიმოიხილავს აღნიშნულ კონფლიქტების საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს და ხაზს უსვამდა ამ კონფლიქტების როლს საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში. ამ კუთხით, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს დასავლეთისა და რუსეთის ინტერესებზე კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებში და ნაშრომის დასაწყისშივე უსვამს ხაზს კოსოვოს კონფლიქტისადმი საერთაშორისო საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობას აფხაზეთის კონფლიქტთან შედარებით. ნაშრომი მიმოიხილავს სეცესიის შესაძლებლობასა და ლეგიტიმურობას იმ ეთნიკური ჯგუფების მიერ, რომლებიც ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევების მსხვერპლს წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ამასთან ერთად, აანალიზებდა რა ნატო-სა და დასავლეთის პოლიტიკას კოსოვოს მიმართ, ავტორი ასკვნის, რომ იმ დროისთვის ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის არცერთი დოკუმენტი არ იძლეოდა საფუძველს დასავლეთის მიერ კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების გადაწყვეტილების განსაჭრეტად.

ამასთან ერთად, ავტორი საინტერესოდ აანალიზებს იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს პოზიციას იუგოსლავიაში ნატო-ს სამხედრო ინტერვენციის მიმართ. ავტორის თქმით, ნატო-ს სამხედრო ინტერვენციის გამართლება საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური წრეების მიერ მოხდა გარკვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა, რაც გარკვეულ წრეებში მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნეოდა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის უფლებების აღდგენის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ალექსანდრე ორახელაშვილი ორი კონკრეტული კუთხით აკრიტიკებს საქართველოს მაშინდელი მმართველი წრეების ამ

გადაწყვეტილებას: 1. „საქართველოს პოლიტიკურ წრეებს გამორჩათ, რომ დიდი მასშტაბის სამხედრო აქციების წამოწყება ხდება უპირატესად პოლიტიკური დაინტერესების გამო და არა ჰუმანიტარული მოსაზრებებით, თუმცა ადამიანის უფლებები შეიძლება ასეთი სანქციების საბაზად იქცეს“; და 2. „აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე ნატო-ს იუგოსლავიის წინააღმდეგ აქციის მეშვეობით, შესაძლო პრეცედენტის შექმნის თვალსაზრისით, მოხდა იმ გარემოებების იგნორირება, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების პრეცედენტული ღირებულება განისაზღვრება არა იმით, თუ ვინ ახორციელებს მას და ვინ სარგებლობს ამით, არამედ, უპირველესად, იმით, თუ რა პრინციპის შესაბამისად ხორციელდება ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და რა ახალი პრინციპების დამკვიდრებას თუ არსებული პრინციპების რა წესითა და მოცულობით შეცვლას შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ. იმის არგანჭვრეტა, თუ რა მოცულობით დააზიანებდა ნატო-ს აქცია იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას, უტოლდება იმის შეუფასებლობას, თუ რა ადგილი შეიძლება დაიკავოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ შეერთებული შტატებისა და ნატო-ს საგარეო-პოლიტიკურ ტრადიციაში, რომელიც სხვა მსგავსი ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტისას უცილობლად თავს იჩენს. სამწუხაროდ, სწორედ ამის იგნორირებას ჰქონდა ადგილი საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ“.

ქართველი ავტორებიდან ასევე აღსანიშნავია, მკვლევარ კახაბერ ყალიჩავას დისერტაცია - „კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ გამოქვეყნებული 2019 წელს, რომელიც წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას ისტორიოგრაფიაში, სადაც ძალიან საინტერესოდ და სიღრმისეულად არის მოცემული კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების (აფხაზეთი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“) ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და წარმოჩენილია მათი საერთო და განმასხვავებელი ისტორიული მახასიათებლები. გარდა ამისა, ნაჩვენებია აღნიშნული კონფლიქტების მიმართ თანამედროვე რუსული პოლიტიკური შეხედულების უსაფუძვლობა.

2000 წელს საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკელი სპეციალისტების ივო

დაალდერის და მაიკლ ოჰანლონის ავტორობით გამოვიდა წიგნი „ცუდი მოგება: ნატოს ომი კოსოვოს გადასარჩენად“ (Daalder I., O'Hanlon 2000) სადაც, ავტორები ნატოს ოპერაციის მომხრეებად გამოდიან და დადებით შეფასებას აძლევენ, როგორც იუგოსლავიის არმიის, ასევე ბელგრადისა და სხვა ქალაქების დაბომბვებს. მათი აზრით, კრიზისის გამწვავება ცხადყოფდა ნატოს ჩარევის აუცილებლობას. ისინი ომის შედეგებს განიხილავენ, როგორც ნატოს გამარჯვებას არა უშუალოდ ამ ოპერაციაში, არამედ როგორც ორგანიზაციის ზოგად პოლიტიკასა და მიზნებთან მიმართებაში. ამასთანავე, ავტორების მტკიცებით, შესაძლოა გამარჯვება არ მიღწეულიყო, რომ არა წარმატებული დიპლომატია სამხედრო მოქმედებების პარალელურად. ავტორები აღნიშნავენ, რომ ნატოს წევრების ერთსულოვნებით რუსეთმა საბოლოოდ დაუჭირა მხარი ალიანსს, რითაც გაძლიერდა დიპლომატიური ზეწოლა იუგოსლავიაზე. ამრიგად, ნატომ გაიმარჯვა სხვადასხვა ფაქტორთა წარმატებული კომბინაციის ხარჯზე. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნაშრომის დაწერისა და გამოცემის დროს იყო დაალდერი იყო აშშ-ს XXI საუკუნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების კომისიის წევრი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი შეფასებები კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში ასახავდა თეთრი სახლის ოფიციალურ პოზიციას.

იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატო-ს ინტერვენციის კიდევ ერთი მხარდამჭერი ჯეიმს სტეინბერგი თავის სტატიაში (Steinberg 1999) აფიქსირებს, რომ ნატო-ს გამარჯვებაში არაფერია საზეიმო, ვინაიდან ბევრმა ადამიანმა დაკარგა სიცოცხლე და საცხოვრებელი კოსოვოში, თუმცა ნატო-ს ხისტი მოქმედებები იყო ერთადერთი სწორი გზა კრიზისის დასასრულებლად. სამხედრო ინტერვენციას წინ უძღოდა აშშ-ს და ევროპის დიპლომატიური ძალისხმევა, რომელიც დაიწყო 1998 წლის მარტში და დასრულდა ერთი წლის შემდეგ რამბუიეში. ავტორი ამტკიცებს, რომ მოლაპარაკებები საფრანგეთში ჩავარდა ბელგრადის ბრალეულობით, მაშინ როდესაც კოსოვოელმა ალბანელებმა მიიღეს შეთანხმების პირობები და პრინციპები. ნატო-ს მიზანს წარმოადგენდა არა იუგოსლავიის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შელახვა, არამედ რეპრესიების შეჩერება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დაცვა მისი შედეგებისგან. ამერიკელებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მოკლე

დროში აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა შეძლეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობის წინააღმდეგ ყველაზე საშინელი დანაშაულებების შეჩერება ევროპაში. სტეინბერგის აზრით, ნატოს უმოქმედობით სერბები გააგრძელებდნენ ალბანელთა რეპრესიებს და მილიონზე მეტი კოსოვოელი გაქცეული იქნებოდა მთებში, სახლში დაბრუნების იმედის გარეშე. ნატო-ს უმოქმედობა გამოიწვევდა იძულებულ ჩაბმას კონფლიქტში მეზობელი ახალგაზრდა დემოკრატიებისა, რომლებსაც საკუთარ ტერიტორიაზე დევნილთა დიდი ნაკადების შემოსვლა ემუქრებოდათ. რასაც, თავის მხრივ შესაძლოა უფრო დიდი ომი გამოეწვია რეგიონში. სტეინბერგი ირწმუნება, რომ ნატო-ს უხეში ჩარევის გარეშე, ბალკანეთი დანაწევრდებოდა ხანგრძლივი კონფლიქტით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა კი გაივსებოდა დევნილებით და გადაიქცეოდა ქაოსურ და არასტაბილურ სივრცედ. ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიები თავს იგრძნობდნენ დასავლეთისგან მიტოვებულად, აშშ-ს ურთიერთობები კი ევროპასთან და რუსეთთან გაუარესდებოდა. ამრიგად, აღნიშნული სტატია წარმოადგენს არგუმენტების ნაკრებს კოსოვოში აშშ-სა და ნატო-ს მოქმედებების სასარგებლოდ და უნდა აღინიშნოს, რომ ეს არგუმენტები არ არის უსაფუძვლო.

ელიოტ კოენი ამერიკულ პოლიტიკას განიხილავს უფრო ფართო გაგებით. თავის ნაშრომში „კოსოვო და ომის ახალი ამერიკული მეთოდი“ (Cohen 2001) ის ამტკიცებს, რომ სხვა ომებისგან განსხვავებით, რომლებსაც აშშ აწარმოებდა „ცივი ომის“ პერიოდში, კოსოვოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამერიკული ინტერესები არ იყო საფრთხის ქვეშ. ავტორი ვარაუდობს, რომ ნატო-ს ინტერვენცია ემსახურებოდა საბჭოთა იმპერიის ნარჩენების დაშლის დაჩქარებას.

დასავლურ წყაროებში არიან სხვა უამრავი ავტორები, რომლებიც ემხრობიან და ამართლებენ ნატოს ინტერვენციას იუგოსლავიაში, თუმცა არიან კრიტიკოსებიც. მაგალითად, ამერიკელი პოლიტოლოგი მაიკლ პარენტი თავის ნაშრომში „ნაციის მკვლელობა - თავდასხმა იუგოსლავიაზე“ (Parenti 2002) აშშ-ს ადანაშაულებს არამხოლოდ იუგოსლავიის მიზანმიმართულ დაშლაში, არამედ ბალკანეთზე სამოქალაქო ომის გაჩაღებაში. მისი აზრით აშშ-ს პოლიტიკაში არ იყო არც დემოკრატია და არც ჰუმანიზმი, იყო მხოლოდ თეთრი სახლის ინტერესები.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ნოამ ჩომსკი თავის ნაშრომში „ახალი ამერიკული ჰუმანიზმი: კოსოვოს გაკვეთილები“ კოსოვოს კონფლიქტის მაგალითზე ცდილობს დაამტკიცოს, რომ აშშ და მისი მოკავშირეები იბრძოდნენ არა კოსოვოელთა უფლებებისთვის, არამედ საკუთარი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის. რამბუიეს მოლაპარაკებების მაგალითზე, ის აკრიტიკებს აშშ-ნატოს მიერ მიზნის მიღწევის არამხოლოდ სამხედრო მეთოდებს, არამედ დიპლომატიურსაც.

რაც შეეხება რუსულ წყაროებს, აქ ყველაზე ვრცელი და სიღრმისეული ნაშრომები აქვს რუს მეცნიერ ელენა გუსკოვას. თავის ნაშრომებში „იუგოსლავიის კრიზისის ისტორია“ (Гуськова 2001) და „ნატოს აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ 1999 წელს“ (Гуськова 2013) ავტორი მკაცრად აკრიტიკებს და დანაშაულს უწოდებს აშშ-ს პოლიტიკას და ნატო-ს სამხედრო ინტერვენციას, ალბანელთა სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ უწოდებს უსაფუძვლოს და უკანონოს. კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით სხვა რუს მეცნიერთა ნაშრომებიც ანალოგიური პათოსის მატარებელია.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, 2 თავის და დასკვნისაგან. შესავალ ნაწილში მოცემულია ნაშრომის მცირე რეზიუმე, საკვლევი თემის აქტუალურობა, კვლევის მეთოდები, მეცნიერული სიახლე და გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა. I თავი - „აშშ-იუგოსლავიის ურთიერთობები კოსოვოს კონფლიქტამდე“ შედგება 2 პარაგრაფისაგან, რომლებშიც განხილულია აშშ-ს პოლიტიკა იუგოსლავიასთან მიმართებაში „ცივი ომის“ პერიოდში და „ცივი ომის“ დასრულების შემოდგომ, იუგოსლავიაში განვითარებული დეზინტეგრაციული პროცესებიდან კოსოვოს კონფლიქტამდე. II თავი - „აშშ-ს როლი კოსოვოს კონფლიქტის დასრულებაში“ შედგება 3 პარაგრაფისაგან, სადაც პირველ პარაგრაფში განხილულია აშშ-ს პოლიტიკის გააქტიურება იუგოსლავიის მიმართ კოსოვოში ვითარების გამწვავების პარალელურად, მეორე პარაგრაფი მოიცავს იმ ბოლო და უმთავრეს მოლაპარაკებებს (მოლაპარაკებები რამბუიეში), რომლის წარუმატებლად დასრულების შედეგობაც ნატო-მ დაიწყო იუგოსლავიის დაბომბვა. მესამე პარაგრაფში კი, განხილულია ნატო-ს 78 დღიანი სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ და აშშ-ს ლიდერული როლი ამ ოპერაციაში. დასკვნაში განხილული და შეჯამებულია

აშშ-ს პოლიტიკა კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში და მისი შედეგები იუგოსლავიისთვის, ასევე კონფლიქტის და მისი შემდგომი პროცესების ნეგატიური გავლენა საქართველოზე.

თავი I. კოსოვოს ისტორია და კრიზისის წინაპირობები

§ 1. კოსოვო უძველესი დროიდან 1918 წლამდე

საუკუნეების განმავლობაში კოსოვოს რეგიონში ცხოვრობდა როგორც ეთნიკურად სერბი, ასევე ალბანელი მოსახლეობა, რომელთა ურთიერთობასაც ამ ორი ხალხის ისტორიის ლაბირინთებში შევყავართ.

ანტიკურ პერიოდში კოსოვოს ტერიტორიაზე, თანამედროვე სერბულ-ალბანურ კონფლიქტში მონაწილე მხოლოდ ერთი ხალხის – ალბანელების სავარაუდო წინაპრები ცხოვრობდნენ ილირიელებისა და დარდანების სახით, რომლებიც ბერძნულ-რომაული ცივილიზაციების თვალსაწიერში ექცეოდნენ. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ამ ხალხებს იხსენიებენ ანტიკური ავტორები – ფსევდოსქილაკსი (**Wilkes 1995:94**) და აპიანე ალექსანდრიელი (**Аппиан 1994**). ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე კოსოვოს რეგიონი ოფიციალურად შედის რომის იმპერიის შემადგენლობაში. ამ პერიოდში, არც ალბანურ და მითუმეტეს არც სერბულ სახელმწიფოებრიობაზე საუბარი ამ ეტაპზე, უბრალოდ არ არის. ისტორიული წყაროების მიხედვით, მსგავსი სახელწიფო წარმონაქმნები ამ პერიოდში კოსოვოს მიწაზე არ ფიქსირდება.

ალბანელთა პირველი მოხსენიება საისტორიო წყაროებში გვხვდება XI სა- უკუნის ბიზანტიელ ავტორთან მიქაელ ატალიატესთან, რომელიც ალბანელებს „ალ- ბანო“-ს სახელით მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ეს ხალხი მონაწილეობდა 1078 წლის ანტიბიზანტიურ ამბოხებაში. მათი განსახლების არეალს, ატალიატეს მიხედვით, წარმოადგენდა თანამედროვე ალბანური დურესის ტერიტორია, რომელიც კოსოვოდან სამხრეთ-დასავლეთით, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა (**Kaldellis, Krallis 2012:29**).

ალბანელთა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არბერის სამთავრო, დედაქალაქით კრუაში დაფუძნდა 1190 წელს. აღნიშნული ტერიტორიული ერთეული ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. სამთავროს უკიდურესი ჩრდილოეთ საზღვარი გადიოდა მდ. დრინზე, ხოლო უკიდურესი დასავლეთ საზღვარი კი – ოჰრიდის ტბაზე, რაც მიგვანიშნებს, რომ კოსოვოს ტერიტორია (ან

თუნდაც მისი ნაწილი) არ შედიოდა პირველი ალბანური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემადგენლობაში.

ალბანელთა ილირიული წარმომავლობის გათვალისწინებით, ეს ხალხი ისტორიულად ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ პირველ აღმსარებლად მიიჩნევა ევროპაში. როგორც ცნობილია, ალბანეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებულია პავლე მოციქულის სახელთან, რომელიც გადმოცემის მიხედვით ქადაგებდა რომის პროვინციის – ილირიის მიწაზე (**Cross F.L. 2005:228**). ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად თანამედროვე ალბანეთის ტერიტორიაზე გამოცხადდა IV საუკუნის 20-იან წლებში. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილების – „დიდი სქიზმის“ შემდეგ, ალბანეთის ტერიტორია რელიგიურად ორ ნაწილად – კათოლიკურ ჩრდილოეთად და მართლმადიდებლურ სამხრეთად გაიყო (**Ramet S. 1998:202**).

სერბული წყაროების მიხედვით, ალბანელი ხალხის წინაპრებად უნდა ჩაითვალოს დასავლეთ ბალკანეთში ანტიკურ და შუა საუკუნეებში მცხოვრები ხალხები და მათ შორის ილირიელებიც, თუმცა სერბული სამეცნიერო და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით, სლავების ბალკანეთში გამოჩენის შემდეგ (VI საუკუნე), სწორედ სამხრეთ-სლავები დომინირებდნენ კოსოვოს რეგიონში, ხოლო თანამედროვე ალბანელები აქ მხოლოდ და მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ (**Vickers 1998:1**).

ზოგადად სლავები თანამედროვე ევროპაში ხალხთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ისინი იყოფიან სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯგუფებად. სერბები სლავების სამხრეთ ჯგუფში ერთიანდებიან – ბულგარელებთან, სლოვენელებთან, მაკედონელებთან, მონტენეგროელებთან, ბოშნიაკებთან და ხორვატებთან ერთად.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კოსოვოს ტერიტორია ხალხთა სხვადასხვა მასების მიგრაციების ასპარეზს წარმოადგენდა. VI-VII სს ამ ტერიტორიაზე იწყება სლავების დასახლება, რომელთაც პროკოპი (**James 2014:96**) სკლავენების სახელით მოიხსენიებს. ამ დროისთვის, კოსოვოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ილირიელები უკვე ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლები არიან,

მაშინ, როდესაც ახალმოსულ სლავებში (სერბებში) ქრისტიანობა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისში ვრცელდება.

თავად სახელი „კოსოვო“, როგორც ცნობილია, მომდინარეობს სერბული სიტყვიდან „კოს“ და ითარგმნება, როგორც „შავი შავი“ (**Judah T. 2008:31**). სერბები ყოფილ სერბულ რეგიონს „კოსოვოსა და მეტოხიის“ სახელით მოიხსენიებდნენ. სიტყვა „მეტოხია“, თავის მხრივ, ბერძნული ენიდან მომდინარეობს (metochion) და საეკლესიო, სამონასტრო მიწებს აღნიშნავს (**Batakovic D. 2012:16**). ალბანელები რეგიონს დარდანიის სახელითაც მოიხსენიებენ. მოიაზრება, რომ dardha/dardā – პროტოალბანურად ნიშნავს „მსხალს“ (**Orel V. 1998:56**).

VII-XI საუკუნეებში კოსოვოს რეგიონი ბიზანტიის იმპერიიდან იმართება და, ამასთან ერთად, რეგიონში ეთნიკურად სერბი მოსახლეობის ხვედრითი წილი მკვეთრად იმატებს. ანა კომნენეს ცნობის მიხედვით, XI საუკუნის დასაწყისში კოსოვოს მოსახლეობის უმრავლესობა უკვე სერბია (**Anna Comnena. The Alexiade. Book II, გვ. 47**).

უშუალოდ სერბული სამეფოების შემადგენლობაში კოსოვოს რეგიონი ექცევა მხოლოდ და მხოლოდ XII-XV საუკუნეებში. სერბეთის სამეფოს განსაკუთრებული აღმავლობა დაკავშირებულია ნემანიჩების დინასტიასთან (1166-1371) სწორედ ამ პერიოდში ხდება სერბული საეკლესიო-ადმინისტრაციული ცენტრის დაფუძნება კოსოვოს მიწაზე (**ყალიჩავა 2019:69**).

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში უკვე ცალ-ცალკე არსებობს ალბანელთა და სერბთა სახელმწიფოები რეგიონში. საერთო რელიგიის მიუხედავად, ეს ორი ხალხი პრაქტიკულად ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს ორი სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ერთეულით. კოსოვოს რეგიონში ამ დროს უკვე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სერბი იყო, თუმცა, როგორც სერბ მეფეთა „ოქროს ბულებიდან“ (1330, 1348) ირკვევა, ალბანელთა დასახლებები კოსოვოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე.ი. ალბანეთის ჩრდილოეთ საზღვართან ახლოს, მაინც ფიქსირდებოდა.

XIV ს-ის ბოლოს სავრასა (1385) და კოსოვოს ველის (1389) ბრძოლებში ოსმალეთის იმპერიასთან დამარცხების შემდეგ, ალბანელებსა და სერბების საერთო მტრად

გვევლინება „ბრწყინვალე პორტა“. ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთში გამოჩენის შემდეგ, სრულიად ახალი ეტაპი იწყება, როგორც ალბანელების, ისე სერბების და, შესაბამისად, კოსოვოს რეგიონის ისტორიაში (ყალიჩავა 2019:69).

XVII საუკუნიდან მოყოლებული კოსოვოს ტერიტორიაზე ხდება მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სერბების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. საუბარია XVII-XVIII საუკუნეებში სერბთა იძულებით გადასახლებაზე კოსოვოს ტერიტორიიდან. აღნიშნული მოვლენის სტიმულირებას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიის მიერ კოსოვოში გამუსლიმებული ალბანელების ჩასახლების (ძირითადად ჩრდილოეთ ალბანეთის ტერიტორიიდან) მიზანმიმართული პოლიტიკა. შედეგად, XIX საუკუნის დამდეგისთვის, კოსოვოს ტერიტორიაზე სერბული მოსახლეობის ხელოვნურად შემცირების ხარჯზე ალბანური მოსახლეობის ხვედრითი წილის ასევე ხელოვნურად ზრდა შეინიშნება.

XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, კოსოვოს ვილაიეთი პორტას დაქვემდებარებული ალბანელი ბეგების მიერ იმართებოდა. ამასთან ერთად, კოსოვოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური სერბები წარმოადგენდნენ. ამის გათვალისწინებით, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა კოსოვოს რეგიონის მიმართ წარმოადგენს Divide et Impera-ს (დაყავი და იბატონე) იმპერიული პრინციპის მკვეთრ გამოხატულებას. გარდა ამისა, სერბული მოსახლეობის სიჭარბის მიუხედავად, კოსოვოს რეგიონის ქალაქები პრიზრენი და პეია, 1870-იანი წლების ბოლოს ალბანური ეროვნული მოძრაობის კერებად გვევლინება. სწორედ ამ ქალაქებიდან დაიწყო ალბანელთა ბრძოლა სახელმწიფოებრიობისთვის, რასაც მათ საბოლოოდ 1912 წელს მიაღწიეს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კოსოვოს ვილაიეთი ნაწილობრივ ექცეოდა ახლადშექმნილი ალბანური სახელმწიფოს შემადგენლობაში. მხოლოდ 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის დახმარებით მოხდა კოსოვოს სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შეყვანა, მანამდე კი მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში, კოსოვოს რეგიონი მუდმივად ალბანელთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმის საყრდენად გამოიყენებოდა (ყალიჩავა 2019:104).

XX საუკუნის დასაწყისში, ბალკანეთში მიმდინარე მოვლენების გამო, კოსოვოს რეგიონის ნაწილი და ზოგადად სერბი და ალბანელი ხალხის დაპირისპირება სრულიად ახალ ისტორიულ ეტაპზე გადავიდა. 1908 წელს სულთნის ხელისუფლების დამხობისა და ოსმალეთის იმპერიის სათავეში „ახალგაზრდა თურქთა“ მოსვლის შემდგომ, გააქტიურდა ალბანელთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც 1912 წელს ალბანელთა პირველი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

ახლადშექმნილი ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კოსოვოს რეგიონის ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, უმეტესწილად სერბებით იყო დასახლებული. ამასთან ერთად, თავად ალბანეთის სახელმწიფოს შექმნის ფაქტი დაკავშირებულია იმდროინდელი გლობალური, მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ბანაკის – სამთა კავშირისა და ანტანტის – დაპირისპირებასთან. ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ნაწილს ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ჩართვა იმ დიდი პოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო, რითაც სამთა კავშირის ბლოკის ქვეყნები – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია – მოქმედებდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნების – საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სერბეთის მოკავშირე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ (ყალიჩავა 2019:105).

იმავე დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილად გვევლინება 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის გადაცემა სერბეთის სამეფოსთვის, სადაც ჯერ კიდევ 1903 წლიდან მოყოლებული, ტახტზე ყარაგეორგევიჩების მმართველი დინასტია გვევლინება. სერბეთის მეფე პეტრე ყარაგეორგევიჩი საკუთარ საგარეო პოლიტიკაში მკვეთრ პრორუსულ კურსს ატარებდა, რისი პირდაპირი შედეგიც იყო მეფის რუსეთის ძალისხმევა ლონდონის კონფერენციაზე კოსოვოს სერბეთის სამეფოსათვის გადაცემის თაობაზე (ყალიჩავა 2019:106).

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და ოსმალთა იმპერიის დაშლის პროცესში, ბალკანეთში შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო. აღნიშნული სლავური სამეფოს ლიდერად მიიჩნეოდა სერბეთის სამეფო. ომის დასრულების შემდგომ შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობის გამოისობით,

რომლის მიხედვითაც სერბები გამარჯვებულთა ბანაკში მოხვდნენ, კოსოვოს რეგიონი ექცეოდა სერბეთის შემადგენლობაში.

ამრიგად, დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ კოსოვოს ვილაიეთი მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მანძილზე დაპირისპირების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ჯერ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო მოგვიანებით უკვე რეგიონულ და საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს საკითხი ნაკლებად ჩანს პირველ მსოფლიო ომამდელ, ომისდროინდელ და ომის შემდგომ დიპლომატიაში, აღნიშნული რეგიონი, როგორც ვნახეთ, მუდამ წარმოადგენდა ბალკანეთის რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

§ 2. კოსოვო 1918-1991 წწ.

1918 წლის 1 დეკემბერს შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო ანუ იუგოსლავიის სამეფო (1918-1941), რომლის მოსახლეობაც მთლიანად შეადგენდა 12 017 323 ადამიანს. ახალ სამეფოში 441 740 ალბანელი (3.68%) და 4 665 851 (38.83 %) სერბი ცხოვრობდა. კოსოვოს რეგიონი კვლავ სერბეთის შემადგენლობაში მოექცა (**Banac I. 1988:49**).

ისევე, როგორც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, პრაქტიკულად მთელი XX საუკუნის მანძილზე, კოსოვოს გარშემო განვითარებულ მოვლენებზე პირდაპირ ასახვას ჰპოვებს ზოგადად ბალკანეთის რეგიონის გარშემო შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. კოსოვოს ისტორია 1918-1945 წლებში, ფაქტობრივად ორ ნაწილად იყოფა: 1918-1941 – წლები, კოსოვოში სერბული გავლენის გაძლიერების პერიოდია, ხოლო 1941-1944 წლებში, საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ეს უპირატესობა ალბანელთა მხარეს გადადის.

მეორე მსოფლიო ომის წლებში კოსოვო და მეტოხია იტალიის მიერ იყო ოკუპირებული და შეყვანილი ალბანეთის შემადგენლობაში. ამ პერიოდში ალბანელების მიერ მოკლული იქნა ათასობით სერბი. სხვადასხვა მონაცემებით 100 000-დან 200 000-მდე სერბმა დატოვა ეს ტერიტორიები. მათ ადგილას კი 100 000-მდე

ალბანელი გადმოსახლდა ალბანეთიდან. 1944 წელს განთავისუფლების შემდგომ იუგოსლავიის არმია წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობებს კოსოვოელი ალბანელების მხრიდან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ კოსოვოს სერბეთის შემადგენლობაში დაბრუნებით. 1945 წლის ივლისისთვის ალბანელთა დანაყოფები განადგურებული და განდევნილი იყვნენ მეზობელ სახელმწიფოებში. უკმაყოფილო ალბანელების დაშოშმინების მიზნით, იუგოსლაველ კომუნისტთა ლიდერმა ბროზ ტიტომ კოსოვოდან დევნილ სერბებს უკან დაბრუნება აუკრძალა. კოსოვოს ავტონომიის სტატუსი მიენიჭა, გაიხსნა ალბანური სკოლები. მიუხედავად ამისა, კოსოვოელი ალბანელები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. 1960-ანი წლების შუა პერიოდამდე სიტუაცია კოსოვოში ექვემდებარებოდა მკაცრ კონტროლს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, რომელსაც ბროზ ტიტოს უახლოესი თანამებრძოლი ალექსანდრ რანკოვიჩი ხელმძღვანელობდა. რანკოვიჩის ხელმძღვანელობისას მკაცრ რეპრესიებს ექვემდებარებოდა ყველა ალბანელი ვინც ინახავდა იარაღს და კავშირი ჰქონდა ალბანეთთან, ასევე ისინიც ვინც ექვმიტანილი იყო ამაში. მას შემდეგ კი, რაც რანკოვიჩი უსაფრთხოების სამსახურიდან წავიდა (გადანაცვლა იუგოსლავიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე), ამერიკელი ისტორიკოსის, ამერიკის სტრატეგიული სწავლების ინსტიტუტის პროფესორის კრეიგ ნეიშენის აზრით მხარეში განსხვავებული აზრის გამოხატვის თავისუფლება შედარებით გაიზარდა, ხოლო კოსოვოს შემდგომმა სუვერენიზაციამ კი შესაძლებელი გახდა სერბული უმცირესობების შევიწროვება ალბანელების მხრიდან.

კოსოვოს ავტონომიზაციის ახალ ნაბიჯად იქცა 1963 წელს იუგოსლავიის მიერ მიღებული კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობები ხალხებად მოიხსენებოდნენ და ავტონომიურმა ოლქებმა მიიღეს მხარის სტატუსი. 1969 წელს მხარის სახელწოდება შეიცვალა კოსოვოს ავტონომიური მხარით.

1960-ან წლებში სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდულად იუწყებოდა, რომ კოსოვოში მოქმედ სკოლებში ნერგავდნენ ნაციონალისტურ განწყობებს და ხშირად ავიწროვებდნენ სერბებსა და ჩერნოგორიელებს. ამის პარალელურად კი, კოსოვოელი კომუნისტები ფადილ ხოჯას ხელმძღვანელობით ფედერალური მთავრობისგან ითხოვდნენ ავტონომიური მხარის წესდების გადაკეთებას

კონსტიტუციად და საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას.

1968 წელს კოსოვოსა და მაკედონიაში იყო ალბანელი ახალგაზრდობის გამოსვლები, მხარეებისთვის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების, ახალი კონსტიტუციის მიღების და სხვადასხვა რესპუბლიკებში ალბანელებით დასახლებული ტერიტორიების გაერთიანების მოთხოვნით. გამოსვლების დაშლა მოხდა პოლიციის მიერ. იუგოსლავიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდში მხარეში გაიზარდა ნაციონალისტური განწყობები ინტელიგენციაში, სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებშიც კი. ავტონომიის უფლებების ზრდასთან ერთად ძლიერდებოდა ალბანელი ნაციონალისტების პოზიციები. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ასევე, ალბანური ნაციონალისტური სიმბოლიკის გამოყენებაზე ნებართვის მიცემამ, ალბანეთთან სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების დაწყებამ და ა.შ. ალბანელების ზეწოლით მხარეს ტოვებდნენ სერბები და ჩერნოგორიელები. რუსი ისტორიკოსის ელენა გუსკოვას მონაცემებით 1961-1980 წლებში კოსოვოდან წავიდა 92 197 სერბი და 20 424 ჩერნოგორიელი. სერბული მართმადიდებლური ეკლესიის მონაცემებით, სერბების მიერ კოსოვოს დატოვების მთავარი მოტივი ალბანელების მხრიდან შევიწროება და მუდმივი დაძაბულობა იყო. თუმცა, დასავლელ და რუს მეცნიერთა ნაწილი ასახელებს ეკონომიკურ მოტივებსაც, რაც აიხსნება სერბთა მიერ „პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვით“. მათ ადგილას კი სახლდებოდნენ ალბანელები მაკედონიიდან, ჩერნოგორიიდან და სამხრეთ სერბეთიდან.

სერბეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი 1968-1972 წლებში მარკო ნიკეზიჩი აღნიშნავდა, რომ კოსოვოს პრობლემის მოგვარება შეიძლება, ეკონომიკის განვითარებით, ჩამორჩენილობასა და სიღარიბესთან ბრძოლით, ალბანელებისათვის იგივე უფლებების მიცემით რითაც სარგებლობდნენ იუგოსლავიის სხვა ხალხები. იმავე დროს ის მკვეთრად წინააღმდეგი იყო ნაციონალისტური მოძრაობების.

1974 წელს ახალი კონსტიტუციის მიღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მხარეთა ავტონომიურობის ხარისხი, მათ მიიღეს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. სერბეთის შემადგენლობაში მყოფ კოსოვოსა და ვოევოდინას ავტონომიურ მხარეებს ჰქონდათ თითქმის იგივე უფლებები, რაც სერბეთს

იუგოსლავიაში.

1970-ან წლები ხასიათდებოდა დამაბულობით და ალბანური ნაციონალისტური ორგანიზაციების გააქტიურებით, რომელთა შორის გამოირჩეოდა „კოსოვოს ნაციონალური განთავისუფლების ორგანიზაცია“. აღნიშნული ორგანიზაცია მხარს უჭერდა ნაციონალისტურად განწყობილ წრეებს ალბანელ სტუდენტ-ახალგაზრდებში.

ალბანელი ნაციონალისტები, რომლებიც მზად იყვნენ აქტიური ქმედებებისათვის, ელოდებოდნენ ხელსაყრელ მიზეზს. ალბანელების აქტიურობისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალების შემდგომ, რომელიც ყოველთვის ახერხებდა ამბოხებულების შეჩერებას. მის არცერთ მემკვიდრეს არ აღმოაჩნდა საკმარისი პოლიტიკური სიმღიერე და ხასიათი, იმისათვის, რომ შეეჩერებინა ალბანელების შეიარაღებული ამბოხება ან ბუნტი. ამბოხებისათვის საჭირო დიდი ხნის ნანატრ მიზეზად იქცა პრიშტინას სტუდენტთა ბუნტი. 1981 წლის 11 მარტს სტუდენტთა ჯგუფი გავიდა ქალაქის ქუჩებში სტუდენტთა მომსახურების, საერთო საცხოვრებელში არსებული ცუდი კვების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. მიტინგი დაიშალა პოლიციის ძალით, რამაც მოახდინა ალბანელთა პროვოცირება სამომავლო გამოსვლებისთვის. შემდგომი მიტინგების ორგანიზება ღიად ხდებოდა ლოზუნგებით „კოსოვო რესპუბლიკა“, „კოსოვო კოსოვოელებისთვის“, „ჩვენ ალბანელები ვარ, ჩვენ არ ვართ იუგოსლაველები, „თავისუფლება, თანასწორობა და დემოკრატია“, „გაერთიანება ალბანეთთან“. მიტინგებში მონაწილეობას ღებულობდნენ არამხოლოდ უკმაყოფილო სტუდენტები, არამედ მუშები, გლეხები, უმუშევრები, სამხედროები და კომუნისტური პარტიის წევრებიც კი. მალე ალბანელებმა დაიწყეს სერბების დარბევები, გადაწვეს რამდენიმე სოფელი სადაც ცხოვრობდნენ სერბები. კოსოვოს სხვადასხვა ქალაქებში დაიწყეს იუგოსლავიის დროშების ჩამოშვება და ალბანეთის დროშების აღმართვა. გადაიწვა მონასტრები. 1981 წლის 26 მარტს გაიმართა ყველაზე დიდი საპროტესტო აქცია სახელწოდებით „ახალგაზრდობის ესტაფეტა“. იუგოსლავიის პოლიციამ მკაცრი რეაგირება მოახდინა და დაშალა მომიტინგეები, დაიჭრა 30-მდე ადამიანი. თუმცა, პროტესტი მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა რის შემოდგომაც კოსოვოში სამხედრო

ტექნიკის გაგზავნაც მოხდა და იუგოსლავიის პოლიციური ძალების მიერ მოხდა მომიტინგეთა მყისიერი დაშლა და პროტესტის ჩახშობა. საბოლოო ჯამში, სერბეთმა მოახდინა კოსოვოს გამოყოფის ამ მცდელობის აღკვეთა, მაგრამ არეულობას ემსხვერპლა მინიმუმ 8 ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ სტუდენტები, დაახლოებით 2000 ადამიანი კი დააკავეს.

დაძაბულობა კოსოვოში ნეგატიურად ისახებოდა იუგოსლავიის ეკონომიკაზე და ამლიერებდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ კრიზისს. ალბანური გამოსვლების გარდა, ყურადღება მიიქცეის კოსოვოელმა სერბებმაც, რომელთა მდგომარეობა მხარეში მუდმივად უარესდებოდა. ყურადღების მისაქცევად მათ დაიწყეს ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებში კოლექტიური პეტიციების ინიცირება და საპროტესტო მარშების ორგანიზება ბელგრადში.

1987 წლის 24 აპრილს მხარეს ეწვია სერბეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელი სლობოდან მილოშევიჩი. სამხარეო ხელმძღვანელობასთან მისი შეხვედრისას, იმ შენობის მიმდებარედ სადაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, მოხდა დაპირისპირება სერბ დემონსტრანტებსა და ალბანელ პოლიციელებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შეხვედრის უსაფრთხოებას. მილოშევიჩი გავიდა მომიტინგეებთან და წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: „ვერავინ გაბედავს თქვენს ცემას“. მომიტინგეებთან გამოსვლისას მილოშევიჩმა გააკრიტიკა როგორც ალბანური, ასევე სერბული ნაციონალიზმი, თუმცა იმ მომენტიდან სერბებისთვის ის გადაიქცა სერბთა ინტერესების მთავარ დამცველად იუგოსლავიაში და კერძოდ კოსოვოში.

1988 წლის შემოდგომასა და 1989 წლის ზამთარში ავტონომიურ მხარეებში იმართებოდა ძირითად ინსპირირებული საპროტესტო აქციები ადგილობრივი ბიუროკრატის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც მილოშევიჩმა თავისი პროტექციებით შეცვალა ხელმძღვანელობა ვოევოდინაში, კოსოვოში, და ჩერნოგორიაში. 1989 წლის მარტში ახალმა სამხარეო სკუპშინებმა (პარლამენტი) შეიტანეს ცვლილებები თავიანთ სამხარეო კონსტიტუციებში, რომლებიც დაამტკიცა სერბეთის სკუპშინამ. ცვლილებების თანახმად ავტონომიურმა მხარეებმა ვოევოდინამ და კოსოვომ დაკარგეს სახელმწიფო ატრიბუტები და შემცირდა მათი სახელისუფლებო

უფლებამოსილებები. ფაქტიურად, მოხდა დაბრუნება იუგოსლავიის 1963 წლის კონსტიტუციის ნორმებთან. ამგვარმა ცვლილებებმა მოახდინა ალბანური მოსახლეობის მღელვარების გაძლიერების პროვოცირება და დაიწყო მასობრივი საპროტესტო აქციები. 1989 წელს კოსოვოში ადგილი ჰქონდა ყველაზე მასობრივ არეულობებს 1945 წლის შემოდგომ. Human Rights Watch-ის მონაცემებით პოლიციასთან შეტაკებების შედეგად გარდაიცვალა 24 ადამიანი.

თავი II. აშშ-იუგოსლავიის ურთიერთობები კოსოვოს კონფლიქტამდე

შეერთებული შტატების ინტერესს ბალკანეთის მიმართ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში აშშ-ის კურსი რეგიონში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა გეოპოლიტიკური ვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების ცვლილებებით „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. იმავე დროს ძნელია გარკვევა აშშ-ის 1990-იანი წლების ბალკანურ პოლიტიკაში, წინა პერიოდის მოკლე ისტორიული მიმოხილვის გარეშე. მოცემული თემატიკის ანალიზისთვის საჭიროა იქონიო წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა და რით იყო მოტივირებული აშშ-ის ურთიერთობა იუგოსლავიასთან, როგორც სახელმწიფოსთან, რომლის ტერიტორიაზე მისი დაშლის შემდეგ ხდებოდა ბოსნიის კონფლიქტი და კოსოვოს კრიზისი. ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობები „ცივი ომის“ დროს განისაზღვრებოდა ბიპოლარული სისტემით მსოფლიო პოლიტიკაში. ლოგიკურია მათი განხილვის დაწყება 1948 წლიდან, როდესაც იუგოსლავია გამოვიდა სსრკ-ის გავლენის სფეროდან, რამაც თვისობრივად შეცვალა მისი მნიშვნელობა შეერთებული შტატებისთვის. ამ მოვლენამ განსაზღვრა ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობები რამდენიმე ათეული წლით.

ბოსნიის კონფლიქტი, ისევე, როგორც კოსოვოს კრიზისი (თუმცა ნაკლები დონით) იყო ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შედეგი. მისი დეზინტეგრაცია ხდებოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მონაწილეობით თვისობრივად ახალ, გარკვეულწილად გარდამავალ პერიოდში, როდესაც „ცივი ომის“ ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, მაგრამ ცხადი იყო მისი სწრაფი დასრულება და ფაქტობრივი გამარჯვებულები. ამასთან დაკავშირებით, ინტერესს წარმოადგენს შეერთებული შტატების რეაქცია ბალკანეთში დეზინტეგრაციულ პროცესებზე 1990-იანი წლების დასაწყისში და ამერიკის მონაწილეობა მათში. ეს შესაძლებელს გახდის უკეთ იქნას გაგებული აშშ-ის პოლიტიკა კოსოვოს კრიზისის მიმართ.

§ 1. ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობები ბიპოლარულ სამყაროში

1948 წელს მოხდა იოსიპ ტიტოს კონფლიქტი ი. სტალინთან, რომელიც გახდა ურთიერთობათა გაწყვეტის და განხეთქილების მიზეზი იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს, რამაც აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აზრით, პირდაპირ გულში დაარტყა კომუნიზმის მეშვეობით საბჭოთა ექსპანსიის კონცეფციას. სსრკ-იუგოსლავიის უთანხმოება მოულოდნელი იყო აშშ-ისთვის, მაგრამ ბელგრადში ამერიკის საელჩოს რეაქცია მყისიერი იყო. მისი სამხედრო-საზღვაო ატაშე წერდა ვაშინგტონში, რომ „ტიტო მარტო დიდხანს ვერ დაუპირისპირდება საბჭოებს... და თუ მას მართლა უნდა ამის გაკეთება, ის მიიღებს დასავლეთის სრულ მხარდაჭერას, მას წარმატების კარგი პერსპექტივა და საშუალება აქვს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპაში ჩვენი მთავარი პრობლემების გადაწყვეტა“ (Mayers 1990:156).

უკვე 1948 წლის გაზაფხულზე ამერიკულმა დიპლომატიამ მოცემულ კონფლიქტში დაინახა პირველი ცდა მოეწყვიტათ საბჭოთა ბლოკისგან კომუნისტური სახელმწიფო. მაისიდან აშშ პროგნოზირებდა მისი გამოყენების შესაძლებლობას როგორც დადებითი მაგალითისა აღმოსავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნებისთვის, იმის გათვლით, რომ შემდგომ ისინი დაშორდებოდნენ საბჭოთა კავშირს. იმავე დროს, თეთრ სახლში არ ჰქონდათ ილუზიები, რომ იუგოსლავია მალე შევა დასავლური დემოკრატიების თანამეგობრობაში.

1948 წლის ზაფხულში გაუმჯობესდა ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობები. ივლისში ხელი მოეწერა მთავრობათაშორის შეთანხმებას კომპენსაციის შესახებ შეერთებული შტატების ნაციონალიზებული ქონებისთვის, აშშ-ის ხაზინამ კი მოხსნა ყადაღა იუგოსლავიის ანგარიშებს შეერთებულ შტატებში (Mayers 1990:157). შემდეგ წელს ჰარი ტრუმენის ადმინისტრაციამ დაიწყო ეკონომიკური დახმარების გაწევა ბელგრადისთვის (Ambrose 1993:97), აგრეთვე დაუშვა იუგოსლავიაში იმ საქონლის მიწოდება, რომლის გაყიდვა სოციალისტურ ქვეყნებში აკრძალული იყო. ეს ნაბიჯები გადაიდგა იმ მიზნით, რათა შეცვლილიყო იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკის ვექტორი, რომელიც, როგორც აშშ-ში

თვლიდნენ, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ანტიდასავლურ პროსაბჭოთა ხაზს. 1950 წელს დაიდო შეთანხმება სასურსათო დახმარების შესახებ, 1951 წელს კი - შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ აშშ-სა და ისფრ-ს შორის.

1950 წლის მოვლენებმა კორეის ნახევარკუნძულზე ასევე შეუწყო ხელი ორი სახელმწიფოს დაახლოებას, რადგან ჩრდილოეთ კორეის აგრესია შეიძლება განხილულიყო როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტი. თუმცა ვაშინგტონში არ ვარაუდობდნენ სსრკ-ის პირდაპირ აგრესიას ისფრ-ის წინააღმდეგ, მაგრამ ძალზე შესაძლებლად თვლიდნენ ამის ინსტრუმენტად აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით ი. ტიტო ცდილობდა აერიდებინა სსრკ-თან ურთიერთობათა ახალი გამწვავება, იმავდროულად გააძლიერა რა პროდასავლური ეკონომიკური ორიენტაცია და გამოხატა მიდრეკილება თანამშრომლობისადმი - შტატებთან გრძელვადიან სამხედრო-სტრატეგიულ დაგეგმარებაში. 1950-იანი წლების დასაწყისიდან ჰ. ტრუმენის ადმინისტრაციამ დაიწყო იუგოსლავიის განხილვა როგორც პარტნიორისა საბჭოთა გავლენის შეკავებაში, ამერიკული ეკონომიკური დახმარება კი გახდა იუგოსლავიის ხელმძღვანელობაზე თეთრი სახლის ზეწოლის ინსტრუმენტი. ამ დროს შეერთებული შტატები ხედავდნენ იუგოსლავიის სტრატეგიულ მნიშვნელობას რამდენიმე მიმართულებით. გეოსტრატეგიულად იუგოსლავია მნიშვნელოვანი იყო, რადგან წარმოადგენდა:

- დამაკავშირებელ რგოლს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის თავდაცვას;

- დასავლეთ ევროპაზე საბჭოთა თავდასხმის შესაძლო მუქარას სამხრეთი ფლანგიდან;

- დასავლეთზე ორიენტირებული ბალკანეთის, მახლობელი აღმოსავლეთის და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების პოტენციური ბასტიონის საკვანძო სახელმწიფოს, იმ სახელმწიფოებისა, რომელთა ტერიტორიიდან შეიძლება პირდაპირი დარტყმის მიყენება კომუნისტურ სატელიტებზე და სსრკ-ზე;

- ტერიტორიულად ახლოსაა საბერძნეთსა და იტალიაზე შესაძლო საბჭოთა თავდასხმისგან;

- იმ რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის დაპყრობა მოუწევს სსრკ-ს, რათა დაამყაროს კონტროლი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე, შავ ზღვასა და ადრიატიკაზე.

თუმცა იუგოსლავიის ეკონომიკა მეორეხარისხოვანი იყო დასავლეთისთვის, ისფრ წარმოადგენდა გასაღების ბაზარს გერმანიის, იტალიის, ბრიტანეთის მეწარმეებისთვის, ასევე შეიძლება გამხდარიყო შეზღუდული რაოდენობის ფერადი ლითონის მომწოდებელი.

იუგოსლავიის იდეოლოგიური მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობდა: საბჭოთა ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი შეიძლება ყოფილიყო კომუნისტური მოძრაობის სათავეში. შესაბამისად, იმ მომენტამდე, სანამ ი. ტიტო იქნება მოსკოვისგან დამოუკიდებელი კომუნისტი, ასეთი მიდგომა ობიექტურად წინააღმდეგობრივი იყო. როგორც აშშ-ში ფიქრობდნენ, სსრკ-იუგოსლავიის ურთიერთობების გაწყვეტის ეფექტს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აზიისათვისაც. იუგოსლავებს იმედი ჰქონდათ, რომ ნაციონალისტური ტენდენციები ჩინეთის, აგრეთვე აზიის რიგ სხვა კომპარტიებში კონფლიქტში შევა, დომინირების საბჭოთა ცდასთან. ამ მიზეზით, ისინი დაინტერესებული იყვნენ შეეტანათ განხეთქილება მათში, რათა გამოსულიყვნენ კომუნისტური სამყაროს იზოლაციიდან. იუგოსლავიის „დეზერტირობა“ ასევე არად აქცევდა საბჭოთა ცდას გამოეყენებინა პანსლავური განწყობები დასავლეთის ქვეყნებში.

იუგოსლავიის სტრატეგიული მნიშვნელობა, ამერიკელი სტრატეგების აზრით, იმაშიც მდგომარეობდა, რომ ის წარმოადგენდა ბაზას ბალკანეთში პოლიტიკური ბრძოლისთვის. ბელგრადი ერთადერთი ქალაქი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, რომელშიც ამერიკული დიპლომატია თავს გულდაჯერებულად გრძნობდა. ის ნაკლებად იყო შეზღუდული იუგოსლავიის ხელისუფლების მიერ, ამერიკელ დიპლომატებს კი ჰქონდათ გადაადგილების მეტი თავისუფლება. ამიტომ აშშ ბელგრადს მიიჩნევდა როგორც რეგიონში თავისი დაზვერვის მუშაობის პოტენციურ ცენტრს. ვაშინგტონი ასევე იმედოვნებდა, რომ იუგოსლავების დახმარებით აწარმოებდა პოლიტიკურ ომს ბალკანეთში, რადგან ისფრ-ის

ტერიტორიაზე ცხოვრობდა დიდი რაოდენობით ალბანელები, მაკედონელები, უნგრელები და რუმინელები.

უორენ ციმერმანის აზრით, იუგოსლავიის დაცვა არასოდეს ყოფილა აშშ-ის ან ნატოს ფორმალური ვალდებულება. იმავდროულად, ვაშინგტონში ცხადად არ უწყოდნენ, თუ როგორი რეაგირება უნდა ჰქონოდათ იმ შემთხვევაში, როდესაც სსრკ შეეცდებოდა ჩაერთო იუგოსლავია თავის სისტემაში ან მისგან მოეწყვიტა მისი მართმადიდებლური ტერიტორიები (სერბია, ჩერნოგორია, მაკედონია). ამასთან დაკავშირებით, გარდა შეთანხმებისა სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, შეერთებული შტატები თავის მოკავშირეებს სტიმულს აძლევდა, რათა მათ ქმედითი ურთიერთობები დაემყარებინათ ამ ქვეყანასთან. 1952 წელს აშშ-მა, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა მიიღეს პროგრამა, რომლის შესაბამისად ბელგრადს ეწეოდა უსასყიდლო ეკონომიკური დახმარება. სულ ხუთი წლის განმავლობაში ვაშინგტონმა ბალკანეთის ფედერაციას გამოუყო 1,2 მილიარდი დოლარი სესხების, კრედიტების, შეიარაღებისა და სურსათის მიწოდების სახით. უფრო მეტი, იფსრ იყო ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა, რომელიც დახმარებას იღებდა მარშალის გეგმის შესაბამისად. მარტო 1948-1965 წლებში მის ეკონომიკაში ჩადებული იქნა ორ მილიარდამდე დოლარის უცხოური ინვესტიციები, რომელთა დიდი ნაწილი ამერიკული იყო (Павлов 2010:187).

ასეთი პოლიტიკა ისფრ-ს უნიკალურ მდგომარეობაში აყენებდა სხვა კომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით. რეგიონულ ასპექტში ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ სსრკ-სთვის წაერთვათ გავლენის სფერო ადრიატიკაში, სტრატეგიულში - გაეხადა იუგოსლავია მიმზიდველი საბჭოთა ბლოკის სხვა ქვეყნებისთვის.

ამით, შეერთებული შტატები ცდილობდნენ სტიმული მიეცათ აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნებისთვის, რათა მათ გაეტარებინათ უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა და გამოსულიყვნენ მოსკოვის გავლენიდან (Маначинский 2005:81), აგრეთვე ეჩვენებინათ მათთვის, რომ ამ მიდგომის რეალიზაციისას შეიძლება არა მარტო თავის გატანა, არამედ აყვავებაც (Kaufman 2002:63).

ვაშინგტონს მოსწონდა, რომ იფსრ-ის ეკონომიკური სისტემა დაფუძნებული იყო დეცენტრალიზებულ თვითმმართველობაზე და არა სახელმწიფო დაგეგმარებაზე და ხუთწლედებზე (**Zimmermann 1996:177**). ამერიკელები ასევე მიესალმნენ 1950-იანი წლებიდან რესპუბლიკის საზღვრების გახსნას, რის შემდეგ მუშაკებს იუგოსლავიიდან შეეძლოთ კანონიერ საფუძველზე წასულიყვნენ სამუშაოდ დასავლეთის ქვეყნებში, რის შედეგად 1973 წლისთვის მათმა რიცხვმა რვაას ოცდაათ ათასს მიაღწია (**Batovic 2009:27**). ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების იუგო-სლავიური მოდელი, რომელიც დეკლარირებდა: უშუალო დემოკრატიის, მუშათა თვითმმართველობისა და „საბაზრო სოციალიზმის“ პრინციპებს, ემთხვეოდა აშშ-ის დასავლეთ ევროპის მმართველი წრეების ძირითად დემოკრატიულ და საბაზრო ღირებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ იფსრ გამოვიდა აღმოსავლეთ ბლოკიდან, მაგრამ არ გახდა ნატოს წევრი, მისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა პასუხობდა ამერიკის ინტერესებს. ჩაუდგა რა სათავეში მიუმხრობლობის მოძრაობას, იუგოსლავია გახდა თავისებური „საარბიტრაჟო ზონა“, რომელშიც კონტაქტები ორ ზესახელმწიფოს შორის ძალიან ახლო იყო. და მაინც, ვაშინგტონში ეშინოდათ მსოფლიო არენაზე იფსრ-ის ასეთი მდგომარეობის სტაბილურობისათვის, რის გამოც ცდილობდნენ დაეახლოებინათ ის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.

ამ ამოცანის განსახორციელებლად ვარაუდობდნენ ჩაერთოთ ბელგრადი რეგიონულ კავშირში ნატოს ისეთ წევრებთან, როგორცაა საბერძნეთი და თურქეთი. იუგოსლავია, თავის მხრივ, ცდილობდა გამოეყენებინა თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ბლოკთან, რათა თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ტერიტორიული დავა იტალიასთან ტრიესტის გამო. სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით გახდა 1953 წლის თებერვალში ხელმოწერილი შეთანხმება „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ იუგოსლავიას, საბერძნეთსა და თურქეთს შორის (**Isyar L. 2005:98**). 1954 წლის აგვისტოში მას დაემატა შეთანხმება მათ შორის კავშირის, პოლიტიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელმაც გააფორმა ბალკანეთის პაქტის შექმნა. მოცემული შეთანხმებების წყალობით, ამერიკელებმა გააძლიერეს თავისი გავლენა რეგიონში და დაიახლოვეს

იუგოსლავია, იტალია კი წავიდა დათმობაზე, დათანხმდა რა ტრიესტის ირგვლივ გაყოფის ბელგრადის გეგმის დიდ ნაწილს. იმავე დროს, ისეც არ იქნა რეალიზებული იუგოსლავიის წევრობა ნატოში, რადგან მოკლე ხანში ბალკანეთის პაქტი დაიშალა კვიპროსზე ბერძენ-თურქების კონფლიქტის გამო.

1956 წლის უნგრეთის მოვლენების შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა და სახელმწიფო მდივანმა ჯონ დალესმა ფსონი დადეს ევოლუციურ პოლიტიკურ ცვლილებებზე აღმოსავლეთ ევროპაში. უდავოა, სოციალისტური იუგოსლავია არ იყო ის, რის ნახვა სურდათ დ. ეიზენჰაუერს და მის წინამორბედს, მაგრამ ორივე ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი მზადყოფნა მხარი დაეჭირათ ი. ტიტოსთვის, აჩვენებს მემკვიდრეობითობას დემოკრატიული და რესპუბლიკური მიდგომებისა კომუნისმის მუქარის საკითხისადმი (**Космач Е.Н. 2008:168**). დ. ეიზენჰაუერის მიერ საერთაშორისო არენაზე იუგოსლავიის დამოუკიდებელი ხაზის მიღება უჩვენებს, რომ ის, ჰ. ტრუმენით, თავის საგარეო პოლიტიკურ მიდგომებს აგებდა არა იდეოლოგიურ, არამედ გეოპოლიტიკურ მოსაზრებებზე. იმასთან დაკავშირებით, რომ დ. ეიზენჰაუერის პოლიტიკა, მიმართული აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებაზე, წარუმატებელი იყო, აშშ-ში დაიწყო დებატები სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან მისი ურთიერთობების ახალი კონცეფციის შესახებ.

1960-ანი წლების დასაწყისში აშშ-ის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში გაიშალა დისკუსია აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკის პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით შეეხო იფსრ-ს. მისი როლი იზრდება, რაც შეესაბამებოდა „ძლიერი იუგოსლავიის“ კონცეფციას, რომლის რეალიზაციას ახდენდა შეერთებული შტატები (**Павлов В.С., Пашинцева Е.О. 2010:188**). ჯონ კენედიმ აშშ-ის ახალ ელჩად იუგოსლავიაში დანიშნა ცნობილი დიპ-ლომატი ჯ. კენანი, რაც მიანიშნებდა იფსრ-ის მნიშვნელობას ვაშინგტონისთვის. თავისი მუშაობის მთავარ ამოცანებად ის თვლიდა ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობების განვითარებას და იფსრ-ის, როგორც პოლიტიკის დამოუკიდებელი სუბიექტის მდგომარეობის განმტკიცებას სსრკ-თან დაპირისპირებისთვის (**Павлов В.С., Пашинцева Е.О. 2010:189**), იმედოვნებდა რა, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები გაიზიარებდნენ იფსრ-ის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს.

ამ მიზნით, ჯ. კენედის პრეზიდენტობის უკვე პირველ წელს იუგოსლავიას აღმოუჩინეს მნიშვნელოვანი დახმარება. 1961 წლის იანვრიდან მაისამდე მან მიიღო ექვსი კრედიტი ორას მილიონ დოლარზე მეტი თანხით, რომლებიც გათვალისწინებული იყო სამრეწველო საწარმოების, ჰიდროელსადგურების მშენებლობის, სავალუტო რეფორმის გატარების და სხვა დაფინანსებისთვის.¹ აპრილში ხელი მოეწერა შეთა-ნხმებას იუგოსლავიაში ორასი ტონა ხორბლის მიწოდების, ივლისში კი ამერიკის ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შესა-ხებ. ჰუმანიტარული კავშირების განმტკიცების სფეროში 1961 წლის ივნისში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც აწესრიგებდა ამერიკული სამკითხველო დარბაზების მუშაობას იფსრ-ში, შემდეგ კი გაიხსნა ამერიკის საელჩოს საინფორმაციო ცენტრები ბელგრადსა და ზაგრებში.

ამგვარი პოლიტიკის გატარება შესაძლებელი იყო კონგრესში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მისი წარმატებული ლობირების შედეგად. მაგრამ 1955 წელს სსრკ-თან ურთიერთობების აღდგენის შემდეგ იუგოსლავია წარმატებით ბალანსირებდა ორ ზესახელმწიფოს შორის, რაც ამერიკის პოლიტიკას უქმნიდა გარკვეულ პრობლემებს. როგორც უ. ციმერმანი აღნიშნავს, ამერიკულ ადმინისტრაციას ერჩივნა აპყოლოდა იუგოსლავიას, როდესაც ეს უკანასკნელი იგნორირებას უკეთებდა დასავლეთის სურვილებს (**Zimmermann 1996:178**). ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო სსრკ-ის გავლენის გაზრდა ი. ტიტოზე. აშშ-ის არ გამოუცხადებია პროტესტი, როდესაც იუგოსლავი მწერალი მ. მიხაილოვი 1965 წელს დააპატიმრეს იმ ამერიკული ჟურნალის შენახვისთვის, რომელიც სიმპათიით იყო განწყობილი საბჭოთა დისიდენტების. 1966 წელს იუგოსლავი დისიდენტი მილოვან ჯილასი გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ არცერთი ამერიკელი დიპლომატი არ შესულა მასთან კონტაქტში.

ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითს იმისა, თუ რაოდენ ყაირათიანად იყენებდა ი. ტიტო იფსრ-ის მდგომარეობას, წარმოადგენს მიუმხრობლობის მოძრაობის სახელმწიფოთა პირველი სამიტი 1961 წელს. მის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აშშ-ის ელჩმა იუგოსლავიაში ჯონ კენანმა ჩაატარა მოლაპარაკებები ი. ტიტოსთან. ამ უკანასკნელმა შეხვედრაზე მკვეთრად გააკრიტიკა აშშ და დასავლეთ ევროპა მათი

პოლიტიკის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუბის, კვიპროსის, კონგოს მიმართ, აგრეთვე პოზიციის გამო ბერლინის საკითხისადმი. მიუხედავად თავისი ელჩის გაფრთხილებისა, რომ აუცილებელია ბელგრადის აზრის გათვალისწინება, თეთრმა სახლმა მოახდინა იუგოსლავიის ლიდერის სიტყვების იგნორირება.

ვაშინგტონში ელოდნენ, რომ ი. ტიტო მოითხოვდა იმ რეზოლუციის მიღებას, რომელშიც იქნებოდა დაგმობილი ატომური იარაღის გამოცდები, აგრეთვე მათ ამკრძალავ შეთანხმებას. მაგრამ მისასალმებელ სიტყვაში კონფერენციის გახსნის დროს იუგოსლავიის ლიდერმა არა მარტო შეიკავა თავი საბჭოთა კავშირის კრიტიკისგან ზემდღავრი ბომბის გამოცდისთვის, არამედ განაცხადა კიდევ, რომ ესმის ამის მიზეზებისა, ქარაგმულად მიანიშნებდა რა ამგვარად აშშ-ის პოლიტიკაზე (**Mayers D. 1990:210**). ამერიკელთათვის განსაკუთრებით უსიამოვნო იყო ის, რომ ეს გაკეთდა საბჭოთა ელჩის ზარის შემდეგ, რომელმაც დაარწმუნა ი. ტიტო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვს სჭირდება მისი მხარდაჭერა (**Mocnik J. 2008:30**).

იუგოსლავიის პრეზიდენტმა ასევე მკვეთრ ტონში ილაპარაკა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ, ბრალი დასდო აშშ-სა და ნატოს საერთაშორისო დამაბულობის გაზრდაში, უხემ ჩარევაში აფრიკის და აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში¹³³. თეთრი სახლი გულგატეხილი დარჩა იმის გამო, რომ ი. ტიტოს გამოსვლაში არ იყო რაიმე ნათქვამი აშშ-სა და იფსრ-ს შორის თანამშრომლობის დადებით მაგალითზე, როგორც განსხვავებული პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოებისა და ეს მაშინ, როდესაც მან აღნიშნა იუგოსლავიის ურთიერთობები საბერძნეთსა და იტალიასთან (**Mocnik J. 2008:31**). თუმცა ი. ტიტომ აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის პოლიტიკა არ გატარდება საბჭოთა კავშირის კალაპოტში, მიუხედავად იმისა, რომ იფსრ-ის და სსრკ-ის პოზიციები ბევრ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს, ი. ტიტოს გამოსვლის საერთო ტონი უსიამოვნო იყო თეთრი სახლისთვის და ნეგატიურად აღიქვეს კონგრესში. ამის გამო, ამერიკელმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს შეეწყვიტათ ეკონომიკური დახმარების გაწევა იუგოსლავიისთვის 1961 წელს, მიუხედავად ელჩ ჯ. კენენის წინააღმდეგობისა (**Zimmermann 1996:178**).

კუბის კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც ასე თუ ისე შეეხო კონგრესის დამოკიდებულებას სხვა კომუნისტურ ქვეყნებთან, ჯ. კენედმა ვერ შეუშალა ხელი

აშშ-ის მთავარ საკანონმდებლო ორგანოს მიერ სხვა რეზოლუცია, რომელმაც ჩამოართვა იუგოსლავიას სტატუსი „ქვეყნისა ყველაზე დიდი კეთილხელშეწყობით“. იმავდროულად მოხდა იუგოსლავია-სსრკ-ის ურთიერთობათა გაუმჯობესება, რამაც გამოიწვია აშშ-ის ადმინისტრაციის სერიოზული შეშფოთება. მიუხედავად ამისა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ხანმოკლე გაციებას არ მოუხდენია გავლენა შეერთებული შტატების საერთო სტრატეგიულ კურსზე იფსრ-ის მიმართ, რომელიც უკვე 1961 წლის ოქტომბერში შემდეგნაირად იყო განსაზღვრული ევროპულ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მიერ:

1. დახმარების გაწევა იუგოსლავიისთვის - კომუნისტური სახელმწიფოსთვის, რომელმაც წარმატებით გაწყვიტა საბჭოთა დომინირებასთან - ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მყარი უსაფრთხო ბაზის აგებაში და მხარდაჭერა იფსრ-ის მზადყოფნისა შეინარჩუნოს და გააძლიეროს თავისი დამოუკიდებელი სტატუსი;

2. გავლენის მოხდენა იუგოსლავიის ამჟამინდელ და მომავალ მთავრობებზე, რათა მოხდეს მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტების ევოლუცია დემოკრატიის, ჰუმანიზმის და დასავლეთთან უფრო მჭიდრო კავშირებისკენ;

3. გაგრძელდეს კურსი აშშ-ისთვის მაქსიმალური მოგების მიღებაზე იუგოსლავიის უნიკალური როლისგან, როგორც საბჭოთა ბლოკის გარეთ მყოფი დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც დამანგრეველ გავლენას ახდენს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ერთიანობაზე, აგრეთვე სტიმულს აძლევს აღმოსავლეთ-ევროპულ მთავრობებს ეძებონ მეტი თავისუფლება მოსკოვისგან.

1961 წლის ნოემბერში აშშ-მა განაახლეს თანამშრომლობა იუგოსლავიასთან, მიიღეს რა გადაწყვეტილება მიეწოდებინათ რესპუბლიკისთვის 500 ათასი ტონა მარცვალი. 1962 წლის მაისში იფსრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი კოჩა პოპოვიჩი ჩავიდა ვაშინგტონში, სადაც ჩაატარა მოლაპარაკებები აშშ-ის პრეზიდენტთან, სახელმწიფო მდივანთან და მის მოადგილესთან. მათზე დასმული იქნა საკითხი, რომ იუგოსლავიისთვის დაებრუნებინათ სტატუსი „ქვეყნისა ყველაზე დიდი

ხელშეწყობით“. 1962 წლის დეკემბერში შედგა იფსრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი აშშ-ში, სადაც მან განაცხადა, რომ იუგოსლავიას სურს მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება აშშ-თან. ჯ. კენედმა გამოხატა განზრახვა დაებრუნებინა იუგოსლავიისთვის სტატუსი „ქვეყნისა ყველაზე დიდი კეთილხელშეწყობით“, რაზეც 1963 წლის აპრილში განაცხადა კონგრესში (**Космач Е.Н. 2008:172**).

ამან შექმნა წანამძღვრები აშშ-ის და ისფრ-ის ისტორიაში იუგოსლავიის პრეზიდენტის პირველი ვიზიტისთვის შეერთებულ შტატებში, რომელიც შედგა 1963 წლის ოქტომბერში. ჯ. კენედმა მისასალმებელ სიტყვაში დაადასტურა უცვლელია აშშ-ის პოლიტიკისა იუგოსლავიის მხარდაჭერაზე (**Павлов В.С., Пашинцева Е.О. 2010:190**). ორივე პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის განვითარდება ყველა სფეროში, განსაკუთრებით, ჩვეულებრივი ვაჭრობის, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და სხვა კონტაქტების გაფართოების, სფეროში (**Космач Е.Н. 2008:173**). დეკემბერში იუგოსლავიას დაუბრუნეს სტატუსი „ქვეყნისა ყველაზე დიდი კეთილხელშეწყობით“, რამაც ასევე ხელი შეუწყო ორი სახელმწიფოს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას.

ამრიგად, 1964 წლის დასაწყისისთვის ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობები გამოვიდა კრიზისიდან, რომელშიც იყო 1961-1963 წლებში. მათი შემდგომი გაუმჯობესება იმით დასტურდება, რომ 1964 წელს ისფრ გახდა პირველი კომუნისტური ქვეყანა, რომელმაც დაიწყო მონაწილეობა ფულბრაიტის საგანმანათლებლო პროგრამაში (**Мочник J. 2008:91**). 1968 წლისთვის აშშ-ის ტერიტორიაზე მასში მონაწილეობდა 30 სტუდენტი იუგოსლავიიდან, 25 პროფესორი, მკვლევარი და სამეცნიერო მუშაკი, იფსრ-ში კი 20 ამერიკელი სტუდენტი და ფაკულტეტების მუშაკი აშშ-ის მთავრობის პროგრამით, 10 სტუდენტი - სხვადასხვა გრანტის ხაზით (**Мочник J. 2008:92**). მთლიანობაში, აშშ-ის სტრატეგიაში 1960-იანი წლების დასაწყისიდან იფსრ-ს განსაკუთრებული როლი ჰქონდა. სოციალიზმის იუგოსლავური მოდელი მოხერხებული იყო აშშ-სთვის, რადგან მნიშვნელოვანწილად „იზრდებოდა“ ამერიკის ფულზე და იყონ შედარებით დემოკრატიული, იქცა რა საბჭოთა მოდელის ალტერნატივად.

როგორც აღნიშნავს ჯ. მოჩნიკი თავის სადოქტორო დისერტაციაში, ხანდახან უთანხმოება ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობებში შექმნდა გარკვეულ იმიგრანტულ წრეებს თვით აშშ-ში. 1967 წლის იანვარში იუგოსლავიის საელჩოს წინააღმდეგ ვაშინგტონში და საკონსულოების წინააღმდეგ ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოსა და ჩიკაგოში მოეწყო ტერაქტები. აშშ-მა, რათა შეერბილებინა მათი შედეგები, ნებაყოფლობით გამოუყო იუგოსლავებს კომპენსაცია დაუზღვეველი ქონების დაკარგვისა და დაზიანებისთვის, აგრეთვე უზრუნველყო დაზა-რალეულთა უფასო სამედიცინო მომსახურება. მიუხედავად ამისა, რადგან დამნაშავეები არ მონახა, ეს მოვლენები იქცა გამაღიზიანებელ ფაქტორად ბელგრადისთვის. მეორე უსიამოვნო მოვლენა გახდა 1968 წელს ოფიციალური დღესასწაული, რომელიც ამერიკელი ხორვატების თხოვნით მოაწყვეს კალიფორნიის გუბერნატორმა და კლივლენდის მერმა ზაგრებში 1941 წელს ნაცისტური ხორვატული მთავრობის შექმნის წლისთავის აღსანიშნავად. ლინდონ ჯონსონის პრეზიდენ-ტობის დრო აღნიშნული იყო უკანდახევით ჯ. კენედის ხაზიდან, მი-მართული რომ იყო ცალკეულ სოციალისტურ ქვეყნებთან „ხიდების გადებასა და მშენებლობაზე“. ახალ პოლიტიკას ჰქონდა აშკარა ანტიკო-მუნისტური ხასიათი, მაგრამ დამოკიდებულება იუგოსლავიის მიმართ დარჩა ადრინდელი. აშშ-მა მას მხარი დაუჭირა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალურ შეთანხმებაში შესვლისას 1966 წელს და გავლენა მოახდინა „იუგოსლავიის საინვესტიციო კომპანიის“ შექმნაზე, რადგან იფსრ-ის განვითარება მოითხოვდა თანამედროვე დასავლურ მოწყობილობას. ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების აზრით, მოცემული კომპანიის შექმნა გახდა პირველი ნაბიჯი იუგოსლავიის დაბრუნებისა კაპიტალიზმში, და სულაც არა სოციალიზმის იუგოსლავური მოდელის განმტკიცებისა.

იმავე დროს საერთაშორის არენაზე იფსრ გამოდიოდა ვიეტნამში აშშ-ის მოქმედებების მკვეთრი კრიტიკით, რომელმაც აპოთეოზს მიაღწია 1968 წლის აპრილში, როდესაც ბელგრადში ორგანიზებული იქნა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც ხელისუფლება დირიჟორობდა. მაგრამ ი. ტიტო არ ვაჭრობდა ჩრდილოეთ ვიეტნამთან, იუგოსლავიის საქონელი კი ამ უკანასკნელის მისამართით შემოიფარგლებოდა მედიკამენტებით, პლაზმით, სასკოლო ნივთებით და

ტანსაცმლით, რომლებიც იგზავნებოდა იუგოსლავიის წითელი ჯვრის მიერ (**Mocnik J. 2008:74**).

აშშ-ის სტრატეგია იუგოსლავიის მიმართ არ შეცვლილა რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის დროსაც, როდესაც ამერიკული პრიორიტეტები იყო:

1. მოსკოვისგან იუგოსლავიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა;
2. დასავლეთთან ისფრ-ის ურთიერთობების წახალისება;
3. იუგოსლავიის ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა.

1970 წლის შემოდგომაზე შედგა რ. ნიქსონის ვიზიტი ბელგრადში, რომელიც გახდა აშშ-ის პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იუგოსლავიაში. მოცემული ვიზიტით ვაშინგტონი იმედოვნებდა ხაზის გასმას ამერიკის ინტერესისთვის იფსრ-ის დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური განვითარებისადმი, ეჩვენებინა რომ აშშ არ აპირებს გავლენის სფეროების დადგენას, აგრეთვე ხაზის გასმას იმაზე, რომ მას ესმის და ის პატივს ცემს იუგოსლავიის პოლიტიკის მოტივებს, მიუმხრომლობის ჩათვლით. ბელგრადის გარდა რ. ნიქსონი იყო ზაგრებსა და კუმროვეცში, სადაც დაიბადა ი. ტიტო. პრეზიდენტები იხილავდნენ ორმხრივი და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს (მახლობელი აღმოსავლეთი, სამხრეთ აღმოსავლეთი აზია, აღმოსავლეთის და დასავლეთის ურთიერთობები, ევროპული უსაფრთხოება და სხვ.). რ. ნიქსონმა აღნიშნა, რომ ექსპორტ-იმპორტის ბანკმა GUIA-მ მიაღწია შეთანხმებას იფსრ-თან მისთვის კრედიტის მიცემაზე, აგრეთვე გააგრძელა მოქმედება სესხისა, იუგოსლავიის მიერ აშშ-სგან სამოქალაქო თვითმფრინავების შეძენაზე...

იფსრ-ის ხელმძღვანელი ცდილობდა ყველაფერი შესაძლებლის გაკეთებას, რათა არ დაეშვა ნაციონალისტური და სეპარატისტული განწყობის გაძლიერება. ამის⁵ ძირითად ინსტრუმენტს ის იდეოლოგიაში ხედავდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში შენარჩუნებული იყო „იდეოლოგიური“ დისციპლინები, ტენდენციები, რომლებისაც სამართლიანად ემინო-და ი. ტიტოს, თანდათან ძალას იკრებდნენ. 1971 წლის 27 ნოემბერს დაიწყო აქცია ზაგრების უნივერსიტეტის სტუდენტებისა, რომლებიც მოითხოვდნენ განათლების დეიდეოლოგიზაციას და ხორვატიის უფლებას თავისუფლად განკარგოს თავისი სავალუტო რეზერვები. ამ უკანასკნელ მოთხოვნას მხარი

რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამაც დაუჭირა, რაც იყო იმის მოწმობა, რომ ფედერაციულ ვალდებულებებისგან განთავისუფლებისკენ მიისწრაფვიან არა მარტო სახალხო მასების გარკვეული ჯგუფები, არამედ ხორვატიის პოლიტიკური ელიტისაც. რამდენიმე დღის უშედეგო პროტესტის შემდეგ სტუდენტები დაბრუნდნენ აუდიტორიებში, ხორვატიის ხელმძღვანელობა კი გაიწმინდა. ცსს-ს მონაცემებით, სხვადასხვა დონის 800-მდე ფუნქციონერი მოაცილეს პარტიულ მუშაობასა და სახელმწიფო სამსახურს.

ამ მოვლენებმა მიიპყრო აშშ-ის ყურადღება, რადგან ვაშინგტონი შეწუხებული იყო იფსრ-ის სტაბილურობით, აგრეთვე თავად ი. ტიტოს შიშით, რომ შესაძლებელია სსრკ-ის მხრიდან ჩარევა იუგოსლავიაში შიდაპოლიტიკური ვითარების შედარებითი დესტაბილიზაციის დროს. თვითონ აშშ-ში უარყოფდნენ სსრკ-ის მონაწილეობას ხორვატიის მოვლენებში, რაც, კერძოდ, აღნიშნულია დაზვერვის შესაბამის ანალიტიკურ დოკუმენტში. აშშ-ის ყურადღება მათ მიმართ ჩანს, გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, სხვა მასალებშიც, რომლებიც უკვე არ წარმოადგენენ საიდუმლოებას. მათში დაწვრილებით არის გაანალიზებული ხორვატული ნაციონალიზმი და მისი გავლენა იუგოსლავიის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე და წარმოდგენილია შეხედულება მოვლენათა შემდგომი განვითაარების ელჩის რეზიუმეზე.

ვაშინგტონისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის დადებითი ფაქტი, რომ ი. ტიტომ 1968 წლის პრალის გაზაფხულის შემდგომი პერიოდი გამოიყენა რათა მოეცილებინა შესაძლო პროსაბჭოურად განწყობილი უმაღლესი ოფიცრები, აგრეთვე შეცვალა თავდაცვითი სტრატეგია, მიმართა რა ის თავდაცვაზე აღმოსავლეთის ბლოკის მუქარისგან. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის ელჩი ბელგრადში აუცილებლად მიიჩნევდა გაემლიერებინათ ნატოს კონტაქტები იუგოსლავიის სამხედრო ზედაფენასთან, რათა შეემცილებინათ საბჭოთა შეიარაღების მიწოდება იფსრ-ში. ამის მიზეზი იყო ამერიკელთა შიში, რომ რომ იუგოსლავიის არმია სერიოზულად არის დამოკიდებული საბჭოთა სამხედრო ტექნიკაზე. აშშ-ის ელჩის, უილიამ ლეონხარტის საუბრისას იუგოს-ლავიის გენერალური შტაბის უფროსთან, ამ უკანასკნელმა შენიშნა, რომ ამის მთავარი მიზეზი არის მაღალი ფასები დასავლურ იარაღზე და მისი

მიწოდების მკაცრი პირობები. იმავე დროს, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის დაზვერვა მოხსენებაში, რომელიც ეძღვნებოდა იფსრ-ის არმიას, აღნიშნავდა, რომ იუგოსლავია მნიშვნელოვან ძალისხმევას ატანს რათა შეამციროს თავისი დამოკიდებულება უცხოეთის შეიარაღებაზე საკუთარი იარაღის შექმნისა და გამოშვების, ან სხვა ქვეყნებთან ერთად ან ლიცენზირებული წარმოების მეშვეობით.

1971 წლის ოქტომბერში შედგა ი. ტიტოს საპასუხო ვიზიტი აშშ-ში. მისასალმებელ სიტყვაში რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ აშშ-ის და იუგოსლავიის ურთიერთობებს აქვთ მეგობრული ხასიათი, მისი პრეზიდენტი კი არის პირველი რანგის მსოფლიო სახელმწიფო ლიდერი. «ერთი წუთის წინ... - აღნიშნა რ. ნიქსონმა, - ჩვენ ვუსმენდით თქვენი ეროვნული ჰიმნის მუსიკას. ამ ეროვნული ჰიმნის სიტყვებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთ მის ფრაზაში ნათქვამია: „ჩვენ ვიქნებით მყარნი და ძლიერნი როგორც გრანიტის მთა“. ბატონო პრეზიდენტო, დაე მეგობრობა იუგოსლავიასა და შეერთებულ შტატებს შორის ყოველთვის იყოს მყარი და ძლიერი და ჩვენი ერთგულება მსოფლიოში ყველა ერის უფლებსადმი იყოს დამოუკიდებელი ასევე მყარი და ძლიერი იყოს“.

მთლიანობაში, როგორც აღნიშნავს ჯ. მოჩნიკი, ძნელია იპოვო ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო იუგოსლავია შეერთებული შტატებისთვის 1960-იანი წლების ბოლოს-1970-იანი წლების დასაწყისში (Mocnik J. 2008:164). მისი აზრით, ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში იფსრ ძნელად იცილებდა თავს პროსაბჭოური წარსულისგან. ქვეყნებს შორის უთანხმოების კიდევ ერთი წყარო იყო იუგოსლაველი იმიგრანტები, განწყობილნი ბელგრადში მყოფი მთავრობის წინააღმდეგ, რომლებიც პერიოდულად ჩნდებოდნენ ამერიკული მასობრივი ინფორმაციის წყაროებში ან მონაწილეობდნენ საკანონმდებლო საქმიანობაში. იმავე დროს ი. ტიტო და მასთან დაახლოებული პირები აფასებდნენ ამერიკულ პოლიტიკურ მხარდაჭერას და ეკონომიკურ დახმარებას და არ აძლევდნენ თავისთავს პროვოკაციებზე წამოგების უფლებას (Mocnik J. 2008:165). თავის მხრივ, აშშ თავს იკავებდა იუგოსლავიის საშინაო საქმეებში ჩარევისგან და ნაციონალიზმის აფეთქების დროს 1960-იანი წლების ბოლოს-1970-იანი წლების დასაწყისში (Mocnik J. 2008:174).

ამრიგად, ი. ტიტოსა და ი. სტალინის შორის კონფლიქტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები იუგოსლავიას სხვადასხვა დახმარებებს უწევდა, რითაც აკავებდა სსრკ-ს მცდელობებს, დაებრუნებინა იუგოსლავია თავისი გავლენის ქვეშ. თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, იუგოსლავია დიდად იყო დავალებული ვაშინგტონისგან, რომლის ეკონომიკურმა დახმარებამაც დიდი როლი ითამაშა მის ეკონომიკურ წარმატებებსა და კეთილდღეობაში. ამგვარი პოლიტიკის უნიკალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ იუგოსლავია რჩებოდა სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც არ ცდილობდა გაწევრიანებულიყო დასავლური დემოკრატიების რიგებში და საბჭოთა კავშირთან ინარჩუნებდა მზარდ კარგ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა-იუგოსლავიის ურთიერთობებში იყო სხვადასხვა პერიოდები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მათ ჰქონდათ კონსტრუქციული და ურთიერთმომგებიანი ხასიათი.

§ 2. აშშ და კრიზისი იუგოსლავიაში 1990-ანი წლების პირველ ნახევარში

1989 წლის იანვარში შედგა აშშ-ის ორმოცდამეერთე პრეზიდენტ ჯ. ბუშ-უფროსის ინაუგურაცია. ამ დროისთვის ბევრისთვის გასაგები იყო, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა სწრაფად სუსტდება, ძალას იკრებს ცენტრიდანული ტენდენციები საბჭოთა რესპუბლიკებში, ძლიერდება პროდასავლური განწყობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - „ცივი ომი“ თავის დასასრულისკენ მიდიოდა. ეს მოვლენები ასევე ცხადყოფდნენ ისფრ-ის როლის შემცირებას შეერთებული შტატებისა და მთლიანად დასავლეთისთვის. როგორც უორენ ციმერმანი¹ წერდა, „ბუშის ადმინისტრაციის გარიჟრაჟზე ცხადი იყო, რომ რომ აშშ-ის პოლიტიკა იუგოსლავიის მიმართ კორექტირებას საჭიროებდა. ქვეყნის მიერ პირველი რიგის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის დაკარგვა, „ცივი ომის“ სვლა დასასრულისაკენ, ტიტოს მმართველობის არადემოკრატიული გადმონაშთები და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ტიტოს შემდგომი კინკლაობა ხელახალი გააზრებისკენ მოუწოდებდა“ (Zimmermann W. 1996:189).

¹ უორენ ციმერმანი - ამერიკელი დიპლომატი, აშშ-ს ელჩი იუგოსლავიაში 1988-1992 წწ.

ამერიკული დიპლომატიისთვის ისფრ-ის მნიშვნელობის შეცვლა ცხადი იყო უკვე 1989 წლის გაზაფხულზე. უ. ციმერმანის სიტყვებით, ის აპრილში ჩამოვიდა ბელგრადში აშშ-ის ელჩის რანგში „ახალი დღის წესრიგით“, რადგან ის და ლოურენს იგლბერგერი² წინასწარმეტყველებდნენ, რომ იუგოსლავია უკვე აღარ იყო „ცივი ომის“ დროის თავისებური „ბუფერი“ დასავლეთსა და აღმოსავლეთ ბლოკს შორი. და მაინც, ის გარემოება, რომ იუგოსლავიამ შეწყვიტა „ბუფერად“ ყოფნა, არ ნიშნავდა იმას, რომ ის აშშ-სთვის აღარაფერს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ 1989 წელს სახელმწიფო მდივნის მოადგილე გახდა სწორედ ბალკანეთის სპეციალისტი, ზემოთ უკვე ნახსენები ლ. იგლბერგერი, რომელიც 1977-1981 წლებში იყო აშშ-ის ელჩი ბელგრადში. ის ასევე გახდა პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი იუგოსლავიის (რომელიც იშლებოდა) საკითხებში. სწორედ ლ. იგლბერგერმა, ბელგრადიდან დაბრუნების შემდეგ, 1991 წლის თებერვალში გამოხატა მოვლენათა შემდგომი განვითარების თავისი ხედვა: „სისხლი მდინარესავით დაიწყებს დენას“ («It is going to be bloody as hell»). ლ. იგლბერგერი თვლიდა, რომ იუგოსლავია წარმოადგენდა ევროპულ პრობლემას, რომლის დადებითად გადაჭრა შეუძლებელი იყო, ამიტომ აშშ-ის ჩარევა მხოლოდ დააზარალებს ამ საქმეებს (**Power 2003:253**).

1989 წლის ოქტომბერში შედგა იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრ ანტე მარკოვიჩის ოთხდღიანი ვიზიტი აშშ-ში. მასთან შეხვედრისას ჯ. ბუშმა მხარი დაუჭირა იუგოსლავიის მთლიანობას, აგრეთვე მიესალმა მისი მთავრობის ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებსაც უნდა მოეზიდათ უცხოური ინვესტიციები ისფრ-ში. ა. მარკოვიჩისთვის ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ჯ. ბუშის დადებითი გადაწყვეტილება იუგოსლავიისთვის მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ სესხის გაცემის შესახებ. საპასუხოდ, აშშ-მა პრემიერ-მინისტრისგან მოითხოვა რიგი პირობების შესრულება, კერძოდ, უფრო რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარება, ეროვნული ვალუტის ახალი დევალვაცია, ხელფასების მორიგი ზრდის გაჩერება, ხარჯების შემცირება და ა.შ., რომლებზეც ის დათანხმდა. მიღწეული შეთანხმებების ცხოვრებაში გატარებამ გაზარდა დატვირთვა ქვეყნის მოსახლეობაზე,

² ლოურენს იგლბერგერი - ამერიკელი დიპლომატი, აშშ-ს ელჩი იუგოსლავიაში 1977-1981 წწ., აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 1992-1993 წწ.

გამოწვეული 1990 წლის იანვარში დაწყებული „შოკური თერაპიის“ შედეგად, რადგან მთავრობას არ შეეძლო ეპასუხა ინფლაციის გაზრდაზე ხელფასის თუნდაც უმნიშვნელო გაზრდით, რამეთუ მსფ-ის მოთხოვნით ხელფასი გაყინული იყო 1989 წლის ნოემბრის დონეზე. მთლიანობაში, 1989-1990 წლების განმავლობაში აშშ სიტყვებით მხარს უჭერდა ა. მარკოვიჩის მთავრობას და მის საბაზრო რეფორმებს, მაგრამ ჯ. ბუმის ადმიონისტრაციამ და კონგრესმა უარი უთხრეს იუგოსლავიას ფინანსურ მხარდაჭერაზე, მიუხედავად არაერთი თხოვნისა და გაფრთხილებისა, რომ მის გარეშე რეფორმები ჩაფლავდება და გზა გაეხსნება ეთნიკურ ნაციონალიზმს.

1990 წლის ოქტომბერში აშშ-ის დაზვერვამ მოამზადა ანალიტიკური მოხსენება იუგოსლავიის შესახებ, რომელშიც მოცემული იყო უახლოეს მომავალში მისი განვითარების საკმაოდ პესიმისტური სცენარი. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ერთი წლის განმავლობაში ისფრ შეწყვეტს თავის არსებობას როგორც ფედერაციული სახელმწიფო და ორი წლის განმავლობაში დაიშლება, ამასთან, ეკონომიკური რეფორმები ვერ შეძლებენ დეზინტეგრაციული პროცესების შეჩერებას. ანალიტიკოსთა აზრით, სერბეთი მოახდენს ხორვატიის და სლოვენიის ცდების ბლოკირებას, მიმართულს გამოყოფაზე, კოსოვოში მოხდება შეიარაღებული აჯანყება, ბელგრადი კი წააქეზებს სერბული უმცირესობის წინააღმდეგობას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში და ხორვატიაში. დაზვერვა აფრთხილებდა, რომ კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგობა იქნება ხანგრძლივი.

ანალიტიკოსები ნაკლებად შესაძლებელს თვლიდნენ სრულფასოვან ომს რესპუბლიკებს შორის, მაგრამ წინასწარმეტყველებდნენ სერიოზულ კონფლიქტებს ეროვნულ საფუძველზე და აშშ-ის და ევროპის უუნარობას შეინარჩუნონ ისფრ-ის მთლიანობა. დაზვერვაში ვარაუდობდნენ, რომ ვერც იუგოსლავიის კომუნისტური პარტია, ვერც იუგოსლავიის სახალხო არმია ვერ გადაარჩენენ ფედერაციას დაშლისგან. ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ კომპარტიაში ქაოსი სუფევდა, არმიამ კი დაკარგა პრესტიჟი, პირველ რიგში პარტიასთან მჭიდრო კავშირის გამო, მეორეც კი, იმ გავრცელებული შეხედულების გამო, რომ ის წარმოადგენს ინსტიტუტს, რომელშიც დომინირებენ სერბები. ფაქტობრივად, ვერც ეკონომიკური რეფორმები, ვერც არმია, ვერც კომპარტია, ვერც სრულიად იუგოსლავიის რომელიმე პოლიტიკური

მოდრაობა ვერ შეძლებდნენ იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც წარმოიშვა ი. ბ. ტიტოს გარდაცვალების შემდეგ.

ამერიკელი ანალიტიკოსები პროგნოზირებდნენ, რომ რესპუბლიკათა ლიდერები დახმარებისთვის მიმართავენ ვაშინგტონს, ამასთან, ფედერალური და სერბი ლიდერები - ისფრ-ის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის, სლოვენელები, ხორვატები და კოსოვარები (კოსოვოელი ალბანელები) კი - იმ იმედით, რომ მიადწევდნენ ამერიკელებისგან ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების და თვითგამორკვევის მოთხოვნების შესრულებას. მოხსენებაში კეთდებოდა დასკვნა, რომ აშშ-ს ჩაიყოლიებდნენ კონფლიქტში და „მისგან დაელოდებიან პასუხს, მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებზე“. ამრიგად, ვაშინგტონში სერიოზულად ვარაუდობდნენ იუგოსლავიის სწრაფ დაშლას, რომელსაც თან უნდა მოყოლოდა შეტაკებები, რომელთა გადაზრდის შანსი რაიმე უფრო მასშტაბურში დიდი იყო.

სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას იუგოსლავიაში განსაკუთრებული თავისებურებები გააჩნდა: იუგოსლავია წარმოადგენდა სოციალისტურ სახელმწიფოს შერეული ეკონომიკით, მაგრამ ამასთანავე იყო „მიუმხრობლობის“ მოძრაობის ლიდერი და არ შედიოდა არც აღმოსავლეთის ბლოკში, არც დასავლეთის სხვადასხვა გაერთიანებებში (ნატო, ევროკავშირი და სხვ.); იუგოსლავია იყო არა უბრალოდ მრავალეროვნული სახელმწიფო, არამედ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ცხოვრობდა ეთნიკურად შერეული მოსახლეობა, რომლებსაც ისტორიულად რთული ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან; ისფრ იყო მრავალკონფესიური ქვეყანა, რომელშიც ყველაზე გავრცელებული რელიგიები იყო ქრისტიანობის ორი შტო (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი) და ისლამი; იუგოსლავია ოფიციალურად იყო ფედერაცია, მაგრამ 1974 წლის კონსტიტუციით რესპუბლიკებისა და ავტონომიური მხარეებისთვის გადაცემული უფლებამოსილება, მას ფაქტობრივად კონფედერაციად აქცევდა.

ამრიგად, მას, ვინც შეეცდებოდა ჩართულიყო ბალკანეთში არსებული სიტუაციის დარეგულირების პროცესში, მოუწევდა შეჯახება უამრავ ეროვნულ, რელიგიურ, ისტორიულ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა პრობლემებთან. მოვლენათა განვითარების ამგვარ ხედვას არ შეიძლება არ მოეხდინა

გავლენა აშშ-ის შემდგომ პოლიტიკაზე. საეჭვოა, მიზანდასახულად შეფასდეს ჯ. ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან ენთუზიაზმის არქონა სლოვენისა და ხორვატიის სეპარატიზმის გამო როგორც ერთგულება ხელოვნური სახელმწიფოსადმი, რომელიც უარს ამბობს თავისუფლებაზე სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე. სავარაუდოდ, აშშ-ის პოლიტიკა სამოქალაქო ომის დაწყებამდე განისაზღვრებოდა, უფრო არა მისწრაფებით შენარჩუნებულიყო იუგოსლავიის ერთიანობა, არამედ იმის გაგებით, რომ შეუძლებელია მშვიდობიანი დაშორიშორება. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ჯ. ბუშის ადმინისტრაცია მიესალმებოდა მას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაეთანხმებოდა მას, როგორც გააკეთა ეს ჩეხოსლოვაკიის დაშლასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1991 წლის იანვარში უ. ციმერმანმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომ აშშ წინააღმდეგია ძალის გამოყენებით მოხდეს იუგოსლავიის ერთიანობის შენარჩუნება. ერთი მხრივ, ამგვარი პოზიცია თავისთავად ლოგიკური იყო, მაგრამ მეორე მხრივ, ამგვარი განცხადების გაკეთება იმ დროს, როდესაც იუგოსლავია იდგა მძიმე ძვრების ზღურბლზე, შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი განზრახვით, ბიძგი მიეცა ცენტრიდანული პროცესებისთვის ბალკანეთში.

თუმცა პრეზიდენტი ჯ. ბუში ოფიციალურად არ უჭერდა მხარს ბალკანეთის რესპუბლიკების გამოყოფას, აშშ-ის ხაზი ასე თუ ისე მიმართული იყო არა იმდენად ისფრ-ის ერთიანობის შენარჩუნებაზე, რამდენადაც იმაზე, რომ მისი დაშლა პასუხობდეს შეერთებული შტატების ინტერესებს. ეს ინტერესები უახლოეს პერსპექტივაში განისაზღვრებოდა ჩაურევლობით, ან, როგორც მაქსიმუმი, აშშ-ის იძულებითი მონაწილეობით კონფლიქტის გადაჭრაში, ოღონდ არა როგორც ლიდერისა. ამაზე თავის მოგონებებში წერს ვ. კადიევიჩი: „როდესაც აშშ-ის ოფიციალური წრეები ღიად უჭერდნენ მხარს იუგოსლავიის სახელმწიფოს ერთიანობის და დაურღვევლობის პოზიციას, რეალური ქცევა იმ პირებისა, რომლებიც იუგოსლავიურ ნიადაგზე ატარებდნენ ამ პოლიტიკას, პირველ რიგში აშშ-ის ელჩისა ისფრ-ში ბატონი ციმერმანისა, იყო გამორჩეულად დამანგრეველი იუგოსლავიისთვის“. არსებითად, ვ. კადიევიჩი ამგვარ ხაზს აფასებს როგორც დამანგრეველსა და ცინიკურს, თუმცა ფაქტობრივად ის ტარდებოდა რეალპოლიტიკის კალაპოტში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იუგოსლავებს შესაძლებლობა ჰქონდათ შესულიყვნენ დასავლური

დემოკრატიების კლუბში, ნატოში წევრობის ჩათვლით. მაგრამ ამას ამჯობინეს ლავირება აშშ-სა და სსრკ-ს შორის, და სხვადასხვა სარგებლის მიღება თავისი უნუკალური მდგომარეობიდან. და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ეს მდგომარეობა დაიკარგა, შეერთებულ შტატებში არ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას ისფრ-ში არსებული შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამო და იმ ნაბიჯებს დგამდნენ, რომელსაც თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნევდნენ.

როდესაც იუგოსლავიაში დაიწყო სამოქალაქო ომი, აშშ-მა, გამომდინარე თავისი სურვილიდან - გარიდებოდა კონფლიქტს ბალკანეთში - არამართო არ მისცა ევროპელებს დამოუკიდებელი ლიდერობის შესაძლებლობა, არამედ გააგებინა კიდეც, რომ მიიღებს იმ ფორმულას, რომელსაც ევროკავშირში შეიმუშავებენ და მიიღებენ მოლაპარაკებების მსვლელობისას. და თუმცა სლოვენიასა და ხორვატიაში არჩევნების შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ აშშ მტკიცედ უჭერს მხარს ქვეყნის მთლიანობას, დემოკრატიულ ცვლილებებს, ადამიანის უფლებების პატივისცემას და საბაზრო რეფორმებს, ნახევარი წლის შემდეგ, 1991 წლის 23 მაისს სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეკერმა ამ პრინციპებიდან პირველ ადგილზე დააყენა დემოკრატია, იუგოსლავიის მთლიანობა კი - ბოლოზე. ისვე იყო ავტორი ცნობილი ფრაზისა იუგოსლავიის კრიზისის შესახებ: «ამ ბრძოლაში არაფერია ისეთი, რისთვისაც ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ» («We don't have a dog in this fight»).

ივნისში ჯ. ბეიკერი ვიზიტით ჩავიდა ბელგრადში, რათა შეხვედროდა ა. მარკოვიჩს და რესპუბლიკის ლიდერებს. ამერიკელმა დიპლომატმა მოუწოდა სლოვენიასა და ხორვატიას უარი ეთქვათ გამოყოფაზე, და თუკი მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოიპოვონ დამოუკიდებლობა, არ გააკეთონ ეს ნაჩქარევად და ფედერალურ მთავრობასთან მოლაპარაკების გარეშე. სლობოდან მილოშევიჩი გაკრიტიკებული იქნა მისი პოლიტიკისთვის კოსოვოში, მას ასევე განეცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს იუგოსლავიის ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. მაგრამ ა. მარკოვიჩს უთხრეს ისიც, რომ თუ ამერიკელებს მოუხდებოდათ გაეკეთებინათ არჩევანი მთლიანობის შენარჩუნებასა და დემოკრატია შორის, ისინი აირჩევდნენ დემოკრატიას. ჯ. ბეიკერმა ასევე განაცხადა, რომ აშშ წინააღმდეგია სამხედრო ძალის გამოყენებით მოხდეს იუგოსლავიის ერთიანობის შენარჩუნება.

როგორც ჩანს, აშშ-ის ამგვარი განცხადებებით დეზინტეგრაციულმა ძალებმა გაიგეს, რომ მათ ცდებს, მიმართულს ისფრ-ს გახლეჩაზე, არ შეხვდება ვაშინგტონის წინააღმდეგობა. რამდენიმე დღეში, 25 ივნისს, სლოვენიამ და ხორვატიამ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და იუგოსლავიაში დაიწყო სამოქალაქო ომი. არ არის საჭირო ჯ. ბეიკერის განცხადებების პირდაპირი დაკავშირება ორი რესპუბლიკის შემდგომ მოქმედებებთან, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ არ შეეცადა სლოვენიისა და ხორვატიის სეპარატიზმის შეკავებას, რის შემდგომაც იუგოსლავიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. უკვე 3 ივლისს ჯ. ბეიკერმა მორიგ ჯერზე ხაზი გაუსვა ბალკანეთში მშვიდობიანი დარეგულირების აუცილებლობას, და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში აშშ მზად არის მიიღოს ცვლილებები იუგოსლავიის როგორც შიგა, ისე გარე საზღვრებისა.

ამგვარი პოლიტიკა შეიძლება აიხსნას იმით, რომ მიუხედავად ისფრ-ის როლის შემცირებისა, ვაშინგტონისათვის მნიშვნელოვანი იყო მისი შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ რიგ რესპუბლიკებში 1990 წელს არჩევნებში გაიმარჯვეს მემარცხენე პარტიებმა, ქვეყნის სახელწოდებაში კი მაინც რჩებოდა სიტყვა „სოციალისტური“. იუგოსლავიის დაშლა შეიძლება ითქვას, რომ სასურველი იყო აშშ-სთვის, ვინაიდან რამდენიმე პატარა სახელმწიფოს არსებობა, ნაცვლად ერთი დიდი და არასტაბილურისა, რომელსაც გააჩნდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების ჩამოყალიბებული ტრადიცია, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი იყო ქვეყნისათვის, რომელსაც მსოფლიოს ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია.

ფაქტობრივად, ჯ. ბეიკერის ვიზიტი იყო შემობრუნება ჯ. ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკასა იუგოსლავიის მიმართ. მანამდე აშშ ცდილობდა დისტანცირებას ბალკანეთის მოვლენებისგან, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ არ გააჩნდა ჩარევის მიზეზები. ამერიკელებს ესმოდათ, რომ უმოკლეს ვადაში დაიწყებოდა ისფრ-ის დაშლა, მაგრამ ისინი მხარს უჭერდნენ მისი ერთიანობის შენარჩუნებას და საბაზრო ეკონომიკისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის ქვეყნად გადაქცევას. ისინი არამარტო უჭერდნენ მხარს ა. მარკოვიჩის რეფორმებს, არამედ მოითხოვდნენ კიდევ მათ გაგრძელებას, მაგრამ უარს ამბობდნენ პრაქტიკულად დახმარებოდნენ ამაში

იუგოსლავიის მთავრობას. ვ. კადიევიჩის სიტყვებით, „ამერიკამ პრაქტიკულად არაფერი გააკეთა, მათ მიერ გაცხადებული იუგოსლავიის ერთიანობის და მთლიანობის გაძლიერებისთვის. ანტე მარკოვიჩის მთავრობის მიმართ სიტყვიერი მხარდაჭერის პარალელურად, აშშ პრაქტიკულად მხარს უჭერდა მხოლოდ იმ მოქმედებებს, რომლებიც მიმართული იყო იუგოსლავიის დაშლაზე (თავდასხმა სერბეთზე, მხარდაჭერა ალბანური სეპარატიზმისა, უკანდახევა აგრესიული სლოვენური და ხორვატული სეპარატიზმის წინაშე, სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირება და ა. შ.). ამერიკელები არ სთავაზობდნენ პირდაპირ, უშუალო დახმარებას, მაგალითად, მსფ-ის ან სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით, თუმცა ანტე მარკოვიჩი იყო ბატონი ციმერმანის ყველა მითითებების ძალიან დამჯერი შემსრულებელი“ (Кадиевич В. 2007:11).

ჯ. ბეიკერის ვიზიტიდან ორ თვეზე ნაკლებ დროში, თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ბალკანეთის მოვლენებისა, მასში არამარტო არ იყო შეხება იუგოსლავიის ვითარებასთან, არამედ არაფერი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე მთლიანად. მაგრამ მოცემულ დოკუმენტში გაცხადებული იყო, რომ აუცილებელია ამერიკის ლიდერობა მსოფლიოში: „1990-იან წლებში, ისევე, როგორც ამ საუკუნის უმეტეს ნაწილში, ამერიკის ლიდერობას არ აქვს ალტერნატივა. ჩვენი პასუხისმგებლობა ახალ ერაშიც კი არის ძირითადი და გარდაუვალი“³.

სტრატეგიის თანახმად, „ამერიკული ლიდერობა უნდა შეიცავდეს მსოფლიო თანამეგობრობის მობილიზაციას იმისთვის, რომ განაწილდეს საშიშროება და რისკები...თუ სხვები წარუმატებლობას განიცდიან თავისი ტვირთის ზიდვაში, ეს არ გაგვამართლებს ჩვენ“⁴. რადგან აშშ-ს განზრახული ჰქონდა გადაქცევა მსოფლიოს ლიდერად, ლოგიკური იქნებოდა ვარაუდი, რომ ამის განხორციელება რთული იქნებოდა სერიოზული კონფლიქტების გადაჭრაში ლიდერობის გარეშე, მათ შორის, იუგოსლავიის კონფლიქტის. ამასთან დაკავშირებით შეერთებული შტატები უნდა გამხდარიყო ლიდერი ბალკანეთში დარეგულირების საქმეში, იმოქმედებდა რა თავის

³ აშშ-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია, 01.08.1991, გვ. 2

⁴ იქვე.

მოკავშირებთან ერთად. ამავე დროს, 1991 წელს ამის მექანიზმი ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული.

ვაშინგტონი ყოველთვის მოუწოდებდა, რომ მოვლენები იუგოსლავიაში, შესაძლო სცენარების მიუხედავად (ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება თუ მისი დაშლა), განვითარებულიყო მშვიდობიანი გზით, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ივლისის დასაწყისში სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკრიტიკა სლოვენია ძალადობის გავლევებისთვის, იუგოსლავიის სახალხო არმია კი - საპასუხო მოქმედებებისთვის. იმავე დღეს ჯ. ბუშმა წერილით მიმართა იუგოსლავიის პრეზიდენტ ს. მესიჩს, რომელშიც მოუწოდა არ გამოეყენებინა ძალა სლოვენიისა და ხორვატიის წინააღმდეგ და მოეძებნა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ფედერაციის შენარჩუნებას (**Goshko J. 1991:25**). მსგავსი პოზიცია დაიკავა აგრეთვე ლ. იგლბერგერმა, რომელმაც განაცხადა, რომ აშშ „ძალის გამოყენების წინააღმდეგია... რაც ჩვენ გვინდა, ეს არის ახალი კონფედერაცია“.

კონფედერაციის შესახებ წინადადება პირველად გამოთქვეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და მაკედონიის ლიდერებმა 1991 წლის დასაწყისში, რადგან სრულ დანაწევრებაში ისინი ხედავდნენ საფრთხეს თავისი რესპუბლიკებისთვის. ვაშინგტონი იმედოვნებდა, რომ ამგვარი თავისუფალი სტრუქტურა შეძლებდა დაეკმაყოფილებინა სლოვენიელები და ხორვატები, სერბები კი მას ჩათვლიან ერთადერთ გამოსავლად იუგოსლავიის შენარჩუნებისთვის (**Compert D. 1996:126**). როგორც ცნობილია, კონფედერაცია ერთი მხრივ, წარმოადგენს ერთიან სახელმწიფოს, მაგრამ ამასთანავე მის ნაწილებს გააჩნიათ ცენტრისგან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. 1974 წლის კონსტიტუციამ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ მხარეებს მიანიჭა მნიშვნელოვანი დამატებითი უფლებები, რომლებმაც ისფრ ფაქტობრივად გადააქციეს კონფედერაციად. მოცემული ისტორიული ვითარების ფარგლებში კი, მათი დამოუკიდებლობის კიდევ უფრო მეტად გაფართოებას შეეძლო მხოლოდ ერთიანი სახელმწიფოს დაშლა გამოეწვია.

იუგოსლავიის კრიზისის დასაწყისში აშშ-მა დაიკავა საკუთარი ფრთხილი პოზიცია, არავის უჭერდა მხარს და გამოდიოდა იმის მომხრედ, რომ „წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა უნდა მოენახათ თვითონ იუგოსლავიის ხალხებს

დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, მშვიდობიანი მოლა-პარაკებების და კონსტრუქციული დიალოგის გზით“, ყველა მხარის მიერ იმ „ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემით, რომლებიც დაფიქსირებულია ჰელსინკის დასკვნით აქტში და პარიზის ქარტიამი ახალი ევროპისთვის“. ამასთან დაკავშირებით, ხორვატიაში იუგოსლავიის სახალხო არმიის შეჭრა, მიუხედავად მისი მისიისა, დაეცვა სერბული უმცირესობები კრანასა და აღმოსავლეთ სლავონიაში, მტკივნეულად აღიქვს ვაშინგტონში, მით უფრო, რომ იუგოსლავიის სახალხო არმია ხორვატიის გამოყოფის შემდეგ ძირითადად სერბებისგან შედგებოდა.

ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ ჯ. ბუშის ადმინისტრაციაზე ხდებოდა ზეწოლა მასმედიის, კონგრესის, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან იმ მიზნით, რომ აშშ-მა აჩვენოს სერბებს თავისი სამხედრო მზადყოფნა. პენტაგონში ამისათვის შეიმუშავეს რამდენიმე გეგმა, რომელთა განხორციელებას ვარაუდობდნენ ადრიატიკის ზღვაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის მეშვეობით. მაგრამ ჯ. ბუშის გუნდში არ განიხილავდნენ ძალის გამოყენებას ან თუნდაც მის დემონსტრირებას (**Western J. 2004:224**). შედეგად, როდესაც იუგოსლავიის არმიამ 1991 წლის შემოდგომაზე ცეცხლი დაუშინა ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკს, აშშ-მა განაცხადა ძალის შესაძლო გამოყენების შესახებ იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ განიხილებოდა სერიოზულად, განსაკუთრებით, სამხედროების წინააღმდეგობის გათვალისწინებით.

1991 წლის შემოდგომისთვის აშშ-ის დამოკიდებულება კონფლიქტისადმი და მისი ცალკეული ძალებისადმი უფრო გარკვეული გახდა. გაეროს უშიშროების საბჭოს სექტემბრის სხდომაზე, რომელიც იუგოსლავიას ეძღვნებოდა, აშშ-მა აქტიური პოზიცია დაიკავა ბალკანეთის მოვლენების მიმართ. სახელმწიფო მდივან ჯ. ბეიკერის სიტყვებით, ამერიკის პრეზიდენტი შეწუხებული იყო იუგოსლავიის მეზობლების საშიში მდგომარეობით, რომლებიც უკვე ეჯახებოდნენ ლტოლვილთა ნაკადს, ენერჯის შეფერხებებით მიწოდებას და კონფლიქტში ჩართვის საფრთხეს. ჯ. ბეიკერმა განაცხადა, რომ სერბეთის ხელმძღვანელობის და იუგოსლავიის არმიის ჭეშმარიტი მიზანი არის „მცირე იუგოსლავიის“ ან „დიდი სერბეთის“ შექმნა, და რომ

ამერიკის შეერთებული შტატები ვერ შეეგუება და არც შეეგუება იუგოსლავიის მხრიდან რეპრესიებს და ძალის გამოყენებას ამის მიზნის განხორციელებისთვის.

ამგვარად, პირველად იუგოსლავიის კრიზისში ჯ. ბუმის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დაასახელა ის, ვისაც ბრალი ედება იუგოსლავიაში ვითარების გამწვავებაში. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში ვაშინგტონში იქნება სწორედ ეს შეხედულება, მაშინაც კი, როდესაც ის აბსურდული ჩანდა. ის შეიძლება დაყვანილი იქნეს ფორმულამდე: ბრალი ყოველთვის სერბებისაა, მაშინაც კი, როდესაც ფაქტები პირუკუს ამბობენ. 1991 წლის 25 სექტემბერს აშშ-მა ხმა მისცა გაეროს უშიშროებს საბჭოს N713 რეზოლუციას, რომელიც ემბარგოს აწესებდა იუგოსლავიისთვის იარაღის და ყველა სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებაზე. ამ რეზოლუციის მიღების კვალად გაეროს გენერალურმა მდივანმა დანიშნა თავისი წარმომადგენელი იუგოსლავიაში, რომელიც გახდა საირუს ვენსი, შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი.

ამერიკის კონგრესი ასევე აკვირდებოდა ვითარებას ბალკანეთში. 1991 წლამდე კონგრესში ძირითადად წუხდნენ კოსოვოში არსებულ მხელვარებაზე, მაგრამ მოკლე ხანში ამას დაემატა შემფოთება მთლიანად ისფრ-ის გამო. 1991 წლის აპრილში სენატმა სერბეთის პრეზიდენტ ს. მილოშევიჩს მოუწოდა შეეწყვიტა რეპრესიები კოსოვოს ალბანელი მოსახლეობის მიმართ, იუგოსლავიის პრეზიდენტ ბ. იოვიჩსა და იუგოსლავიის სახალხო არმიას კი - თავი შეეკავებინა ძალის გამოყენებისგან ბოსნია-ჰერცეგოვინის, ხორვატიის, მაკედონიის და სლოვენის დემოკრატიულად არჩეული მთავრობების წინააღმდეგ⁵. მასში მიღებული იქნა ნედლის-ბენტლის შესწორება, რომლის თანახმად ამერიკული დახმარება იუგოსლავიისათვის ჩერდებოდა იმ მიზეზით, რომ სერბეთის ხელმძღვანელობამ დაბლოკა ხორვატიის წარმომადგენლის - ს. მესიჩის არჩევა ისფრ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე, რაც შეფასდა, როგორც დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვა.

რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი, საგარეო საქმეთა კომიტეტის ერთ-ერთი წამყვანი წევრი, მოუწოდებდა თეთრი სახლის ადმინისტრაციას აელო

⁵ S. RES. 106. April 18, 1991. To Express Senate Support for Democracy and Human Rights in Yugoslavia and Senate Opposition to the Use of Force Against Democratic Republic Governments in Yugoslavia.

თავისთავზე ლიდერობა ბალკანურ კრიზისში, ნატოს ფარგლებში მიეღწია ბოსნია-ჰერცეგოვინაში მსხვილი ძალების განლაგებისთვის, „რომლებიც ტერიტორიას უსაფრთხოს გახდიდნენ, წესრიგს დაიცავდნენ და მოიგერიებდნენ აგრესორს“ (Pomfret J. 1993:9). რ. ლუგარი ასევე მხარს უჭერდა აშშ-ის მიერ გაეროს იმგვარი რეზოლუციის ინიცირებას, რომელიც სანქციას დაუწესებდა სერბეთს ძალის გამოყენებაზე, რის შემდგომაც ნატო მიიღებდა პრევენციულ ზომებს, თუკი სერბეთი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს. სენატორებმა: რობერტ დოულმა, ჯოზეფ ბაიდენმა, ჯოზეფ ლიბერმანმა, კარლ ლევინმა, სემ ნანმა, ლარი პრესლერმა და სხვებმა მხარი დაუჭირეს რ. ლუგარს. მოცემული პოზიცია მოკლედ გადმოსცა ი. ლიბერმანმა: „დადგა დრო ახალი კონტურების გამოკვეთისა - ამჟამად ბალკანეთში - და იმის თქმისა, რომ მილოშევიჩის აგრესია უპასუხოდ არ დარჩება“.

იუგოსლავიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ მალევე, სენატმა დაგმო ძალის გამოყენება პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით და მოუწოდა იუგოსლავიის მთავრობას შეეწყვიტა იუგოსლავიის სახალხო არმიის გამოყენება კრიზისის გადასაჭრელად, სერბეთის მთავრობას კი - იუგოსლავიის პრეზიდენტის არჩევნების ბლოკირება⁶. ივლისში სენატმა კვლავ დაგმო ძალის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იუგოსლავიის ხელისუფლების მხრიდან, მოუწოდა იუგოსლავიის სახალხო არმიას თავი შეეკავებინა სლოვენის და ხორვატიის დემოკრატიული მთავრობების მუშაობისთვის ხელის შეშლისგან, სერბეთის მთავრობას კი - შეეჩერებინა ძალის გამოყენება კოსოვოს ალბანელი მოსახლეობის წინააღმდეგ⁷. სენატორებმა აშშ-ის მთავრობას მოუწოდეს გამოეყენებინა თავისი ლიდერობა იმისათვის, რომ იუგოსლავიის პოლიტიკური სტაბილურობის საკითხებს არ შეეშალა ხელი ძირითადი მიზნისთვის, რომელიც მდგომარეობდა დემოკრატიის და თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფასა და დაცვაში. მათი აზრით, პრეზიდენტს უნდა განეხილა სლოვენისა და ხორვატიის დემოკრატიულ მთავრობებთან პირდაპირი დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარების შესაძლებლობები, სახელმწიფო

⁶ S. RES. 147. June 27, 1991. To Express Senate Opposition to the Use of Force to Resolve Political Differences in Yugoslavia.

⁷ S. RES. 153. July 11, 1991. To Express the Senate's Support for Democratization in Yugoslavia.

დეპარტამენტს კი - პირდაპირი კონტაქტები დაემყარებინა კოსოვოსა და ვოევოდინას დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერებთან⁸.

1991 წლის შემოდგომაზე რეზოლუციების ტონი გაცილებით ხისტი გახდა: სერბეთის მთავრობას აკრიტიკებდნენ ხორვატიის მთავრობის და ხორვატიის რესპუბლიკის მოქალაქეების, აგრეთვე კოსოვოს პროვინციაში მცხოვრები ორი მილიონი ალბანელის წინააღმდეგ აგრესიის ორგანიზების გამო, ხორვატიაში მცხოვრებ სერბებს კი, ეძახდნენ „სერბთა ექსტრემისტულ სამხედრო ფორმირებებს ხორვატიაში“. სენატორთა აზრით, იუგოსლავიაში მდგომარეობის გაუარესება მოითხოვდა აშშ-ის ძალისხმევის გაზრდას კრიზისის გადაჭრისთვის⁹. ისინი აგრეთვე აღნიშნავდნენ ევროკავშირის დადებით როლს, როგორც შუამავლისა მოწინააღმდეგე მხრეებს შორის. ჯ. ბუმის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, რიგი სენატორებისა უფრო გადაჭრით იყო განწყობილი შეერთებული შტატების მონაწილეობისადმი იუგოსლავიის კრიზისში, მაგრამ მათი აზრით, აშშ-ს არ უნდა ეცადა დამოუკიდებლად გადაეჭრა კრიზისი, ამისთვის აუცილებელი იყო გაეროს მექანიზმის გამოყენება¹⁰.

დროთა განმავლობაში ვაშინგტონში მივიდნენ დასკვნამდე, რომ მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას შეუძლია მოახდინოს კიდევ ვითარების სტაბილიზაცია ბალკანეთში, ეს არ უნდა გაკეთდეს ნაჩქარევად. როგორც ჯ. ბეიკერი აღნიშნავდა: „ყოველი რესპუბლიკა ითხოვდა აღიარებას დასავლეთისგან და მისი გაჭიანურება იყო ყველაზე ქმედითი დიპლომატიური საშუალება. დამსახურებული აღიარება იყო დაპირისპირებულ მხარეებზე ჩვენი ზეწოლის ერთ-ერთი ხერხი“. მისი სიტყვებით, თავის იუგოსლავიურ პოლიტიკაში აშშ იხრებოდა ხუთი პრინციპის დაცვისკენ:

1. ქვეყნის მომავალის განსაზღვრა მშვიდობიანი და დემოკრატიული საშუალებებით;
2. საშინაო და საგარეო საზღვრების პატივისცემა;

⁸ იძიი.

⁹ იქვე.

¹⁰ S. RES. 210. October 28, 1991. Relating to Violence in Yugoslavia.

3. დემოკრატიისა და კანონის მხარდაჭერა დემოკრატიული პროცედურების მეშვეობით;
4. ადამიანის უფლებების, მათ შორის, უმცირესობების მიმართ თანასწორუფლებიანი დამოკიდებულების დაცვა;
5. საერთაშორისო სამართლის და ვალდებულებათა პატივისცემა, განსაკუთრებით, ჰელსინკის შეთანხმების და პარიზის ქარტიისა¹¹.

ამრიგად, 1991 წლის მეორე ნახევარში ვაშინგტონში მზად იყვნენ არაუბრალოდ დათანხმებოდნენ იუგოსლავიის დაშლას, არამედ ითვლიდნენ იმასაც, თუ რას მოუტანდა მათ მოცემული ნაბიჯი. რადგანაც ეს შედეგები არ იყო ბოლომდე განსაზღვრული, აშშ-მა გადაწყვიტა მოეცადა რესპუბლიკების აღიარებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ აქტიურ ჩართვას ბალკანურ პოლიტიკაში შეეძლო ნეგატიური გავლენა მოეხდინა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

იმავდროულად, შეერთებული შტატების „დალოდების“ პოლიტიკას რიგი სხვა საფუძველიც გააჩნდა. ისინი დაკავშირებული იყო ბალკანეთის საქმეების დარეგულირების პროცესში ევროპული თანამეგობრობების აქტიურ ჩართვასთან. იუგოსლავიის კრიზისის დასაწყისი ევროპული თანამეგობრობებისთვის იმით ხასიათდება, რომ ისინი შეეცადნენ დამოუკიდებლად, აშშ-ის დახმარების გარეშე, გადაეჭრათ ის. ნაწილობრივ, ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ევროპული თანამეგობრობების ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით, ბრიტანეთი და საფრანგეთი ეჭვით უდგებოდნენ ამერიკის ჩარევას ევროპის საქმეებში, მიაჩნდათ რა, რომ დადგა „ევროპის დრო“ (Riding A. 1991:4). როდესაც 1990 წლის შემოდგომის ბოლოს აშშ შეეცადა ჩაეტარებინა ნატოში კონსულტაციები იუგოსლავიის საკითხზე, საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკელებით ახდენენ ვითარების გაზვიადებით დრამატიზირებას მაშინ, როდესაც ევროპელებს დამოუკიდებლად შეუძლიათ გაუმკლავდნენ თავიანთ საშინაო პრობლემებს“.

1991 წლის გაზაფხულზე ევროპის თანამეგობრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება „სამეულის“ შექმნაზე, რომელშიც შედიოდნენ ევროპის თანამეგობრობების ყოფილი, მოქმედი და მომავალი თავმჯდომარეები. ამრიგად, ევროპელები სერიოზულად

¹¹ იქვე.

ერთვებოდნენ კრიზისის გადაჭრის საკითხში. უფრო მეტიც, ევროპელთა მონაწილეობას მოითხოვდა იუგოსლავიის ზოგიერთი ლიდერი, თუმცა ქვეყანა არ იყო ევროპული თანამეგობრობების წევრი. 7 ივლისს კუნძულ ბრიონიზე ჩატარდა „სამეულის“ შეხვედრა ისფრ-ის პრეზიდენტის წევრებთან, რომელსაც ესწრებოდა ყველა რესპუბლიკის ხელმძღვანელები, გარდა სერბეთისა.

შეხვედრის შედეგების მიხედვით მიღებული იყო ერთობლივი დეკლარაცია. მასში აღიარებული იყო ისფრ-ის ერთიანობა, მაგრამ ამასთანავე აღინიშნა, რომ სლოვენის საზღვარი უნდა გადასულიყო სლოვენის კონტროლქვეშ. დეკლარაცია ასევე ითვალისწინებდა, რომ შეიქმნებოდა სლოვენისა და ხორვატიის მოვლენებზე ევროპის თანამეგობრობის დამკვირვებელთა მისია, რომლის ამოცანა იქნებოდა კონტროლი ხორვატიაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებასა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამხედრო მოქმედებების დაწყების დაუშვებლობაზე. მანამდე კი, 1 ივლისს, კონფლიქტების პრევენციულად თავიდან აცილების ცენტრის (შეიქმნა 1991 წლის ივნისში ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში) საკონსულტაციო კომიტეტმა მიიღო დეკლარაცია იუგოსლავიის სახალხო არმიის სლოვენიიდან და ხორვატიიდან გამოყვანის შესახებ (Гуськова Е.Ю. 2006:75).

ამრიგად, ევროპის თანამეგობრობებმა ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს სლოვენისა და ხორვატიას მათ მისწრაფებაში დამოუკიდებლობისკენ. ნაწილობრივ ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ევროპელებმა ამერიკელებზე ადრე „დაადგინეს“ სერბეთი ბრალდებულად ბალკანეთის მოვლენებში. შესაბამისი დამოკიდებულება სერბებისადმი ვლინდება თუნდაც იმაში, რომ მხოლოდ ისინი არ იყვნენ მიწვეული ბრიონიზე, ანუ ევროპის თანამეგობრობებმა აგრძნობინეს ყველას, მათ შორის დეზინტეგრაციის მომხრეებს, თუ ვისთან სურთ დიალოგი და ვისთან არა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპული თანამეგობრობები აქტიურად ჩაერთნენ იუგოსლავიის კრიზისის დარეგულირებაში, „სამეულის“ გაუქმდა და მისი ადგილი დაიკავა უფრო ფუნდამენტურმა სტრუქტურამ - ევროპული თანამეგობრობების კონფერენციამ იუგოსლავიის საკითხზე (Птушко В.С. 2002:19) (1992 წლის აგვისტოდან - საერთაშორისო კონფერენცია ყოფილი იუგოსლავიის

საკითხზე). მისი თანათავმჯდომარეები გახდნენ გაეროს გენერალური მდივანი საირუს ვენსი და ევროპული თანამეგობრობის ქვეყანა-თავმჯდომარის წარმომადგენელი ლორდი კარინგტონი. კონფერენციას უნდა მოემზადებინა რეკომენდაციები იუგოსლავიის მომავალი კონსტიტუციური მოწყობის შესახებ. მაგრამ იმის შემდეგ, რაც სლოვენია და ხორვატიამ გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობის შესახებ (8 ოქტომბერი) და ბოსნიისა და ჰერცეგოვინას სკუპშჩინამ მიიღო მემორანდუმი სუვერენიტეტის შესახებ (15 ოქტომბერი) კონფერენციამ მოახდინა ისფრ-ის არსებობის შეწყვეტის კონსტატაცია და განაცხადა, რომ შესაძლებელია იმ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება, რომლებიც ამას ისურვებენ. ლოგიკურია, რომ იუგოსლავიის არსებობის შეწყვეტის ფაქტის აღიარებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ ერთი რამ - დამოუკიდებლად იქნას აღიარებული ყველა ან ზოგიერთი მისი შემადგენელი ნაწილი.

ამრიგად, 1991 წლის ოქტომბერში ცხადი გახდა, რომ ევროპელები მიდრეკილი არიან აღიარონ იუგოსლავიის ზოგიერთი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ანუ, მათი პოზიცია განსხვავდებოდა ოფიციალური ამერიკულისგან. სრულიად შესაძლებელია, რომ თვით შეერთებულ შტატებში მიდიოდა ფარული მუშაობა, რომლის მიზანი იყო დაერწმუნებინათ პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ელიარებინა როგორც მინიმუმი, ხორვატია. ხორვატთა მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები ატარებდნენ მრავალრიცხოვან ლობისტურ კამპანიებს თეთრ სახლსა და კონგრესში და იყენებდნენ ამერიკულ მასმედიას, რათა მიეპყროთ ამერიკელთა ყურადღება ხორვატი ხალხის პრობლემებზე. ჯერ კიდევ 1991 წლის ზაფხულში ამერიკელმა ხორვატებმა მოაწყვეს 35 ათასკაციანი მსვლელობა ვაშინგტონში, რათა ჯ. ბუშის ადმინისტრაციას უკვე მაშინ ელიარებინა ხორვატია.

ევროპის მიერ აღიარების ყველაზე შესაძლებელი კანდიდატები იყო მისთვის ტრადიციულად ახლო სლოვენია და ხორვატია. ს. მ. სამუილოვის აზრით, ეს ნაკარნახევი იყო ზოგადცივილიზაციური სოლიდარობის გრძნობით სლოვენებთან და ხორვატებთან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბინადრობდნენ რომანულ-გერმანული ცივილიზაციის განაპირას, წარმოადგენდნენ რა ავსტრია-უნგრეთის ნაწილს და ამიტომ აღიქმებოდნენ დასავლეთის მიერ როგორც „თავისიანები“. თუ

სლოვენიაში ეროვნული საკითხი არ იდგა პრობლემად, ხორვატიაში მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სერბები შეადგენდნენ. მათთვის კონფერენციის მიერ გათვალისწინებული იყო ეროვნული უმცირესობის განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსი. ლორდ კარინგტონის გეგმას დაშორიშორების შესახებ დაეთანხმნენ სლოვენიის, ხორვატიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, მაკედონიის და ჩერნოგორიის წარმომადგენლები. ს. მილოშევიჩიც თანახმა იყო ელიარებინა სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა, მაგრამ ცდილობდა შეენარჩუნებინა იუგოსლავიის შემადგენლობაში სხვა რესპუბლიკები, ამიტომ სერბეთის წარმომადგენლებმა უარი თქვეს გეგმის ხელმოწერაზე.

ამის საპასუხოდ, ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებმა 1991 წლის 7-8 ნოემბერს მიიღეს გადაწყვეტილება შემოეღოთ ეკონომიკური სანქციები სერბეთისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ, ერთი თვის შემდეგ კი ევროპული თანამეგობრობის 12 სახელმწიფოს მეთაურები შეთანხმდნენ, რომ აღიარებდნენ სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობას 1992 წლის იანვრის შუახანებში (**Radin C., Staff G. 1991 :17**). გადავადება დაკავშირებული იყო გაეროს და აშშ-ის მოწოდებასთან მიეცათ დრო მშვიდობისმყოფელთა განთავსებისთვის, რომლებიც დააშორიშორებდნენ სერბებსა და ხორვატებს.

ამრიგად, ევროპელებმა საბოლოო არჩევანი გააკეთეს ისფრ-ის დაშლის და რიგი მისი რესპუბლიკის აღიარების სასარგებლოდ. მოცემული გადაწყვეტილება არ ემთხვეოდა ოფიციალურ პოზიციას შეერთებული შტატებისა, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა საბოლოოდ დაზუსტებული თავისი პოზიცია ამ საკითხში. მიუხედავად ამისა, დაზვერვის პროგნოზები, ჯ. ბეიკერის განცხადებები და თვით ვითარება ბალკანეთში იმის სასარგებლოდ იყო, რომ აშშ ევროპული თანამეგობრობის კვალად გააკეთებს ანალოგიურ არჩევანს. ვაშინგტონის ინტერესებში არ შედიოდა დაპირისპირება ევროპელ მოკავშირეებთან საგარეო-პოლიტიკური საკითხების გამო, მით უმეტეს, რომ „ცივი ომი“ დასრულებული იყო, წინანდელი იუგოსლავიის შენარჩუნება კი ძალზედ ნაკლებად შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით, ჯ. ბუშმა მხარი დაუჭირა ევროპული თანამეგობრობის ემბარგოს იუგოსლავიაში ნავთობის მიწოდების საკითხზე (**David Ch. 1995 :198**). ვაშინგტონი ასევე სოლიდარული იყო ევროპასთან

სერბებთან მიმართებაში, მაგრამ რესპუბლიკების აღიარების საკითხში აშშ-მა აიღო „პაუზა“.

1948 წლიდან მოყოლებული აშშ განსაკუთრებულ პოლიტიკას ატარებდა იუგოსლავიის მიმართ, რომელიც იმაზე იყო გამიზნული, რომ განემტკიცებინა და გაეფართოებინა ის ბზარი კომუნისტურ სისტემაში, რომლებიც წარმოიქმნა ი. ტიტოს კონფლიქტის შედეგად ი. სტალინთან. ისფრ უნდა გამხდარიყო იმის მაგალითი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის, თუ რა სიკეთე მოაქვს კარგ ურთიერთობებს დასავლეთთან და დამოუკიდებლობას მოსკოვისგან. მოცემულ პოლიტიკას არ მოუტანია აშკარა სასურველი შედეგები, მაგრამ მისი მეოხეობით ისფრ-მ შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და თავიდან აიცილა შესაძლო დაბრუნება აღმოსავლეთ ბლოკში. „ცივი ომის“ დასრულებასთან ერთად იუგოსლავიამ დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა აშშ-სთვის. ვაშინგტონში დიდად იყვნენ დარწმუნებული, რომ იუგოსლავია მოკლე ხანში დაიშლება, რის გამოც აშშ ნაკლებად შეეცადა მისი ერთიანობის შენარჩუნებას. თეთრი სახლი არ იჩენდა განსაკუთრებულ აქტიურობას იუგოსლავიის კრიზისის მიმართ, რადგან ჯერ არ იყო შემუშავებული მექანიზმი მისი მონაწილეობისა ბალკანეთის მოვლენებში. იმავდროულად, 1991 წელს შეინიშნებოდა ამერიკელების მიერ სერბეთის ნეგატიურად აღქმის ტენდენცია, ისევე, როგორც ტენდენცია თავისი ევროპელი მოკავშირეების აზრის გათვალისწინებისა, რამაც გავლენა მოახდინა აშშ-ის შემდგომ პოლიტიკაზე.

ბოსნიის ომი ყველაზე ჩახლართული იყო. ბოსნიაში ცხოვრობდა 44% ბოსნიელი მუსლიმი, 31% სერბი, და 17% ხორვატი (8 სხვა). 1990 წელს მოსული კოალიცია მალე დაიშალა. 1991 წელს სერბებმა პროტესტის ნიშნად პარლამენტი დატოვეს და შექმნეს სერბ ხალხთა სკუპჩინა პრეზიდენტით რადოვან კარაჯიჩი. 1992 წელს ხორვატებმა და მუსლიმებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ბოსნიის ომში მართლაც ყველა ყველას ებრძოდა. სერბები ხორვატებსა და ბოსნიელებს (სერბეთის დახმარებით) ხორვატები ამ ორს. ყველაზე ცუდ სიტუაციაში იყვნენ ბოსნიელი მუსლიმები, რომლებიც მოუმზადებლები შეხვდნენ ომს, თუმცა მათ დასახმარებლად დაირაზმნენ მუჰაჯირები მუსლიმური სამყაროდან.

ომი საშინელი სისასტიკით მიმდინარეობდა. ადგილი ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკების არსებობას. უკვე საფრთხე იქმნებოდა მესამე მსოფლიო ომის, მუსლიმური სამყარო უკვე აშკარად იმუქრებოდა. ამიტომაც კონფლიქტის დარეგულირებაში ჩაერთო ნატო. 1995 წელს დაიწყო სამხედრო ოპერაცია რუსეთთან ერთად სერბთა წინააღმდეგ და არა მარტო. ხელი მოეწერა დეიტონის ხელშეკრულებას რომელიც რთული სახელმწიფოებრივი კონფიგურაციის შექმნას ითვალისწინებდა და ასევე სამშვიდობოების ყოფნას. ომს მოჰყვა დიდი ადამიანური მსხვერპლი დაიღუპა 100 000 ამაღე ადამიანი მათ შორის 50 000 ამაღე მშვიდობიანი მოსახლე.

თავი III. კოსოვოს კონფლიქტი და აშშ-ს ლიდერობა მის გადაწყვეტაში

სლოვენის, ხორვატიის და ბოსნიის ომების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევის შანსი გაუჩნდათ სერბეთის ავტონომიურ მხარეში - კოსოვოში მცხოვრებ ეთნიკურ უმრავლესობას - ალბანელებს, რომლებიც თავიანთი სეპარატისტული მიზნების გამო ხშირად განიცდიდნენ რეპრესიებს იუგოსლავიის მთავრობის მხრიდან, რომელსაც სერბი სლობოდან მილოშევიჩი ედგა სათავეში. ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირებამ კოსოვოში პიკს მიაღწია 1998 წლის თებერვალში და ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სერბეთის ავტონომიურ მხარეში, კოსოვოში, რომელიც ისტორიულად საუკუნეების განმავლობაში სერბეთის ტერიტორიას წარმოადგენდა, 1998 წლის დასაწყისიდან მკვეთრად გამწვავებულმა კონფლიქტმა სწრაფად შეიძინა საერთაშორისო ხასიათი. მასში პირდაპირ ან ირიბად იქნენ ჩაბმულნი ევროპის და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციები და ა.შ. თუმცა კოსოვოს კრიზისის გადაწყვეტაზე მოქმედი მთავარი გარე ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იყო, რომელიც ნატო-ს მთავარ, მამოძრავებელ ძალას და პოსტბიპოლარული სამყაროს ლიდერ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

კოსოვოს კრიზისი გახდა მეორე მასშტაბური მოვლენა ბალკანეთში ბოსნია და ჰერცეგოვინის შემდეგ, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები ღებულობდა მონაწილეობას 1990-ან წლებში. რაც იყო, გარკვეულწილად ლოგიკური გაგრძელება აშშ-ს პოლიტიკისა რეგიონში. 1998-1999 წლებში კოსოვოში განვითარებული მოვლენების მძიმე შედეგები დღემდე იგრძნობა, საკითხი კი მიუხედავად კოსოვოს დამოუკიდებლობის მრავალი სახელმწიფოს მიერ აღიარებისა, არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი. აშშ-ს მოქმედებები კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში არის მისი არამარტო ბალკანური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, არამედ მთლიანად მისი მოქმედებების და პოლიტიკისა საერთაშორისო არენაზე 1990-ან წლებში. ამრიგად,

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესწავლა კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მისი პოლიტიკის საერთო ხაზი XX საუკუნის ბოლო ათწლეულში.

§ 1. აშშ-ს გააქტიურება კოსოვოს პრობლემის მიმართ 1998 წლიდან

დეიტონის შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის (შემდგომ, ისრ) მიმართ შეზღუდვების მოქმედება შეჩერებული იქნა განუსაზღვრელი ვადით¹². გადაწყვეტილება იუგოსლავიის და ბოსნიელი სერბების მიმართ სანქციების გაუქმების შესახებ უშიშროების საბჭომ მიიღო 1996 წლის 1 ოქტომბერს¹³, როდესაც ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ჩატარდა არჩევნები, ეუთომ კი დაადასტურა მათი შედეგები.

ორი წლის განმავლობაში დეიტონის შემდეგ, აშშ დაკავებული იყო ომის შემდგომი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკითხებით. ამასთანავე, ეს არ ნიშნავდა რომ ბალკანეთის დარჩენილი ნაწილი რჩებოდა აშშ-ის ყურადღების გარეშე. იუგოსლავია, თუმცა დასუსტებული სანქციების შედეგად, *de facto* და *de jure* რჩებოდა დამოუკიდებელი, არ მიისწრაფოდა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსსად კი რჩებოდა ს. მილოშევიჩი, რომლის მიმართაც აშშ არ იყო კეთილგანწყობილი. მილოშევიჩი, მ. ოლბრაიტის სიტყვებით, რჩებოდა უკანასკნელ სერიოზულ წინააღმდეგობად, დემოკრატიულ ევროპაში ბალკანეთის ინტეგრაციის გზაზე. უფრო მეტიც, ვითარება კოსოვოში კვლავ რჩებოდა დაძაბული, რის გამოც შეერთებული შტატები ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკრიტიკებდა ბელგრადს.

ამ ფონზე, 1997 წელს ალბანეთის ჩრდილოეთში, სადაც მთავრობა ჩამოგდებული იყო და შეიმჩნეოდა დეზორგანიზაცია ხელისუფლებისა, ამოქმედდა ალბანელი ტერორისტების სამი საწვრთნელი ბანაკი. ისინი შეიქმნა ბალკანეთში ჯერ კიდევ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში მოქმედი კერძო სამხედრო კომპანიის-

¹² გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1022 (1995) 22.11.1995.

¹³ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1074 (1996) 01.10.1996.

„პროფესიული სამხედრო რესურსები“-ს დახმარებით (Волков 2002:27). გაერთიანდნენ რა, ალბანელმა ტერორისტებმა უწოდეს თავის ორგანიზაციას კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია (კგა). ხორვატიაში 1992-1996 წლებში რუსეთის ელჩის ლ. ვ. კერესტეჯიანცის აზრით, უკვე 1997 წელს ცხადი გახდა, რომ აშშ და ნატო იწყებს კოსოვოელი ალბანელების მხარდაჭერას, რაც მათ აძლევდა ტერორისტული საქმიანობის სტიმულს (Керестеджиянц 2008:51).

1998 წ. დასაწყისში კგა-მ გაზარდა თავდასხმების რიცხვი იუგოსლავიის ოფიციალური და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებზე, მშვიდობიან სერბებზე, ასევე ალბანელებზე, რომლებიც მხარს უჭერდნენ ისრ-ის ცენტრალურ ხელისუფლებას. თებერვალში ბელგრადი იძულებული გახდა დაეწყო მხარეში ფართომასშტაბიანი ოპერაცია პოლიციების დამატებითი ძალების გამოყენებით. ამის პასუხად, კგა-მ მიმართა ბრძოლისუნარიან ყველა ალბანელ მამაკაცს და მოუწოდა მათ, აიღონ ხელში იარაღი და შევიდნენ მის რიგებში. ამრიგად, კოსოვოს ავტონომიურ ოლქში ვითარების მკვეთრად გამწვავებამ, აშშ-ს თავისი ბალკანური პოლიტიკის გააქტიურების აუცილებლობა დაანახა.

აშშ-სთვის კოსოვოს საკითხი არ იყო უცხო. ჯერ კიდევ 1969 წელს აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური აღნიშნავდა, რომ ეთნიკურად ალბანურ კოსოვოშიც კი ეროვნული წინააღმდეგობები სერიოზულად გამწვავდა. შემდგომში კოსოვოს პრობლემა ნახსენები იქნება დაზვერვის დღეისთვის უკვე გამჟღავნებულ დოკუმენტებში. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში კოსოვოს თემა პერიოდულად დგებოდა კონგრესში, რომელიც ბრალს დებდა სერბეთის ხელისუფლებას, რომ მხარეში ირღვევა ადამიანის უფლებები. პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლამდე ცოტა ხნით ადრე ჯ. ბუშმა მიმართა ს. მილოშევიჩს „სამობაო გაფრთხილებით“, რომელიც გახდა დასაწყისი ამერიკის ჩართულობისა კოსოვოს საკითხში. აშშ-ის დაზვერვა იუწყებოდა კოსოვოში ფეთქებადსაშიში ვითარების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ უკვე 1997 წლის თებერვალში, ანუ ერთი წლით ადრე კოსოვოს მოვლენების დაწყებამდე, აშშ თავის მიზნად აცხადებდა დემოკრატიულ სერბეთს ავტონომიური კოსოვოთი. ახალი საუკუნისთვის ეროვნული უსაფრთხოების 1997 წლის სტრატეგიის შესაბამისად, ვინაიდან აშშ მუშაობს ევროპული უსაფრთხოების

ვრცელ არქიტექტურაზე, მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ უსაფრთხოების რეგიონულ გამოწვევებზე. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის მიზანი ბალკანეთში იყო დემოკრატია და საბაზრო რეფორმების გატარება ბოსნიისა და ჰერცეგოვინას მეზობლების მიერ, აგრეთვე კოსოვოს ავტონომიის აღდგენა სერბეთში¹⁴. გამომდინარე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიიდან, აშშ-ს შეეძლო განეხილა კოსოვოს კრიზისი როგორც მუქარა ევროპული უსაფრთხოებისა და თავისი ჰუმანიტარული ინტერესებისთვის. ამასთან დაკავშირებით, კოსოვოს კრიზისთან მიმართებაში, ვაშინგტონს მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა დიპლომატია, მაგრამ თუ ეს არ მოიტანდა სასურველ შედეგს, სრულიად შესაძლებელი იყო ძალის გამოყენება. რამეთუ აშშ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენებდა თავის შეიარაღებულ ძალებს ევროპაში, პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრის ყველაზე შესაძლებელი სცენარი იყო ნატოს ჩართვა საქმეში. ამერიკელები ვარაუდობდნენ, რომ ს. მილოშევიჩს შეეძლო კოსოვოში კონფლიქტის პროვოცირება იმისთვის, რომ გადაერთო მოსახლეობის ყურადღება ეკონომიკური პრობლემებიდან, ანუ ვაშინგტონის აზრით, სწორედ ბელგრადის და არა კგა-სგან გამომდინარეობდა ბალკანეთში ძალადობის ახალი კერის შექმნის საშიშროება. აშშ, რომელიც ტრიუმფატორად გამოვიდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში და რომლის საგარეო-პოლიტიკურ ვექტორში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ვერ გახდებოდა რეგიონში ახალი შეიარაღებული შეტაკებების გვერდიდან მაყურებელი.

1998 წლის თებერვალში ბ. კლინტონმა გაგზავნა სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი რობერტ გელბარდი კოსოვოში მზარდი კრიზისის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. პრესკონფერენციაზე დიპლომატმა განაცხადა, რომ „თავისი მოქმედებების მიხედვით კგა წარმოადგენს ტერორისტულ ჯგუფს“. ბელგრადში ყოფნისას მან მაღალი შეფასება მისცა იუგოსლავიის თანამშრომლობას დეიტონის მოლაპარაკებების ჩატარებისას და აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები განსაკუთრებით მაღლიერია ს. მილოშევიჩის მიერ აღმოჩენილი მხარდაჭერის გამო. კოსოვოს სიტუაციასთან მიმართებით რ. გელბარდმა მოახდინა იმის კონსტატაცია, რომ ძალადობის დიდ ნაწილს აშშ მიაკუთვნებს პოლიციას, მაგრამ ასევე გმობს

¹⁴ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ახალი საუკუნისთვის. მაისი, 1997.

მიუღებელ ძალადობას კოსოვოში ტერორისტული ჯგუფების, განსაკუთრებით კგა-ის მხრიდან. იმავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტი ახსენებდა კგა-ს როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა ფინანსდება ჰეროინით ვაჭრობის და ისლამური სახელმწიფოებისგან მიღებული სახსრებით.

მოკლე ხანში ამერიკელი დიპლომატების ტონი შეიცვალა. ბელგრადის ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი გახდა სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, რომელმაც განაცხადა, რომ აშშ არ აპირებს უყუროს, თუ როგორ აკეთებს სერბეთის ხელისუფლება კოსოვოში იმას, რასაც უკვე დიდი ხანია ვეღარ აკეთებს ბოსნია-ჰერცეგოვინაში (**Erlanger S. 1998:6**). კოსოვოს შედარება ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ბევრ რამეზე მეტყველებდა. ერთი მხრივ, მას უნდა შეეხსენებინა ბელგრადისთვის თუ რა შედეგები მოუტანა ბოსნიელ სერბებს აშშ-ის და ნატოს მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინაში ხორვატების და მუსლიმების მხარდაჭერამ, მეორე მხრივ, ეს იყო გზავნილი მსოფლიო საზოგადოებისთვის, რომ სერბები, ისევე როგორც 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, ატარებენ რეპრესიებს „დიდი სერბული შოვინიზმის“ პოლიტიკის კალაპოტში, ამიტომ ცივილიზებულმა სამყარომ ამას უნდა შეუშალოს ხელი. და მართლაც, უკვე ორი დღის შემდეგ, მიუხედავად იუგოსლავიის სპეცდანაყოფების ოპერაციების იძულებითი ხასიათისა და ალბანელი მეამბოხეების ხისტი პასუხისა, ოლბრაიტმა კოსოვოს მოვლენებს უწოდა ეთნიკური წმენდა (**Swardson A. 1998:13**). ამერიკული დიპლომატიის ხელმძღვანელის კვალად, რ. გელბარდმა კონგრესში გამოსვლისას განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა არ თვლის კგა-ს ტერორისტულ ორგანიზაციად (**Shenon P. 1998:10**). ამრიგად, მისი ცოტა ხნის წინანდელი აზრი, გამოთქმული ბელგრადში, საპირისპიროზე შეიცვალა, კგა კი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითვლებოდა აშშ-ში ოდიოზურ ტერორისტულ ორგანიზაციად, იქცა განმათავისუფლებელ მოძრაობად და თავისუფლებისთვის მებრძოლად. ამას გარდა შეკითხვაზე, იუგოსლავიის წინააღმდეგ ძალისმიერი ზომების შესაძლო გამოყენების შესახებ, დიპლომატმა უპასუხა, რომ პირველ რიგში გამოყენებული იქნება ეკონომიკური სანქციები და დიპლომატური ხასიათის სხვა ზომები, მაგრამ არაფერი არის გამორიცხული.

რუსი მეცნიერის, ელენა სტეპანოვას აზრით, ბალკანეთში არსებული მდგომარეობის სირთულემ არ მისცა ვაშინგტონს საშუალება მკაფიოდ გამოეკვეთა თავისი პოზიცია იუგოსლავიის მიმართ, რის გამოც ეს პროცესი უფრო ხანგრძლივად გაიწელა დროში და 1998 წლის შემოდგომის დაწყებამდე აშშ-ს პოზიცია იყო არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი. ეს აიხსნებოდა როგორც თვით პრობლემის სირთულით, ისე იმით, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობამ ვერ მოასწრო მკაფიოდ განესაზღვრა საკუთარი ინტერესები და პრიორიტეტები კოსოვოს კონფლიქტის მიმართ (**Тренин, Степанова 1999:166**). მაგრამ მ. ოლბრაიტის და რ. გელბარდის განცხადებები საპირისპიროზე მეტყველებენ: უკვე კოსოვოს კრიზისის დასაწყისში ვაშინგტონში მივიდნენ დასკვნამდე, რომ სერბეთის უშიშროების ძალები ატარებენ ეთნიკურ წმენდებს კოსოვოში, ამასთან, აშშ მზად იყო გამოეყენებინა ძალა ამ ძალადობის შეწყვეტისთვის. ისევე, როგორც 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დასავლეთის ლიდერები, მოითხოვდნენ რა თავისუფლების გარანტიებს ეთნიკური ალბანელებისთვის, არ იხსენებდნენ სერბების უფლებებს კოსოვოში, მაშინ როდესაც ალბანელთა თავდასხმების გამო სერბებიც ნამდვილად იმსახურებდნენ თანაგრძნობას.

ბალკანეთის მოვლენებს ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ ნატოში. დაზვერვის ცნობები კოსოვოში ვითარების შესახებ, ადრე რომ კვირაში ერთხელ შემოდიოდა ბლოკის შტაბ-ბინაში, ახლა ყოველდღე შემოსვლას იწყებს. ალიანსის საბჭომ განაცხადა, რომ ნატოს და საერთაშორისო თანამეგობრობას კანონიერი ინტერესი გააჩნია კოსოვოში მოვლენების განვითარებისადმი, მათი გავლენის გამო სიტუაციაზე მთლიანად რეგიონში. ნატოს წარმომადგენლებმა ჩაატარეს შეხვედრა ალბანეთის მთავრობასთან, რომელზეც მზადყოფნა გამოხატეს გაემლიერებინათ სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომლობა, საზღვრების კონტროლისათვის საჭირო კავშირგაბმულობის და გადაადგილების საშუალებების ჩათვლით (**Drozdiak W. 1998:19**). რა თქმა უნდა, ნატოს მხრიდან ამგვარი ინტერესი კოსოვოს პრობლემისადმი ვერ წარმოიშვებოდა მისი ძირითადი წევრის, აშშ-ის გარეშე. როგორც ჩანს, უკვე კრიზისის დასაწყისში თეთრ სახლში გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ნატო კოსოვოს საკითხის გადასაჭრელად სამხედრო მოქმედებების

შემთხვევაში. 1996-1998 წლებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის მოგონებების მიხედვით, უკვე მაშინ შეიქმნა შეგრძნება, რომ კოსოვოს პრობლემა განიხილებოდა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის მიერ იუგოსლავიის შესაძლო საბოლოო დაშლის პრიზმაში სერბეთის მკვეთრი დასუსტების პირობით (Примаков 2007:214). იმავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლის გაზაფხულზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველა არ იზიარებდა თეთრი სახლის თვალსაზრისს კონფლიქტის მხარეთა დახასიათების საკითხში. მაგალითად, 30 აპრილს ნატოს საბჭო გამოხატავს იუგოსლავიის არმიის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებას, მაგრამ იქვე უწოდებს კოსოვოში მყოფ, ოფიციალური ბელგრადისადმი დაპირისპირებულ ძალებს ტერორისტულებს¹⁵.

მარტში ორი საგანგებო სხდომა გამართა ბალკანეთში სიტუაციის რეგულირებაზე მომუშავე საკონტაქტო ჯგუფმა, რომლის წევრები იყვნენ აშშ-ს, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლები. 9 მარტს ლონდონში მ. ოლბრაიტი განაცხადა, რომ ვითარებას კოსოვოში შეიძლება ჰქონდეს ძალიან სერიოზული შედეგები მთლიანად რეგიონისთვის, ამიტომ არ შეიძლება სერბებს მიეცეს საშუალება დარწმუნდნენ, რომ ეს არის იუგოსლავიის საშინაო საქმე. მისი სიტყვებით, ძალადობა დაიწყო არა ალბანელების, არამედ ს. მილოშევიჩის მხრიდან, რომელმაც, ამასთან, ალბანელებს წაართვა ავტონომია, რომელსაც ისინი ფლობდნენ ი. ბ. ტიტოს დროს. სახელმწიფო მდივანი შეეცადა დაერწმუნებინა კოლეგები, რომ კვა არ შეიქმნებოდა, რომ არ ყოფილიყო ალბანელთა უფლებების მუდმივი შეზღუდვები სერბეთის მხრიდან. ასეთივე პოზიცია აშშ-მა დაიკავა საკონტაქტო ჯგუფის სხდომაზე ბონში 25 მარტს, როდესაც მ. ოლბრაიტი მოითხოვდა ბელგრადის მიმართ სანქციების და ზომების მიღებას. აშშ-მა დაარწმუნა მონაწილეთა უმრავლესობა, რომ აუცილებელია ემზარგოს შემოღება იუგოსლავიისთვის იარაღის მიწოდებაზე, კრედიტების გაყინვაზე, კოსოვოში შეტაკებებში ჩართული იუგოსლავიის ჩინოვნიკებისთვის ვიზების გაცემაზე. როგორც, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, საქმეში ჩაერთო გაეროს მექანიზმი. 31

¹⁵ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს განცხადება სიტუაციაზე კოსოვოში, NATO Press Release. № 98 (51). 30 აპრილი 1998.

მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ აკრძალა იუგოსლავიაში შეიარაღების და მას მიკუთვნებული ყველა ტიპის სამხედრო ქონების მიწოდება და მიყიდვა¹⁶. რუსეთმა მხარი დაუჭირა ამ რეზოლუციას, რადგან ემზარგო ვრცელდებოდა კოსოვოელ სეპარატისტებზეც (Примаков 2007:213).

ბელგრადი თავის მხრივ, ალბანელი ტერორისტების წინააღმდეგ სამხედრო ზომების გამოყენების გარდა, ცდილობდა პრობლემის დიპლომატიური საშუალებებით გადაწყვეტასაც. სერბეთმა არაერთხელ მიმართა კოსოვოს „ეროვნული უმცირესობების“ წარმომადგენლებს წინადადებით მიეღოთ მონაწილეობა მოლაპარაკებებში პრიშტინაში. ჩამოაყალიბეს ჯგუფი სერბეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით. 19 მარტს ს. მილოშევიჩმა დანიშნა საკავშირო პრემიერ-მინისტრის მოადგილე თავის სპეციალურ წარმომადგენლად კოსოვოელ ალბანელებთან მოლაპარაკებებში. რამდენიმე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა მოლაპარაკებებში, კოსოვოელმა ალბანელებმა უარი თქვეს მათში მონაწილეობაზე.

მიუხედავად ბელგრადის მიერ მიღებული ზომებისა, აშშ-ის ევროპელმა მომხრეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იუგოსლავიის მთავრობის წარმომადგენლის ჩართვის გამო სერბეთის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში, რადგან მათი აზრით, დიალოგის ერთ-ერთი მხარე უნდა ყოფილიყო სწორედ იუგოსლავიის მთავრობა. ამ მიზეზის გამო, ევროპელები უარყოფითად განეწყვნენ სერბეთის წინადადების მიმართაც, რომელიც სთავაზობდა მოლაპარაკებების ჩატარებას სამთავრობო შენობების კომპლექსში. ევროკავშირი გამოვიდა იმის მომხრედაც, რომ საკითხი კოსოვოს სტატუსის შესახებ ღია ყოფილიყო, ფაქტობრივად უშვებდნენ რა სერბეთისთვის მიუღებელს - ამ სტატუსის შესაძლო შეცვლას¹⁷. საწინააღმდეგოდ საკონტაქტო ჯგუფის მოთხოვნისა, დაუყონებლივ დაეწყოთ დიალოგი წინასწარი პირობების გარეშე, კოსოვოელი ალბანელების ხელმძღვანელობამ წამოაყენა მოთხოვნა, მოლაპარაკებები ყოფილიყო საერთაშორისო შუამავლების საშუალებით მხოლოდ იუგოსლავიის პრეზიდენტის წარმომადგენლებთან¹⁸.

¹⁶ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N 1160 31.03.1998.

¹⁷ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში 8/1998/361 30.04.1998. გვ. 4.

¹⁸ იქვე გვ. 13.

კრიზისის გაგრძელებასთან ერთად, აშშ-ის გარკვეულ წრეებში იზრდებოდა შეშფოთება ახალ საერთაშორისო კონფლიქტში მისი შესაძლო ჩართვის გამო. მ. ოლბრაიტის მოგონებებით, ადმინისტრაცია არ იყო დაინტერესებული მონაწილეობა მიეღო ახალ კონფრონტაციაში, რომელიც ძალის გამოყენების სერიოზულ საფრთხეებს შეიცავდა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და პენტაგონში კი გაჩნდა მზარდი უკმაყოფილება სახელმწიფო მდივნის განცხადებების გამო (**Albright 2003:383**). თავდაცვის სამინისტროში არ გამოხატავდნენ სურვილს გაეგრძელებინათ მისია ბოსნია-ჰერცეგოვინაში, და მით უმეტეს არ იყვნენ დაინტერესებული მონაწილეობა მიეღოთ ბალკანეთის კიდევ ერთ ოპერაციაში. პენტაგონის თავდაჭერილობა ასევე გამოწვეული იყო შესაძლო ტრანსფორმაციით მხოლოდ საჰაერო ოპერაციიდან სახმელეთოზე, რასაც შეეძლო გამოეწვია მნიშვნელოვანი დანაკარგები. განსხვავებით ბოსნია-ჰერცეგოვინისგან, კოსოვოში დაუბრკოლებლივ შეეძლო შესვლა იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილებს, ანუ ოპერაცია გარდაუვლად გამოიწვევდა სერბეთზე დარტყმების აუცილებლობას, ადგილის რელიეფი კი, არ იყო მოხერხებული ჯარებზე თვალთვალის, მათი აღმოჩენისა და განადგურებისთვის. ამასთანავე, თუ ჰაერში დაპირისპირებისას ნატოს ჯარებს ქონდათ უდავო რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობა, იუგოსლავიის სახალხო არმიის სახმელეთო ძალების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბოსნიელი სერბებისას.

კონგრესშიც სიფრთხილით უყურებდნენ კოსოვოს ვითარებას, რომელიც ნაკლებად ჰგავდა ბოსნიის მოვლენებს. ისმოდა გაფრთხილებები, რომ საჰაერო დარტყმები რომც განეხორციელებინათ, ამას შეიძლება არ მოეტანა სასურველი შედეგები, შესაბამისად, საჭირო იქნება სახმელეთო ჯარების ჩართვა. ასევე გაუგებარი იყო, რატომ უნდა რისკავდეს აშშ თავისი ჯარისკაცების სიცოცხლით: ბოსნია-ჰერცეგოვინა თუმცა არა უცხად, მაგრამ აღიარებული იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, კოსოვო კი იყო სერბეთის განუყოფელი ნაწილი. ამასთანავე, თუ შესაძლო ომის საკითხზე კონგრესში იყო აზრთა სხვაობა, ამერიკელი კანონმდებლების დამოკიდებულება ს. მილოშევიჩის მიმართ მუდმივად უარესდებოდა. სპეციალურ რეზოლუციაში ამტკიცებდნენ, რომ

სერბეთის პრეზიდენტს „ბრალი ედება ასობით ათასი ადამიანის სიკვდილში, ათი ათასობით ადამიანის წამებასა და გაუპატიურებაში, სამ მილიონამდე ადამიანის ძალდატანებით გადაადგილებაში“, რომ მან „ჩაიდინა სამხედრო დანაშაულებები, დანაშაულებები კაცობრიობის წინაშე და გენოციდი“¹⁹. ამიტომ შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა უნდა დაიწყონ შესაბამისი მასალის შეგროვება მისი სამართლებრივი დევნისთვის.

თავისი პოზიციის გასამყარებლად მ. ოლბრაიტი გამოვიდა ინიციატორად შეხვედრისა აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სამუელ ბერგერთან, რომელიც შედგა 1998 წლის 23 აპრილს. მასში ასევე მონაწილეობდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტელბოტი და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი რ. გელბარდი. სახელმწიფო მდივანი მოითხოვდა გაეხმოვანებინათ ძალის გამოყენების მუქარა, რადგან მისი აზრით, მხოლოდ ამას შეეძლო შეეჩერებინა ს. მილოშევიჩი. ს. ბერგერმა, თავის მხრივ, უპასუხისმგებლო უწოდა მუქარის შემცველი განცხადების გაკეთებას რაიმე თანმიმდევრული გეგმის არსებობის გარეშე, ანუ, პრეზიდენტის თანაშემწის ამ პოზიციით პრინციპში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არ თვლიდა ძალით დამუქრებას დაუშვებლად, უბრალოდ ეს უნდა მომხდარიყო სიტუაციის ბოლომდე მომწიფების, შესაბამისი ნიადაგის მომზადებისა და გეგმის შემუშავების შემდგომ.

29 აპრილს შედგა საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა რომში, რომლის შემდეგ დაიწყო პერმანენტული მისიები ამერიკის წარმომადგენლის რ. ჰოლბრუკისა და რუსეთის წარმომადგენლის ნ. აფანასიევსკისა. ამრიგად, უკვე 1998 წლის გაზაფხულზე კოსოვოს კრიზისს საერთშორისო ხასიათი მიეცა და ამერიკის შეერთებული შტატები პირდაპირ ჩაერთო მისი დარეგულირების საკითხში. აშშ-ის და რუსეთის წარმომადგენლების მუშაობის შედეგად, 15 მაისს ს. მილოშევიჩი და ი. რუგოვა შეთანხმდნენ მოლაპარაკებების დაწყებაზე, მაგრამ ის შეწყდა იმის გამო, რომ ალბანელებმა უარი თქვეს მასში მონაწილეობაზე. მიზეზად დაასახელეს სერბების ფართომასშტაბიანი პოლიციური ოპერაცია, რომელიც სერბებმა განახორციელეს კოსოვოს განთავისუფლების არმიის ქმედების საპასუხოდ, რომელიც შეეცადა

¹⁹ აშშ-ს კონგრესის რეზოლუცია - S. CON. RES. 105. 14 სექტემბერი 1998.

კონტროლი დაემყარებინა ალბანეთთან მოსაზღვრე რაიონებზე (Примаков 2007:347). მიუხედავად იმისა, რომ ალბანელთა მოქმედებებს ხშირად პროვოკაციული და არაკონსტრუქციული ხასიათი ქონდა, აშშ ძალადობის ესკალაციაში ბრალს ძირითადად სერბეთს სდებდა.

ვაშინგტონის მეორე ნაბიჯი კოსოვოს კრიზისის ინტერნაციონალიზაციის გზაზე გახდა, მაისის დასასრულს ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მხარეში არსებული მდგომარეობის განხილვა. აშშ-მა მხარი დაუჭირა საერთაშორისო სამხედრო ნაწილების დარჩენას მაკედონიაში, გამოვიდა რა მომხრედ იმისა, რომ გაუგრძელდეს მანდატი გაეროს პრევენციული განლაგების ძალებს²⁰. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრებმა სამხედროებს სთხოვეს რეკომენდაციები იმ სამეთვალყურეო საქმიანობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებდნენ გაერო და ეუთო, აგრეთვე ნატოს ძალების პრევენციულ განლაგებასთან დაკავშირებით ალბანეთსა და მაკედონიაში²¹. სპეციალური წარმომადგენელი რ. გელბარდი და ელჩი რ. ჰოლბრუკი შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ სერბეთ-ალბანეთის დიალოგს თუ მხარეები მიმართავენ მათ შესაბამისი თხოვნით²². გადაწყდა, ასევე განეხილათ პოლიტიკური, იურიდიული და აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო შედეგები, იმ მომავალი შემთხვევებელი ზომებისა, რომლებიც შესაძლოა მოითხოვოს ვითარებამ.

არაპირდაპირ, ამერიკელებს მხარი დაუჭირა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმაც, რომელიც ივნისის დასაწყისში შეხვდა ალბანელ ლიდერ იბრაჰიმ რუგოვას. ამ უკანასკნელმა მოუწოდა გაეროს, კოსოვოში საერთაშორისო ინტერვენციის განხორციელებისკენ. ამაზე კ. ანანმა განაცხადა, რომ ვითარება კოსოვოში მიუღებელია და დაარწმუნა ი. რუგოვა, რომ მას შეუძლია ჰქონდეს საერთაშორისო დახმარების იმედი ამგვარი გადაწყვეტილების ძებნისას. უნდა ითქვას, რომ აშშ-ში ძალზე მნიშვნელოვნად თვლიდნენ გაეროს მეთაურის პოზიციას,

²⁰ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1186 (1998) 21.07.1998.

²¹ კოსოვოს შესახებ ნატოს მინისტრიალის განცხადება, NATO Press Release. № M-NAC-1 98 (61). 28 მაისი 1998.

²² გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში S/1998/470 04.06.1998. გვ 8.

ამიტომ მუდმივად ჰქონდათ კონტაქტი მასთან, რათა მათი პოზიციები და დამოკიდებულებები კონფლიქტთან დაკავშირებით ყოფილიყო იდენტური.

9 ივნისს აშშ-მა გაყინა იუგოსლავიის აქტივები, აუკრძალა ამერიკელებს ინვესტირება იუგოსლავიაში, 11 ივნისს კი ბრიუსელში შედგა ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სხდომა. მასზე მიიღეს გადაწყვეტილება, კოსოვოში სერბეთის არმიის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე, აგრეთვე საჰაერო მანევრების ჩატარების შესახებ ალბანეთსა და მაკედონიაში. აშშ-ის თავდაცვის მინისტრ უილიამ კოენის სიტყვებით, აშშ-ს და ნატოს ამაზე სრული უფლება ჰქონდათ.

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ შესაძლებელია ძალისმიერი ზომების გამოყენება იუგოსლავიის წინააღმდეგ, სულ უფრო ხშირად დგებოდა საკითხი მათ იურიდიულ ასპექტზე. ერთი მხრივ, კანონიერის სტატუსის მიცემა სამხედრო ძალის გამოყენებაზე შეეძლო მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს, მეორე მხრივ, ცხადი იყო, რომ რუსეთი გამოიყენებს ვეტოს უფლებას. დიდი ალბათობით იგივეს გააკეთებს უშიშროების საბჭოს მეორე მუდმივი წევრი ჩინეთი. ვაშინგტონში ეს კარგად ესმოდათ, ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა კი ნატოს მხრიდან ძალით მუქარას ამართლებდა იმით, რომ შეუძლებელი იყო უშიშროების საბჭოს ისეთი რეზოლუციის მიღება, რომელიც ნებას დართავდა ძალის გამოყენებაზე (**Guichard 1999:27**).

მ. ოლბრაიტმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია სასურველი, მაგრამ არა სავალდებულო იყო. მისი სიტყვებით, კოსოვოში ვითარების გაუარესება სერიოზულ მუქარას წარმოადგენდა რეგიონული უსაფრთხოებისა და მსოფლიოსთვის, ამიტომ მსოფლიო თანამეგობრობას საფუძველი ჰქონდა მიეღო ესა თუ ის ზომები, გაერო-ს წესდების 51 მუხლის შესაბამისად²³. აღსანიშნავია, რომ მოცემული მუხლი ითვალისწინებს უფლებას ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ უსაფრთხოებაზე გაეროს წევრზე შეიარაღებული თავდასხმის დროს. იუგოსლავია არავის დასხმია თავს, ის საკუთარ ტერიტორიაზე ატარებდა ოპერაციას სეპარატისტული ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთა მიზანი იყო კოსოვოს გამოყოფა

²³ მაღლენ ოლბრაიტის პრესკონფერენცია ლონდონში, 12 ივნისი 1998.

სერბეთისგან, ამიტომ არც 51 მუხლი გაეროს წესდებისა, არც მისი სხვა ნორმები არ იძლეოდა იუგოსლავიის წინააღმდეგ ძალის გამოყენების უფლებას.

რამდენიმე დღის შემდეგ, სენატში გამოსვლისას, მ. ოლბრაიტმა გაიხსენა „საშობაო გაფრთხილება“, რომელიც ჯ. ბუშმა თეთრი სახლიდან წასვლის წინ გააკეთა. მისი სიტყვებით, ის ძალაში დარჩა, ანუ, აშშ არ გამორიცხავდა ცალმხრივ სამხედრო მოქმედებებს სერბეთის წინააღმდეგ. სახელმწიფო მდივანმა დაადასტურა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც სანქციას მისცემდა ნატოს მიერ სამხედრო ძალის გამოყენებას, სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო²⁴. როდესაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობინ კუკმა სატელეფონო საუბარში გადასცა მას თავისი იურისტების შეშფოთება, რომლებმაც ეჭვი გამოთქვეს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ძლის გამოყენების კანონიერებაზე, მ. ოლბრაიტმა უპასუხა: „დაიქირავეთ სხვა იურისტები“ (**Albright 2003:384**). ამრიგად, აშშ არ იყო სერიოზულად შეწუხებული ძალის შესაძლო გამოყენების ლეგიტიმურობით. რაღაც გამოსავალი ამ ვითარებიდან, რომელიც მისცემდა შესაძლო დარტყმებს თუნდაც გარეგნული კანონიერების სტატუსს და მეტ-ნაკლებ ლეგიტიმურობას შეიძლება გამხდარიყო ძალის გამოყენებაზე თანხმობა რაც შეიძლება მეტი ქვეყნისგან, განსაკუთრებით, ნატოს წევრი ქვეყნებისგან.

აღსანიშნავია, რომ აშშ, მოუწოდებდა რა მხარეებს მშვიდობისკენ, მხოლოდ იუგოსლავიისგან მოითხოვდა რეპრესიებში ჩაბმული უშიშროების ძალების დაუყოვნებლივ გამოყვანას და არაფერს ამბობდა ალბანელთა ტერორისტულ თავდასხმებზე. აშშ თვლიდა, რომ მოლაპარაკების დასაწყებად უნდა განხორციელდეს ქვედანაყოფების სრული გამოყვანა. ამრიგად, კოსოვოში ძალადობის შეწყვეტას ვაშინგტონი პირველ რიგში უკავშირებდა იუგოსლავიის სპეცდანაყოფების სრულად გამოყვანას.

როგორც ცნობილია, მათი შეყვანა იყო საპასუხო ზომა ძალადობაზე, რომელთა პროვოცირებას ახდენდნენ ალბანელი სეპარატისტები და რომელიც უკვე არსებობდა მხარეში, შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეთა დაბრუნება სერბეთის ყაზარმებში სულაც არ ნიშნავდა ვითარების სტაბილიზაციის გარანტიას. პირიქით, მოცემულ

²⁴ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში S/1998/470 04.06.1998. გვ. 8.

ნაბიჯს შეიძლება დაერწმუნებინა ალბანელები, რომ დასავლეთი მხარს უჭერს მათ მოქმედებებს და სეპარატისტულ განწყობას, რასაც შესაძლოა ბიძგი მიეცა ტერორისტების მხრიდან ახალი პროვოკაციებისთვის. ამასთანავე, ცნობილი იყო ფაქტი, რომ ალბანელი ტერორისტების თავდასხმის ობიექტი იყო არა მარტო სერბები, არამედ ალბანელებიც, ლოიალური ბელგრადის მიმართ (**Erlanger S. 1998:6**). ამრიგად, ს. მილოშევიჩი, სპეცქვედანაყოფების გამოყვანაზე უარის თქმით, მართალია ინარჩუნებდა იუგოსლავიის მთლიანობას და დევნიდა სეპარატისტებს, მაგრამ ეს აშკარად მხოლოდ დროებითი იყო, ვინაიდან აშშ-ს და მთელ ცივილიზებულ სამყაროს ფაქტიურად უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ მიუღებელია იუგოსლავიის ხელისუფლების მოქმედებები, რაც გულისხმობდა პრობლემის გადაჭრას სისხლის ღვრით. ამერიკელები განაგრძობდნენ ბელგრადის კრიტიკას და ნაკლებად იმჩნევდნენ კგა-ს მოქმედებებს, რომელიც იუგოსლავიის არმიის მსგავსად მიმართავდა ეთნიკურ წმენდას, მასობრივ მკვლევლობებსა და გაუპატიურებებს, მაგრამ ძალთა უთანასწორობის და მასშტაბების გათვალისწინებით ყოველივე ეს იუგოსლავიის არმიის მხრიდან უფრო თვალშისაცემი იყო.

იუგოსლავიის ხელმძღვანელობა იყენებდა დიპლომატიურ ძალისხმევას, რათა გადაეჭრა კონფლიქტი, ან თუნდაც მიეღწია მისი საერთაშორისო შეფასებების დაახლოება იუგოსლავიის პოზიციებთან. რუსეთის და იუგოსლავიის პრეზიდენტების მოლაპარაკებებზე ივლისის შუახანებში ს. მილოშევიჩი დათანხმდა დაეშვა საერთაშორისო დამკვირვებლები კონფლიქტის ზონაში, განეახლებინა მოლაპარაკებები ი. რუგოვასთან და კოსოვოელი ალბანელების ზომიერი პოლიტიკური ძალების სხვა წარმომადგენლებთან, ავტონომიის მისაღები ფორმების შესახებ. იმავე დროს იუგოსლავიის პრეზიდენტი არ დაეთანხმა უშიშროების ძალების გამოყვანას კოსოვოდან, დატოვა რა დაუკმაყოფილებელი დასავლეთის ქვეყნების ძირითადი მოთხოვნა, მაგრამ მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ტერორისტული აქტიურობის შეწყვეტის შესაბამისად უშიშროების ძალები დაიწყებენ იმ ადგილების დატოვებას, რომლებიც არ არის გამოყოფილი მათი მუდმივი დისლოკაციისთვის, იმ დროს, როდესაც საერთაშორისო შუამავლები ცდილობდნენ მოენახათ მშვიდობიანი დარეგულირების გასაღები, სერბეთი კი მიდიოდა დათმობებზე, რუსეთის იმ

დროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის აზრით აშშ, როგორც ჩანს, ეწეოდა არაოფიციალურ მოლაპარაკებებს კოსოვოელ ალბანელებთან კოსოვოს შემდგომი ბედის შესახებ (Примаков 2007:216). ამას არ შეეძლო არ გაემხნეებინა კოსოვარები შემდგომ ბრძოლაზე, როგორც ადრე მუსულმანები ბოსნია-ჰერცეგოვინაში შეერთებული შტატების მხარდაჭერამ, რაც ორივე შემთხვევაში იწვევდა კონფლიქტის ესკალაციას. უფრო მეტიც, შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ თუ ვაშინგტონი არ პირდებოდა სეპარატისტების წარმომადგენლებს მხარის გამოყოფას სერბეთისგან, ის არც უარყოფდა ამგვარ ვარიანტს. ამის დამამტკიცებელი მოწმობა შეიძლება იყოს იენისში ი. რუგოვას მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „აშშ და ევროპა ავლენენ ჩვენი მოთხოვნების დიდ გაგებას. კოსოვოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც საკითხის გადაჭრა უკვე არ გამოირიცხება“. რთული სათქმელია რის საფუძველზე გაკეთდა ამგვარი განცხადება, ვინაიდან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრიც კი, ნაკლებად დადებითად განწყობილი სერბების მიმართ, მკვეთრად გამოდიოდა დამოუკიდებელი კოსოვოს წინააღმდეგ.

უფრო მეტიც, საკონტაქტო ჯგუფში აშშ-ის წარმომადგენლები განსაკუთრებულ დაჟინებულობას იჩენდნენ, რათა მის დოკუმენტებში არ ყოფილიყო ნახსენები კოსოვოს საკითხის გადაჭრის აუცილებლობა სერბეთის ფარგლებში (Примаков 2007:216). რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ე. პრიმაკოვი იხსენებდა: ამასთან დაკავშირებით „ჩვენ გაგვიჩნდა ეჭვი, რომ საქმე მიდის „შუალედურ“ გადაწყვეტამდე - სერბეთსა და ჩერნოგორიასთან ერთად, კოსოვო გადაიქცეს მესამე რესპუბლიკად იუგოსლავიის შემადგენლობაში, შემდეგ კი ...“(Примаков 2007:344). ამასთან, უკვე ზაფხულში გაჩნდა პირველი ფარული მომასწავებლები რამბუიეს შეთანხმებების მომავალი სამხედრო დანართისა, რამეთუ ავტონომიის საფუძველზე დარეგულირების შემთხვევაშიც კი ნატოს სტრატეგები ხედავდნენ კოსოვოში 20 ათასი ჯარისკაცის განთავსების აუცილებლობას.

მოსკოვის შეთანხმებების შედეგად, კონფლიქტის ზონაში შეიქმნა კოსოვოს მეთვალყურეთა დიპლომატიური მისია, რომელშიც შევიდნენ რუსეთის, აშშ-ის და ევროკავშირის წარმომადგენლები. რიცხოვნობა მისიის ამერიკული ჯგუფისა, რომელიც ყველაზე მრავალ-რიცხოვანი იყო, შეადგენდა 23 ადამიანს. აღსანიშნავია,

რომ მათი უმრავლესობა იყო არა დიპლომატები, არამედ სამხედროები. ევროკავშირის ჯგუფში უპირატესად შედიოდნენ ბრიტანელები, ვაშინგტონის უახლოესი მოკავშირეები კოსოვოს საკითხში. მისიის სპეციალისტები ყოველდღიურად მოგზაურობდნენ მხარეში, ადგენდნენ ანგარიშებს საკონტაქტო ჯგუფის სახელმწიფოებისთვის, ეხმარებოდნენ ეუთო-ს, რომელმაც კოსოვოში თავისი მუშაობა დაიწყო ოქტომბერში. ივლისში აშშ-მა შეარბილა განცხადებების ტონი კოსოვოს ამბებში ბელგრადის ბრალეულობასთან დაკავშირებით და პირველად გამოვიდა კგა-ის საჯარო კრიტიკით, რომ დაუშვებელია ძალადობა და შეუძლებელია კოსოვოს პრობლემის გადაჭრა ძალადობით. მიუხედავად ამისა, ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედებები სხვა რამეში არწმუნებდა კოსოვოელ ალბანელებს: ძალადობას მათ მხრიდან ვაშინგტონი დასაშვებად თვლიდა (**Dempsey 1998 :13**).

ზაფხულის შუახანებისთვის კვლავ გამწვავდა შეიარაღებული შეტაკებები კოსოვოში. მათ ესკალაციას ბიძგი კგა-ის მოქმედებებმა მისცა. რამდენიმე დღით ადრე პრიშტინაში შედგა სხდომა არალეგალური „კოსოვოს რესპუბლიკის პარლამენტისა“, რომელზეც ი. რუგოვამ ყოველ კოსოვოელ ალბანელს მოუწოდა მხარი დაეჭირა და დახმარება გაეწია „განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის“ (**Валуев 2009:282**). მისი მოწოდება არ დარჩა გამოხმაურების გარეშე: 17 ივლისს რამდენიმე მიმართულებიდან დაიწყო ბოევიკების მასშტაბური შეტევა ქალაქ ორახოვაცზე, რომელიც ითვლებოდა სერბი და ალბანელი მოსახლეობის ურთიერთგატანის ცენტრად. ტერორისტთა მოქმედებებს მხარი აუბეს მათივე მომხრეებმა დასახლებულ პუნქტში. ქალაქი დარჩა სერბ პოლიციელთა მცირე ჯგუფის დაცვის ქვეშ, რომლებმაც მოაწყვეს წრიული თავდაცვა პოლიციის საქალაქო განყოფილების შენობაში. იმავე დღეს 700-მდე ბოევიკი შეეცადა გადმოეღობა ალბანეთის საზღვარი. ამ პროვოკაციაზე ლოგიკური პასუხი გახდა კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი ზომები.

როდესაც კოსოვოში გრძელდებოდა სერბეთის უშიშროების ძალების სპეცოპერაცია და კგა უპირატესობას ფლობდა, აქტიურობა აშშ-ის მხრიდან ზომიერი ხასიათის იყო, მაშინ კი, როდესაც აგვისტო-სექტემბერში ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვითარება აიყვანა კონტროლქვეშ, ამერიკელებმა გააძლიერეს ზეწოლა ბელგრადზე. ივლისში აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა რ.

ჰოლბრუკმა მოინახულა ბალკანეთის ზოგიერთი ქვეყანა, ცდილობდა რა მიეღწია იუგოსლავიის საერთაშორისო იზოლაციისა და მის ხელმძღვანელობაზე ზეწოლისთვის (Волков 2002:28). მის ძალისხმევას მხარს უჭერდა ნატო, რომელმაც 1998 წლის 12 აგვისტოს მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება იუგოსლავიაზე შესაძლო სამხედრო დარტყმის შესახებ და განიხილა მის ტერიტორიაზე შეჭრის სამი ვარიანტი. ამასთან, იქნა მიღებული დახურული გადაწყვეტილება, გამოეყენებინათ მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ძალები სახმელეთო ჯარების გამოუყენებლად. ამ დროიდან დაიწყო გაძლიერებული ზეწოლა იუგოსლავიაზე არა მარტო ნატოს, არამედ ევროკავშირის და ეუთოს მხრიდანაც (Волков 2002:18).

რ. ჰოლბრუკი გადაადგილდებოდა კოსოვოში, ხვდებოდა კგა-ს ხელმძღვანელებს და ამრიგად, „ახდენდა ლეგალიზებას მათი ძალადობისა იმით, რომ სთავაზობდა მიეღოთ მონაწილეობა მოლაპარაკებებში კოსოვოელი ალბანელების მხარეზე“ (Волков 2002:18). ამასთანავე, ამერიკელმა დიპლომატმა უარი თქვა შეხვედრაზე სერბ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან, რომელიც ორი წლის განმავლობაში გამოდიოდა სამშვიდობო დარეგულირების გეგმით. თვითონ რ. ჰოლბრუკი თავის მრავალრიცხოვან შეხვედრებს კგა-ის ლიდერთან იმით ხსნიდა, რომ ბელგრადის მიერ ალბანური საკითხის იგნორირების ხანგრძლივი დროის განმავლობაში კოსოვოში არ ჩამოყალიბდა პოლიტიკური ელიტა, ი. რუგოვა კი არ არის კოსოვოელი ალბანელების ერთადერთი აღიარებული პოლიტიკური ლიდერი. გარდა რ. ჰოლბრუკისა, აშშ-ის ელჩი ბელგრადში კრისტოფერ ჰილიც ატარებდა კონსულტაციებს კოსოვოელ ალბანელებთან მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ, რომელშიც უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი კოსოვოს ყველა პოლიტიკური ძალა. დიალოგის დაწყებისთვის აშშ-მა საჭიროდ ჩათვალა დაემყარებინა კონტაქტები კოსოვოს ყველა პოლიტიკურ ლიდერთან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი „პოლიტიკური ლიდერის“ უკან იყო რეალური დანაშაულებები.

გაეროს გენერალური მდივნის აზრით, ალბანური კოსოვოს პოლიტიკურ სცენაზე კგა-ის გამოჩენამ როგორც ძალისა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ალბანურ თემში, ახალი ელემენტი შეიტანა მოლაპარაკებების კონცეფციაში²⁵.

²⁵ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში S/1998/712 05.08.1998. გვ. 8.

კოფი ანანი ამას ხსნიდა იმით, რომ მისი წარმომადგენლები პოლიტიკურ მხარეებისგან მოითხოვდნენ თანხმობას შეიარაღებული ორგანიზაციის არსებობაზე და მისი მნიშვნელოვანი როლის აღიარებას. მით უმეტეს, რომ არცერთი პარტია არ წარმოადგენდა კგა-ს და შესაბამისად, ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა ი. რუგოვას ხელმძღვანელი როლის აღიარებაზე. გარდა ამისა, კგა გამორიცხავდა ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შესაძლებლობას მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში, თუ მას არ აღიარებდნენ მის ერთ-ერთ მონაწილედ. მოკლე ხანში, თითქოს პასუხად რ. ჰოლბრუკის და კ. ანანის წუხილზე, კგა-ს გაუჩნდა პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

21 სექტემბერს კ. ანანი გამოვიდა გაეროს უშიშროების საბჭოზე დამატებით თავის წინარე მოხსენებაზე²⁶ კოსოვოში მდგომარეობის შესახებ. მასში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად სერბეთის წინადადებისა მოლაპარაკებების შესახებ კოსოვოს მომავალ სტატუსზე, ისინი არ დაწყებულა სამხედრო შეტევითი მოქმედებების გაგრძელების გამო. მისი სიტყვებით, კგა-ის მებრძოლები განაგრძობენ ოპერაციებს რიგ ქალაქებსა და სოფლებში, ბევრი მათგანი გადაადის კოსოვოს საზღვარს ორივე მიმართულები, მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაადგილდება ალბანეთში²⁷. ამრიგად, გაეროს გენერალური მდივანი ადასტურებდა, რომ ბელგრადის ცდებზე დაწყებულიყო მოლაპარაკებები, ალბანელები პასუხობდნენ სამხედრო მოქმედებების გაგრძელებით. საინტერესო იყო აგრეთვე თეზისი ალბანეთთან საზღვრის მუდმივ დარღვევებზე. საკითხი იმაზე, თუ როგორ იყო ეს შესაძლებელი მაშინ, როდესაც მას ნატოს ძალები იცავდა, ღიად რჩებოდა.

კ. ანანმა ასევე განაცხადა, რომ დადგა ძალადობის აპოთეოზი, უწოდა რა ვითარებას ჰუმანიტარული კატასტროფა. მან დაადასტურა, რომ კგა უწევს სერიოზულ სამხედრო წინააღმდეგობას, მაგრამ სერბეთს არ სჯერა, რომ რეალიზებული იქნება მუქარა საერთაშორისო ძალების გამოყენების შესახებ, ამიტომ განაგრძობს სამხედრო შეტევით ოპერაციებს, რისი შედეგი არის ძალზე უხეში ჰუმანიტარული დარღვევები კოსოვოში. ფაქტობრივად, კ. ანანმა განაცხადა, რომ

²⁶ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში OOH S/1998/834 04.09.1998.

²⁷ იქვე

დიპლომატიურ ზეწოლას იუგოსლავიაზე არანაირი შედეგი არ მოაქვს. ამის შემდგომ კი ლოგიკურად სამხედრო მოქმედებაზე გადასვის გზა რჩება. გენერალურმა მდივანმა ასევე დასდო ბრალი სერბეთს იმაში, რომ ის უარს აცხადებს შექმნას პირობები, რათა კოსოვოელმა ალბანელებმა კონსტრუქციული როლი ითამაშონ მათი საკუთარი საქმეების დარეგულირებაში, რაც ფაქტიურად შეუძლებელი იყო, გამომდინარე ალბანელთა პოზიციიდან, რომლებიც არა ავტონომიას, არამედ სერბეთისგან გამოყოფას ითხოვდნენ.

1998 წლის შემოდგომის დასაწყისში ზეწოლა სერბეთზე გრძელდებოდა და ის მზარდი უფსკრული, რომელიც არსებობდა იუგოსლავიის ხელისუფლებასა და კონფლიქტის გადაჭრით დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის, სულ უფრო მოასწავებდა ნატო-ს სამხედრო ინტერვენციისკენ. მზადება კი მისთვის დაიწყო ჯერ კიდევ ზაფხულში. 1998 წლის აგვისტოში ნატომ „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის ფარგლებში ჩაატარა მანევრები ალბანეთში, შემდეგ თვეში - მაკედონიაში. კოსოვოს მიმართ ახალ რეზოლუციაზე კენჭისყრის წინ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს რუბინმა იმედი გამოთქვა, რომ ამ რეზოლუციას მიიღებდნენ და ნატოს მზადყოფნასთან ერთად საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ძალა, ეს რეზოლუცია გახდება ნიშანი ბელგრადისთვის, რადგან დასავლეთის მოთმინება იწურება. ჯ. რუბინის სიტყვებით, თუკი ს. მილოშევიჩს სურს თავიდან აიცილოს სამხედრო ჩარევა, მან უნდა შეაჩეროს რეპრესიები და დაასრულოს ჰუმანიტარული კრიზისი, რომელიც მან შექმნა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ასევე მოუწოდა დაებრუნებინათ ლტოლვილები და დაეწყოს სერიოზული მოლაპარაკებები, რომელშიც არაფერია ისეთი, რაზეც შეუძლებელია შეთანხმება²⁸. ამრიგად, ვაშინგტონი ძალადობის გაღვივებაში უპირველესად კვლავ იუგოსლავიის ხელისუფლებას სდებდა ბრალს და ნაკლებად ამახვილებდა ყურადღებას კგა-ის მოქმედებებზე.

23 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია № 1199, რომელშიც მოითხოვდა მხარეებისგან დაუყონებლივ შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები და უზრუნველყოთ ცეცხლის შეწყვეტა. დოკუმენტი ასევე მოითხოვდა

²⁸ ჯ. რუბინის ბრიფინგი 23.09.1998

იუგოსლავიის უშიშროების ძალებისგან ყველა იმ მოქმედების შეჩერებას, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობას ეხებოდა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ სერბეთის ქვედანაყოფები ეწევიან რეპრესიებს მხარის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭომ მოითხოვა შექმნილიყო პირობები, რათა კოსოვოში განხორციელებულიყო ეფექტური და მუდმივი საერთაშორისო მეთვალყურეობა, ევროპული თანამეგობრობის მეთვალყურეობის მისიის და სერბეთში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ. მასში უნდა ყოფილიყო: ასეთი მეთვალყურეებისთვის მხარეში სრული მისაწვდომობა და გადაადგილების სრული უფლება სამთავრობო ორგანოების მხრიდან რაიმე შეზღუდვის გარეშე, აგრეთვე შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტების გაცემა ამგვარ მეთვალყურეობაში მონაწილე საერთაშორისო პერსონალისთვის. ამგვარი პირობების შექმნა ფაქტიურად შეუძლებელი იყო, იმ პირობებში როდესაც რეგიონში ერთდროულად არსებობდა იუგოსლავიის არმია და კოსოვოს განთავისუფლების არმია. ასე, გაეროს უშიშროების საბჭომ შეახსენა სერბეთს, რომ სწორედ ის არის მთავარი პასუხისმგებელი მასში აკრედიტებული მთელი დიპლომატიური პერსონალის უსაფრთხოებაზე, აგრეთვე იუგოსლავიაში მყოფი მთელი საერთაშორისო პერსონალის და არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციების პერსონალის უსაფრთხოებაზე. უშიშროების საბჭომ მოუწოდა იუგოსლავიის ხელისუფლებას მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მეთვალყურეობით დაკავებული საერთაშორისო პერსონალი არ ყოფილიყო ძალის გამოყენების მუქარის ქვეშ, მისი საქმიანობა კი განხორციელებულიყო რაიმე დაბრკოლების გარეშე.

რეზოლუციაში არაფერი იყო თქმული ბელგრადის წინააღმდეგ ძალის შესაძლო გამოყენების შესახებ, მაგრამ მისი მიღების მეორე დღეს პორტუგალიაში ჩატარდა ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა სხდომა, რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, დაწყებულიყო მომზადება იუგოსლავიის წინააღმდეგ დარტყმებისთვის, აგრეთვე დაზავებაზე კონტროლის შესახებ, თუ ამდაგვარი მიღწეული იქნებოდა. ამგვარად, ჯერ კიდევ 23 სექტემბრამდე ნატოს წევრ სახელმწიფოთა მთავრობები მზად იყვნენ ომისთვის, რამეთუ ძნელი წარმოსადგენია,

რომ პორტუგალიაში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სამხედრო მინისტრებს წინასწარ არ ქონდათ კონსულტაციები თავიანთ მთავრობებთან. იმავე დღეს ნატოს გენერალურმა მდივანმა ხ. სოლანამ გამოაცხადა, რომ ალიანსის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გადასულიყო კოსოვოში ნატო-ს შესაძლო ძალისმიერი მოქმედებებისათვის მომზადების მორიგ ფაზაზე. ეს თანხვედრაში იყო ბ. კლინტონის სიტყვებთან, რომ № 1199 რეზოლუციის მიღებით აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები მიუახლოვდნენ სამხედრო აქციას კოსოვოში იუგოსლავიის ძალების წინააღმდეგ, აღნიშნა რა, რომ ალიანსი გადადის დაგეგმარების სტადიიდან მოქმედებებისთვის მზადყოფნის სტადიაზე.

რეზოლუციის მიღებიდან ერთ კვირაში ზეწოლა იუგოსლავიაზე გაგრძელდა. 1 ოქტომბერს სახელმწიფო დეპარტამენტმა მოუწოდა ამერიკის მოქალაქეებს დაეტოვებინათ იუგოსლავიის ტერიტორია. ამგვარად იუგოსლავიას გააგებინეს, რომ დაბომბვები შეიძლება დაიწყოს უახლოეს დროში, მაგრამ გარკვეული პაუზის შემდეგ, რომელიც აუცილებელია რათა იუგოსლავია დატოვონ იქ მყოფმა ამერიკელებმა. მაშინვე, პრესმდივანმა პემტაგონში განაცხადა, რომ აშშ-ის შეხედულებით ნატოს აქვს უფლება და ვალდებულება იმოქმედოს დამოუკიდებლად ევროპის უსაფრთხოების საკითხებში. 12 ოქტომბერს ბ. კლინტონმა ულტიმატუმი წაუყენა ბელგრადს მოთხოვნით შეასრულოს № 1199 რეზოლუციის მოთხოვნები. თავისთავად ფაქტი, როდესაც ერთი სახელმწიფოს ლიდერი ძალის გამოყენების მუქარით კარნახობს მეორეს, როგორ უნდა განახორციელოს მან თავისი საშინაო პოლიტიკა გარდა ეთიკური ნორმებისა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც, მაგრამ სიტუაცია იმდენად მძიმე იყო, ჰუმანიტარული კატასტროფის მასშტაბები იმდენად დიდი იყო, რომ კოსოვოს კრიზისი უკვე აღარ წარმოადგენდა იუგოსლავიის შიდა პოლიტიკურ საკითხს და საფრთხე ექმნებოდა მშვიდობასა და სტაბილურობას მეზობელ სახელმწიფოებსა და მთლიანად რეგიონში, რაც ეწინააღმდეგებოდა აშშ-სა და ევროპის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონი და ბრიუსელი სავსებით მზად იყვნენ ემოქმედათ. 12-დან 13 ოქტომბრის ღამეს ნატოს ქვეყნებმა მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება ჩაეტარებინათ სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს

თანხმობის გარეშე. ეს გაკეთდა რ. ჰოლბრუკთან კონსულტაციების შემდეგ, რომელმაც მოლაპარაკებების მისიის გაადვილებისთვის მოითხოვა, რომ ნატოს მიერ გადაწყვეტილება დაბომბვების შესახებ. ბელგრადს მიეცა სამი დღე, რათა თავიდან აეცილებინა საჰაერო დარტყმები. თავისი განზრახვის სიმტკიცის დასადასტურებლად, აშშ-მა გადაისროლა ევროპაში დამატებით ექვსი ბომბდამშენი B-52, აღჭურვილი ფრთოსანი რაკეტებით. მიუხედავად აშკარა დანაშაულებებისა კვადრატის მხრიდან, შეერთებული შტატები აქცენტს კვლავ ბელგრადის ძალადობრივ ქმედებებზე აკეთებდა და გეგმავდა დაბომბვა მხოლოდ იუგოსლავიის ობიექტები. ამ პირობებში იუგოსლავია იძულებული იყო მიეღო ზომები. სამი დღის განმავლობაში აშშ-ის წარმომადგენელი რ. ჰოლბრუკი ატარებდა მოლაპარაკებებს იუგოსლავიის ხელმძღვანელობასთან. ბელგრადს წაუყენეს ექვსი მოთხოვნა, რომლებზეც ს. მილოშევიჩი დათანხმდა 13 ოქტომბერს:

1. სერბული ძალების ოპერაციების შეწყვეტა;
2. ბელგრადის მოლაპარაკებების დაწყება მხარის ალბანური თემის ლიდერებთან;
3. კოსოვოდან იუგოსლავიის ჯარების და პოლიციის გამოყვანა, რომლებიც იქ შეიყვანეს 1998 წლის თებერვლის შემდეგ;
4. საერთაშორისო დამკვირვებლების მისიის და ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაუბრკოლებელი დაშვება კონფლიქტის ზონაში;
5. ნატოს ძალები უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას და კონტროლს ცეცხლის შეწყვეტაზე;
6. უზრუნველყოფილი იქნება პირობები ლტოლვილთა დაბრუნებისთვის.

მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, 1998 წლის 15 ოქტომბერს ბელგრადში იუგოსლავიის გენერალური შტაბის უფროსმა და ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა კოსოვოს ტერიტორიაზე საჰაერო კონტროლის ალიანსის მისიის შექმნას (NATO Kosovo Verification Mission). შეთანხმების თანახმად, ნატოს თვითმფრინავებს შეეძლოთ ფრენა ცაში კოსოვოზე უშიშროების საბჭოს №1199

რეზოლუციის დებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისთვის²⁹. თვით კოსოვოში მის შესრულებაზე კონტროლის ფუნქცია დაეკისრა ეუთოს შემმოწმებელ მისიას კოსოვოში, რომელიც ოფიციალურად დამტკიცდა 25 ოქტომბერს. მიუხედავად ამისა, 27 ოქტომბერს ნატოს საბჭომ საჭიროდ ჩათვალა გაურკვეველი ვადით დაეტოვებინა ძალაში 13 ოქტომბრის თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ (Примаков 2007:357).

ფაქტობრივად, ამ შეთანხმებამ გადაარჩინა კვა განადგურებისგან, მისცა რა მას ერთგვარი ამოსუნთქვისა და ძალების მოკრების საშუალება. მიღწეული შეთანხმებები კომფორტული აღმოჩნდა ალბანური მხარისთვის და მათ ეს მხარდაჭერად აღიქვეს, რის გამოც გააფართოვეს თავისი მოთხოვნები. „ზომიერმა“ ი. რუგოვამ დაიწყო იუგოსლავიის ფარგლებში „ალბანური ავტონომიის მაღალი ხარისხის“ მოთხოვნა, კვა-მკი იმის განცხადება, რომ ბალკანეთში მცხოვრები ყველა ალბანელი უნდა გაერთიანდეს დიდ ალბანეთში.

თვით ხსენებას დიდი ალბანეთის შექმნისა, როგორც მინიმუმი უნდა გამოეწვია იმათი სერიოზული შეშფოთება, ვინც გულწრფელად იყო დაინტერესებული ბალკანეთში სტაბილურობით და უსაფრთხოებით და სულ რამდენიმე წლის წინ ბრალს დებდა ბელგრადს იმაში, რომ ის მიისწრაფის „დიდი სერბეთის“ შექმნისკენ. ამერიკა განსაკუთრებით უნდა დაინტერესებულიყო კვა-ს ლიდერთა განცხადებებით, რომლებიც მუდმივად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ აშშ-ის შეეძლო აყვავება მხოლოდ დემოკრატიული და უსაფრთხო ევროპის არსებობისას. ალბანელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა არა მარტო კოსოვოში, არამედ მაკედონიის და ნატოს წევრის - საბერძნეთის იმ რაიონებში, რომლებიც ალბანეთს ესაზღვრებოდა. ამრიგად, დიდი ალბანეთის შექმნის პროცესი შეუძლებელია ამ ქვეყნებში ვითარების დესტაბილიზაციის გარეშე და მისი მასშტაბები იქნებოდა მნიშვნელოვნად უფრო ფართო, ვიდრე გახდა კოსოვო სერბეთისთვის. მაგრამ თეთრი სახლის განზრახვამ ბალკანეთის მიმართ გადაწონა ევროპის უსაფრთხოების საკითხები.

²⁹ შეთანხმება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკას შორის კოსოვოს საკონტროლო მისიაზე - S/1998/991 23.10.1998. გვ 2.

იმავე თვეში ვაშინგტონმა გააცხადა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ახალი ვარიანტი. წინა დოკუმენტში (1997 წელი) აშშ მხოლოდ ახსენებდა კოსოვოს, გამოთქვამდა რა შიშს იქ არსებული მდგომარეობის განვითარებასთან დაკავშირებით და აცხადებდა თავის სურვილებს მხარის ავტონომიურობაზე სერბეთის შემადგენლობაში. ახალი სტრატეგიის თანახმად, შეერთებული შტატები განიხილავდა კოსოვოს კრიზისს როგორც გამოწვევას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის და მოუწოდა გადაეჭრათ კოსოვოს პრობლემა ღია და უპირობო დიალოგის მეშვეობით, ბელგრადში არსებული ხელისუფლებასა და ალბანელთა ლიდერებს შორის. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის მიზნად ცხადდებოდა „კრიზისის მშვიდობიანი გადაჭრა, რაც არის გარანტი ადამიანის და პოლიტიკური უფლებების აღდგენისა, რომლებსაც სისტემატურად ართმევდნენ კოსოვოელ ალბანელებს მას შემდეგ, რაც ბელგრადმა 1989 წელს გააუქმა ავტონომია»³⁰. ამისთვის აშშ მზად იყო განეხილა ნატო-ს მონაწილეობის სხვადასხვა ვარიანტები.

ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ უშიშროების საბჭომ კოსოვოსთან დაკავშირებით მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია. მიესალმა რა მიღწეულ შეთანხმებებს, მან მოითხოვა, რომ კოსოვოელ ალბანელთა ხელმძღვანელებმა დაგმონ და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ყველანაირი ტერორისტული საქმიანობა, ასევე ხაზგასმულ იქნა, რომ ალბანელთა თემის ყველა წევრი უნდა აღწევდეს თავის მიზნებს მხოლოდ მშვიდობიანი გზით³¹. ამრიგად, უშიშროების საბჭომ, რომლის მუდმივი წევრი არის აშშ, აღიარა, რომ კოსოვოს ტერიტორიაზე ხორციელდება ტერორისტული საქმიანობა ალბანელების მხრიდან. ამგვარ ვითარებაში შეერთებულ შტატებს შეეძლო ხელი შეეწყო ბელგრადისთვის ტერორისტებთან ბრძოლაში, გაეგზავნა ჰუმანიტარული ტვირთები ლტოლვილთათვის, შეეთავაზებინა ალბანეთისთვის დახმარება საზღვრის დახურვაზე რათა აეცილებინათ თავიდან ალბანელი ბოევიკების შემოდგომა, და ბოლოს მოეხდინა ზეწოლა კოსოვოელი ალბანელების ხელმძღვანელობაზე, რასაც ვფიქრობთ შესაძლოა გამოეღო შედეგი და სერბეთს შეენარჩუნებინა კონტროლი თავის საყოველთაოდ აღიარებულ ტერიტორიაზე,

³⁰ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ახალი საუკუნისთვის. თეთრი სახლი. ოქტომბერი, 1998. გვ. 38

³¹ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1203 (1998) 24.10.1998.

ალბანელებს კი დაეოკებინათ თავისი სეპარატისტული მოთხოვნები. მაგრამ აშშ-ს ამ დროისათვის უკვე ჰქონდა თვისი ჩამოყალიბებული პოზიცია და გეგმები კრიზისის მოგვარებასთან დაკავშირებით, რომელებიც ნამდვილად არ იყო სერბეთის სასარგებლოდ, რაც განპირობებული იყო იუგოსლავიის ხელმძღვანელობის პოლიტიკური მიუღებლობით. აშშ-მა არჩია გამოეთქვა მუქარა იუგოსლავიის მიმართ, ბრალი დაედო მისთვის და მისი პრეზიდენტისთვის და წამოეყენებინა სამშვიდობო დარეგულირების გეგმა, რომლის მიღება არცერთ მხარეს არ სურდა.

ერთ-ერთი ასეთი გეგმა გახდა ამერიკელი დიპლომატის ქრისტოფერ ჰილის მიერ 11 ნოემბერს წამოყენებული ეგრეთწოდებული „ჰილის გეგმა“, რომლის შესაბამისად კოსოვოელ ალბანელებს უნდა მიეღოთ ადგილების მეხუთედი იუგოსლავიის ფედერალურ ასამბლეაში. მათ ეყოლებოდათ წარმომადგენლები ფედერალურ სასამართლოში და ისინი შევიდოდნენ იუგოსლავიის თავდაცვის უმაღლეს საბჭოში. ამერიკელებმა შესთავაზეს, რომ კოსოვოს მოსახლეობას მისცემოდა უფლებები: თავისი პრეზიდენტის არჩევის, საკანონმდებლო და ფისკალური საქმიანობის განხორციელების, თავისი პოლიციის და სასამართლოსი. მიუხედავად წამოყენებული წინადადებებისა, ალბანელებს მოცემული ვარიანტი არ აწყობდა იმიტომ, რომ არ შეიცავდა მომავალში კოსოვოს სტატუსის შესაძლო შეცვლის წინადადებას. ის არ იყო მისაღები სერბებისთვისაც, რამეთუ ფაქტობრივად ანიჭებდა მხარეს ფართო ავტონომიის სტატუსს, მნიშვნელოვნად ასუსტებდა ბელგრადის კონტროლს ვითარებაზე. უფრო მეტიც, როგორც შემდგომში განაცხადა ვ. კომტუნიცამ (იუგოსლავიის პრეზიდენტი 2000-2003 წწ.), მთელი კოსოვო „ამ ასპექტში ნორმატიულობის თვალსაზრისით წარმოადგენს ცარიელ სივრცეს, გამოყოფილს იუგოსლავიის და სერბეთის იურიდიული სისტემიდან, რომელსაც მიცემული აქვს კანონიერი ხასიათი მხოლოდ ამ გეგმის წყალობით“. თვითონ ქ. ჰილმა კი განაცხადა: ამერიკული გეგმა კოსოვოს მიმართ უნდა იყოს იმგვარად ჩამოყალიბებული, რომ მხარეებს მიეცეს საშუალება სხვადასხვაგვარად გაიგონ ერთი და იგივე დებულებები და ამასთან, არ დააყენონ მუქარის ქვეშ მისი შესრულება.

მას შემდეგ, რაც შემუშავდა „ჰილის გეგმის“ მეორე პროექტი, რომელიც შეიცავდა ორივე მხარის ძირითად მოთხოვნებს, 7 დეკემბერს ალბანელთა მხრიდან

მოლაპარაკების ჯგუფის ხელმძღვანელმა პრეს-კონფერენციის დროს პრიშტინაში განაცხადა, რომ ალბანური მხარე არ ეთანხმება პროექტს. მან განაცხადა, რომ ალბანელები შეიმუშავებენ თავის პროექტს, შემოთავაზებული გეგმა კი ახდენს ნიველირებას კონსტიტუციის, პარლამენტის, პრეზიდენტის ინსტიტუტისა და მთავრობის, რადგან კოსოვო რჩება სერბეთის შემადგენელ ნაწილად. აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო დარეგულირების ორივე გეგმას საფუძვლად ედო დებულებები, განმტკიცებული ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმებით.

სერბიის ხელმძღვანელობამ ასევე წამოაყენა თავისი გეგმა, რომელშიც ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე. ნავარაუდევია იყო, რომ ეთნიკურ თემებს ექნებათ დამოუკიდებლობა, პარლამენტში კი შეიქმნება ზედა პალატა თემების წარმომადგენლებისათვის, სადავო საკითხები გადაწყდებოდა არა კოსოვოში, არამედ სერბეთის პარლამენტში.

1998 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ვითარება კოსოვოში შედარებით მოწესრიგდა, თავდაჭერას იჩენდა ორივე მხარე, მთლიანობაში სრულდებოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ეს სტაბილიზაცია არ იძლეოდა მშვიდობის გარანტიას, რადგან იმ ტერიტორიებზე, რომლებიდანაც ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმების მიხედვით გაყავდათ სერბეთის უშიშროების ძალები, დაიწყეს დაბრუნება კგა-ს ბოევიკებმა. ამასთან დაკავშირებით, დეკემბერში ვითარება კვლავ გამწვავდა, რის გამოც ნატომ კონფლიქტის ორივე მხარეს შეახსენა, რომ აგრძელებს თავის მონიტორინგს ვითარებაზე.

ვაშინგტონმა გამოეხატა თავისი წუხილი კგა-ს პროვოკაციების გამო. ის, რომ მან გაავრცელა თავისი გავლენა ადრე დაკარგულ ტერიტორიებზე, დაადასტურეს გაეროში. კ. ანანის სიტყვებით, ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კოსოვოელი ალბანელების გასამხედროებულმა ფორმირებებმა გამოიყენეს ბრძოლების შეჩერება თავისი კონტროლის აღდგენისთვის კოსოვოს ბევრ სოფელზე, აგრეთვე ზოგიერთ რაიონზე საქალაქო დასახლებების და ავტომაგისტრალების ახლოს³². გაეროს გენერალური მდივნის მონაცემებით 1998 წლის 7 დეკემბრისთვის

³² გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში S/1998/1221 24.12.1998. გვ. 3.

კოსოვოელ ალბანელთა გასამხედროებულ ფორმირებებს გატაცებული ჰყავდა 282 სამოქალაქო პირი და პოლიციელი, რომელთაგან 136-ს ბედი უცნობი იყო.

როგორც შემდგომში გამოჩნდა, ამერიკელთა მიერ ზაფხულში წაყენებული მოთხოვნების შესრულება, რომ უპირველეს ყოვლისა მომხდარიყო სპეცდანაყოფების გამოყვანა კოსოვოდან, რეალურად ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდა. შეთანხმება ჰოლბრუკ-მილოშევიჩისა პირველ რიგში სასარგებლო იყო კგა-სთვის, რომელმაც არა უბრალოდ გააფართოვა მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები, არამედ გამოიყენა დაზავება თავისი ძალების აღდგენისთვის. უფრო მეტიც, ტერორისტები მოიგებდნენ ნატო-ს აქციის დაწყების შემთხვევაშიც, რადგან მათ სჭირდებოდათ დახმარება ჰაერიდან. იუგოსლავიისთვის შესვენება დადებითი იყო მხოლოდ ერთი მიმართებით: მიუხედავად ბევრი პოზიციის დატოვებისა, ნატო-ს დარტყმები გადავადდა. ზამთრის დაწყებაც იყო ბელგრადის მოკავშირე, რადგან ნატოს დაბომბვები გამოიწვევდა ლტოლვილთა ნაკადებს კოსოვოდან, ეს კი წლის ცივ პერიოდში მართლაც გახდებოდა ჰუმანიტარული კატასტროფა.

ამგვარად, აშშ-ის თავდაჭერილი დამოკიდებულება კოსოვოს კრიზისისადმი 1998 წლის თებერვალში, სწრაფად დავიდა ხისტ, მომთხოვნ და მუქარებით სავსე დამოკიდებულებამდე. იუგოსლავიას აბრალებდნენ ვითარების გამწვავებას, ამასთან კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართული იყო პირადად პრეზიდენტ ს. მილოშევიჩზე. აშშ-ის მეშვეობით ზეწოლა ბელგრადზე წარმოებდა გაეროს ხაზით, აგრეთვე ნატოს გამოყენებით, რომელმაც უკვე 1998 წლის ზაფხულში დაიწყო იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის მომზადება. კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას, რომელიც აშშ-ს პოლიტიკას კონფლიქტისადმი თავის მხარდაჭერად აღიქვამდა, არ უთქვამს უარი დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე კოსოვოსთვის, იუგოსლავიას კი არ შეეძლო წასვლა კოსოვოელი ალბანელების პირობებზე. ნატო იძულებული იყო გადაევადებინა იუგოსლავიის წინააღმდეგ უკვე მომზადებული ოპერაციის ჩატარება, რადგან ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმების ხელმოწერისას მშვიდობის შენარჩუნების მიზნით უკვე წავიდა მნიშვნელოვან დათმობებზე. ახლა მხოლოდ სერიოზულ

მოვლენას შეეძლო ებიძგა აშშ და ნატო იუგოსლავიის წინააღმდეგ ომის წარმოებაზე. ეს სერიოზული მოვლენა კი სამწუხაროდ მალევე გამოჩნდა.

§ 2. მოლაპარაკებები რამბუიეში

1999 წლის დასაწყისში საბრძოლო მოქმედებები სერბეთის ქვედა-ნაყოფებსა და კგა-ის შორის განახლდა. ეუთოს წარმომადგენლები არსებითად, თვალს ადევნებდნენ არა მიღწეული შეთანხმებების დაცვას, არამედ საბრძოლო მოქმედებების განახლებას და მიმდინარეობას. კგა-მ 9 იანვარს ჩაიდინა რიგი ტერაქტებისა. ორი დღის შემდეგ პრიშტინაში მოკლეს კოსოვოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, ი. რუგოვას ერთ-ერთი თანამებრძოლი. იმავე დღეს პრიშტინაში 500-მა სერბმა მოაწყო დემონსტრაცია, მათ გააკეთეს მოწოდებები მოემზადონ გაზაფხულზე გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. ამ პირობებში კგა-ს სჭირდებოდა სერიოზული საინფორმაციო საბაზი რათა დასავლეთს მოეხდინა ახალი ზეწოლა სერბებზე, ამასთან, აშშ-ის დაზვერვა აფრთხილებდა ამერიკის ადმინისტრაციას, რომ კგა შეგნებულად ახდენს ბელგრადის პროვოცირებას მკვეთრ მოქმედებებზე, იმ მიზნით, რომ კონფლიქტში ჩაითრიონ შეერთებული შტატები და ნატო.

1999 წლის 15 იანვარს სერბ პოლიციელთა ქვედანაყოფები ატარებდნენ ოპერაციას სოფელ რაჩაკში, რათა დაეპატიმრებინათ იმ პირთა ჯგუფი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ტერორისტული საქმიანობა. ალბანელებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა, რის საპასუხოდაც პოლიციამ ალბანელთა ეთნიკური წმენდა განახორციელა. შედეგად დაილუპა რამდენიმე ათეული ადამიანი. სერბეთის ხელისუფლებამ აცნობა ეუთო-ს კოსოვოს შემოწმების მისიას მომხდარის შესახებ და დაიწყო მოკვლევა.

რაჩაკში ჩამოსული გამომძიებლების ჯგუფიც მოყვა სროლის ქვეშ, ეუთოს წარმომადგენლებმა კი მოითხოვეს, რომ გამოძიება ჩაეტარებინათ პოლიციელთა მონაწილეობის გარეშე. ამრიგად, მომხდარის ადგილზე მისვლა შეეძლოთ მხოლოდ საერთაშორისო გამომძიებელთა ჯგუფს და ჟურნალისტებს.

უკვე 16 იანვარს, ანუ ეუთოს გამოძიების დაწყებამდე, კოსოვოს შემოწმების მისიის ხელმძღვანელი უილიამ უოკერი ისე, რომ არ უცნობებია ოფიციალური ბელგრადისთვის, ჩამოვიდა მოვლენების ადგილზე უცხოელი და ალბანელი ჟურნალისტების თანხლებით, შემდეგ კი ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელზეც ბრალი დასდო ბელგრადს მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მკვლელობაში (**Henriksen 2007:162**). შემდეგ დიპლომატმა დაურეკა მ. ოლბრაიტს და ო. ბერგერს და მათთან საუბარში, ბრალი ხალხის მოკვლაში დასდო სერბებს (**Hudson 2009:140**).

თავის მხრივ, სერბეთის პრეზიდენტი მილან მილუტინოვიჩი გამოვიდა უ. უოკერის მოქმედებების კრიტიკით და განაცხადა, რომ ამ უკანასკნელის მიზანი რაჩაკში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით არის ტერორისტების დაცვა და აგრეთვე ცდა, გადაეტანათ ყურადღება მათი დანაშაულებებიდან „რაც მან უკვე არაერთხელ გააკეთა აქამდე“. იუგოსლავიის მთავრობა არ დაეთანხმა უ. უოკერის დასკვნებს და მოითხოვა მისგან 48 საათში დაეტოვებინა იუგოსლავიის ტერიტორია.

სამი დღის შემდეგ, 19 იანვარს ამას მოყვა უშიშროების საბჭოს რეაქცია, რომელმაც გამოხატა რა სინანული უ. უოკერის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების გამო და მხარი დაუჭირა დიპლომატის და ეუთოს ძალისხმევას მშვიდობიანი დარეგულირებისთვის ხელშეწყობაში, ასევე გააკეთა განცხადება, რომლის საერთო ტონი მიმართული იყო იუგოსლავიის დადანაშაულებებისკენ კოსოვოში მდგომარეობის გამწვავების გამო.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭომ დაგმო ალბანელთა მკვლელობა და მოითხოვა რაჩაკის ინციდენტის საერთაშორისო გამოძიება³³. აღსანიშნავია, რომ ნატოც აღიარებდა იმ ფაქტს, რომ კოსოვოში კონფლიქტის არცერთი მხარე არ იცავდა ცეცხლის შეწყვეტას, ადგილი ჰქონდა ადამიანების გატაცებისა და ადამიანებზე თავდასხმის მთელ რიგ ფაქტებს, განხორციელებულს კოსოვოელი შეიარაღებული ელემენტების მიერ³⁴. მაგრამ, იუგოსლავიის სპეციალური პოლიციის მოქმედებებს ბრიუსელში თვლიდნენ არაპროპორციულად და გადაჭარბებულად. უფრო მეტიც,

³³ ნაჭოს გენ. მდივნის ჰაჯირ სოლანას განცხადება, NATO Press Release. № 99 (003). 17 იანვარი 1999.

³⁴ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში S/1999/99 30.01.1999. გვ. 18.

დაიწყო ალიანსის ძალების დაჩქარებული გადასროლა იუგოსლავიისკენ, მათი საბრძოლო მზადყოფნის დონე კი შეკვეცილი იყო სამიდან ორ კვირამდე.

2000 წლის მარტში გამოქვეყნდა ფინელი სპეციალისტების გამოძიების ოფიციალური მონაცემები რაჩაკის ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მოკლულები ბრძოლაში დაიღუპნენ. მათ ტანსაცმელზე არ იყო ნახვრეტები ტყვიისგან, ანუ მათ ტანთ გადააცვეს უკვე გარდაცვალების შემდეგ. ექსპერტებმა ასევე დაასკვნეს, რომ გარდაცვლილთა ცხედრები გადმოტანილი იქნა მათი აღმოჩენის ადგილზე. ეს არ ეთანხმებოდა ამერიკელთა განცხადებებს, რომელთა მიხედვით ეს ადამიანები ჯერ შეყარეს ერთად, შემდეგ კი დახვრიტეს. ამრიგად, ამ წყაროს მიხედვით რაჩაკში აღმოჩენილი ცხედრები იყო არა მშვიდობიანი კოსოვარებისა, არამედ ბოვიკების. მაგრამ მასობრივი ინფორმაციის წყაროებით უკვე ჩამოყალიბებული იყო საპირისპირო საზოგადოებრივი აზრი. ფინელი მეცნიერ-პათოლოგანატომთა ჯგუფის ხელმძღვანელის ჰელენა რანტას თქმით, უ. უოკერი შეწუხებული იყო მათი გამოძიების შედეგებით, როდესაც გაიგო, თუ რა დასკვნებამდე მივიდნენ ფინელი ექსპერტები. ჰ. რანტას გვიანდელი აღიარებით, მასზე თავდაპირველად ახდენდნენ ზეწოლას, 1999 წლის ზამთარში კი უ. უოკერმა მასთან პირად საუბარში გატეხა ფანქარი და ესროლა მას მისი ორი ნაწილი, როდესაც მან უარი თქვა მკაცრად ესაუბრა სერბების მისამართით (**Gorin 2009:47**).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული დოკუმენტი იწვევს გარკვეულ ეჭვებს რაჩაკის ტრაგედიის ობიექტურ შეფასებასთან დაკავშირებით დასავლეთის მხრიდან. ბევრი მკვლევრის ნაშრომებში, რომლებიც დაწერილია უკვე 2000 წლის შემდეგ, არ არის ხსენებული მოცემული დოკუმენტი. იმ ავტორთა შორის, რომლებიც კრიტიკულად აფასებენ რაჩაკის მოვლენებს, შეიძლება აღნიშნული იქნას პროფესორი მ. მანდელი, რომელსაც მოყავს მათი დაწვრილებითი აღწერა და გამოძიების თავისებურებები (**Mandel 2004:72**).

29 იანვარს ლონდონში შედგა საკონტაქტო ჯგუფის სხდომა, რომელზეც აშშ-მა მხარი დაუჭირა წინადადებას იუგოსლავიის და კოსოვოს ალბანელთა მიმართ 6 თებერვლიდან დაეწყოთ მოლაპარაკებები რამბუიეში (საფრანგეთი) საფრანგეთის და ბრიტანეთის თანათავმჯდომარეობით. 30 იანვარს ნატოს ხელმძღვანელობა გამოვიდა

წინადადებით კონფლიქტის მონაწილეებისადმი დათანხმებოდნენ მოლაპარაკებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა რა მათ დარტყმით. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვა გაეგზავნა როგორც ბელგრადს ისე ალბანელებს, ცხადი იყო, რომ დაბომბვის მუქარა ეხებოდა იუგოსლავიას. სამშვიდობო დიალოგზე სრული და უპირობო თანხმობისკენ, როგორც კრიზისის დარეგულირების ერთადერთ გზისკენ მოუწოდა აგრეთვე კოფი ანანმა³⁵.

მოლაპარაკებების წინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მ. ოლბრაიტმა, თავდაცვის მინისტრმა უ. კონმა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელმა ჰ. შელტონმა ორი დღის განმავლობაში ჩაატარეს რამდენიმე არაოფიციალური შეხვედრა კონგრესის ლიდერებთან, რათა მიეღოთ მათგან თუნდაც თანხმობა აშშ-ის ჯარების განთავსებაზე კოსოვოში მშვიდობისმყოფელი ძალების შემადგენლობაში. მათი სავარაუდო შემადგენლობა მერყეობდა ორიდან ოთხ ათასამდე. ნატოში განაცხადეს, რომ განზრახულია კოსოვოში შეიყვანონ თავისი ჯარების ათი ათას ადამიანისგან შემდგარი ავანგარდი უმაღლვე მას შემდეგ, რაც ბელგრადსა და ალბანელებს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება (**Drozdiak W. 1999:31**). ამრიგად, სამშვიდობო დარეგულირების ერთ-ერთი პირობა იყო საერთაშორისო ძალების განლაგება კოსოვოში (ბოსნიისა და ჰერცეგოვინას მაგალითზე).

მოლაპარაკებები რამბუიეში დაგეგმილ ვადებში დაიწყო. როგორც ნავარაუდები იყო, მათი თანათავმჯდომარეები გახდნენ საფრანგეთის და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. აშშ-მა, ევროკავშირმა და რუსეთმა პარიზის გარეუბანში თავისი შუამავლები გაგზავნეს. სერბეთის დელეგაციის შემადგენლობის განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ მასში გარდა სერბებისა, იყვნენ თურქების, ალბანელების, ბოშების და კოსოვოს სხვა ეროვნებების წარმომადგენლები. ალბანელთა დელეგაცია 16 ადამიანისგან შედგებოდა. ძირითად როლს მასში კგა-ს წარმომადგენლები თამაშობდნენ, ერთ-ერთი მისი მეთაური კი, ჰაშიმ ტაჩი, დელეგაციის ხელმძღვანელი იყო (**Woodward 2000:39**). კგა-ს გარდა, ალბანელთა მხრიდან მონაწილეობდნენ კოსოვოს დემოკრატიული ლიგის წარმომადგენლები იბრაჰიმ რუგოვას ხელმძღვანელობით და გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის

³⁵ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში OOH S/1999/99 30.01.1999. გვ. 10.

წარმომადგენლები რეჯეპ ჩოსიეს ხელმძღვანელობით. მისმა შემაღენლობამ შემდგომში საშუალება მისცა მ. ოლბრაიტს ალბანელთა დელეგაცია შეედარებინა „მრავალმხრივ ლიდერთა პოპურთან“.

რამბუიეში მუშაობის დაწყება წარმატების სერიოზულ იმედს იძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა მოუწოდა ეუთოს შეემუშაებინა კოსოვოდან თავისი მეთვალყურეების ევაკუაციის გეგმა მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში. შუამავლები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ყველა მუშაობს მეგობრულ გუნდად და დროდადრო წარმოშობილ აზრთა სხვაობასაც კონსტრუქციული ხასიათი აქვს. მხარეებს უნდა განეხილათ კოსოვოს პრობლემის გადაჭრის პრინციპები, შემუშავებული საკონტაქტო ჯგუფის მიერ. საინტერესოა, რომ დელეგაციებს განსახილველად შესთავაზეს მხოლოდ ცალკეული ნაწილები „დროებითი შეთანხმებისა კოსოვოსა და მეტოხიაში მშვიდობისა და თვითმმართველობის შესახებ“, რომელიც შეიცავდა „ჩარჩო დოკუმენტს“ და სამ დანართს. მოცემულ პროექტში დაზუსტებული იყო კოსოვოს კონსტიტუციის, თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების და სასამართლო სისტემის პრობლემები. ერთი კვირის შემდეგ დელეგაციებს წარუდგინეს დანართი, რომელიც შეეხებოდა ეკონომიკურ საკითხებს.

13 თებერვალს დასრულდა კონფერენციის პირველი ნახევარი - პარიზში შეიკრიბნენ საკონტაქტო ჯგუფის ქვეყანა-წევრების საგარეო საქმეთა მინისტრები იმის გადასაწყვეტად, აქვს თუ არა აზრი იმას, რომ მოლაპარაკების მონაწილეებს მიეცეს დამატებითი დრო. საერთაშორისო შუამავლები გადაადგილდებოდნენ ციხე-სიმაგრის პირველ და მეორე სართულებს შორის, სადაც ცალკე ოთახებში იმყოფებოდნენ დელეგაციები, და გადაჰქონდათ მათი წინადადებები ერთი დარბაზიდან მეორეში. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩაფრინდა პარიზში სხვა მინისტრებზე ადრე და მალევე გაემგზავრა რამბუიეში, ამასთან, ნათელი იყო, რომ საექვოა აშშ გამოსულიყო ობიექტური შუამავლის როლში, რამეთუ მოლაპარაკების დაწყების წინ მ. ოლბრაიტმა განაცხადა, რომ თუ მოლაპარაკება ჩაიშლებოდა სერბების მიზეზით, აშშ და ნატო მზად იქნებიან დაიწყონ საჰაერო დარტყმები. ამრიგად, შეერთებული შტატები არ განიხილავდა მკვეთრ ზომებს ალბანელთა

მიმართ, თუ დიპლომატიური წარუმატებლობა იქნებოდა მათი მიზეზით გამოწვეული. მაგრამ სახელმწიფო მდივანი მაინც შეეცადა მიუკერძოებელი ხასიათი მიეცა თავისი მონაწილეობისთვის მოლაპარაკებაში: 14 თებერვალს ის შეხვდა ორივე დელეგაციას ერთ მაგიდასთან და მოითხოვა მათგან საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნების შესრულება.

თვით ფაქტი, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი სხვებზე ადრე ჩამოვიდა რამბუიეში, მოწმობდა ვაშინგტონის სერიოზულ დამოკიდებულებას მოლაპარაკებისადმი: მ. ოლბრაიტი მოწოდებული იყო ზეწოლა მოეხდინა დელეგაციებზე, რომ ისინი წასულიყვნენ დათმობებზე. ფორმალურად მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საფრანგეთის და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თავმჯდომარეობით, ფაქტობრივად კი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ეგიდით (**Kissinger 2001:294**). აჩვენებდა რა აშშ-ის მზადყოფნას მიეყვანა საქმე ბოლომდე, მან დაადასტურა, რომ თუ სერბები იქნებიან პასუხისმგებელნი მოლაპარაკებების ჩაშლაზე, მოკავშირეები შეინარჩუნებენ ერთიანობას ძალის გამოყენების საკითხში. ასეთი განცხადება მომგებიანი იყო ალბანელებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ რა მიეღწიათ დაბომბვებისთვის, შესაძლოა შეეცდებოდნენ, წარმოედგინათ ვითარება ისე, რომ სერბები გამოსულიყვნენ დიალოგის ჩაშლის მიზეზად.

აღსანიშნავია, რომ 17 თებერვალს, როდესაც მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა უ. კონმა გასცა ბრძანება დამატებით გადაესროლათ ევროპაში 51 სამხედრო თვითმფრინავი იუგოსლავიაზე შესაძლო საჰაერო დარტყმის მისაყენებლად (**Myers S. 1999:14**). ბელგრადზე ფსიქოლოგიური ზეწოლის პოზიციიდან ასეთი რაოდენობა ზედმეტი იყო, ფინანსების თვალსაზრისით კი ძვირი. ამგვარი ქმედებები გვაფიქრებინებს, რომ შეერთებული შტატები დარწმუნებული იყო იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო აქციის ჩატარების გარდაუვალობაში.

სერბეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მზად არის შეიარაღებულ სეპარატისტთა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ გაიყვანოს კოსოვოდან თავისი არმიის ქვედანაყოფების ძირითადი ნაწილი და დატოვოს პროვინციაში

მხოლოდ ის სამხედრო და პოლიციური ფორმირებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის უსაფრთხოებას. იმავდროულად, ბელგრადმა მოითხოვა, რომ მოეხდინათ კგა-ს განიარაღება. სერბები ასევე თანახმა იყვნენ მიეცათ კოსოვოსათვის ფართო ავტონომია სამი წლის ვადით, რომლის დროს არ იქნებოდა გადასინჯული იუგოსლავიის საზღვრები. სერბეთის ცენტრალურ ხელისუფლებას რჩებოდა უფლებამოსილება ფინანსების, თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის სფეროებში. სამწლიანი პერიოდის შემდეგ, ნავარაუდევო იყო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა, რომელიც დაადგენდა კოსოვოს საბოლოო სტატუსს.

როდესაც სერბების და ალბანელების დელეგაციები უკვე ახლოს იყვნენ კომპრომისთან, 23 თებერვალს, მოლაპარაკების დასრულებამდე 2 საათით ადრე, მხარეებს წარუდგინეს შეთანხმების საბოლოო ტექსტი 81 გვერდზე. ამ ტექსტის 69% სერბებმა პირველად იხილეს. უფრო მეტი, 2 და 7 დანართები საერთოდ არ განუხილავს საკონტაქტო ჯგუფს და ისინი ეყრდნობოდა მისი ცალკეული წევრების წინადადებებს, რომლის მიხედვით სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კოსოვოში ავტომატურად შეიყვანდნენ ნატოს 30-ათასი ადამიანისგან შემდგარ კონტინგენტს. დანართ 2-ში ნათქვამი იყო, რომ მხარეები იწვევენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დააფუძნოს და უხელმძღვანელოს სამხედრო ძალებს შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფისათვის. ამ ძალებში შეიძლება ჩართული იყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომლებიც არ შედიან ნატოში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამ ძალებს უხელმძღვანელებს ალიანსი. დოკუმენტში გათვალისწინებული იყო, რომ ნატო მიიღებს უფლებას გააკონტროლოს და დაარეგულიროს სახმელეთო გადაადგილება კოსოვოში, მათ შორის მხარეთა ძალებისა. ნავარაუდევო იყო, რომ ნატოს ძალებს ექნება გადაადგილების სრული თავისუფლება და ამასთან, ისინი რაიმე პასუხს არ აგებენ ნებისმიერი დაზიანებისთვის, რომელიც შეიძლება მიყენებული იქნას მათ მიერ თავისი ამოცანების შესრულებისას. დოკუმენტის მიხედვით, ნატოს მიერ დანიშნულ სარდალს აქვს უფლება გააკონტროლოს საჰაერო სივრცე კოსოვოზე, აგრეთვე საერთო უსაფრთხოების 25-კილომეტრიან ზონაზე (კოსოვოს ადმინისტრაციული საზღვრიდან სერბეთის სიღრმეში). ამრიგად, თუ პოლიცია მიიღებდა შეტყობინებას,

რომ მაგალითად, კოსოვოს რომელიმე რაიონში ხდება კგა-ს ბოევიკების თავდასხმა სერბების სახლებზე, პოლიცია შეიძლება არ დაემვათ მოცემულ დასახლებულ პუნქტში თუ ამას ნატო საჭიროდ ჩათვლიდა. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უნდა დაემყარებინა სრული კონტროლი არა მარტო კოსოვოს ტერიტორიაზე. დანართით გათვალისწინებული იყო რომ ნატოს პერსონალი იღებს თავისუფალი და შეუზღუდავი წვდომის უფლებას იუგოსლავიის მთელ ტერიტორიაზე მიმდებარე საჰაერო სივრცის და ტერიტორიული წყლების ჩათვლით.

ეს გულისხმობდა ბანაკის გაშლის, მანევრების ჩატარების, წვრთნებისა და ოპერაციების ჩატარებისთვის საჭირო ნებისმიერ ტერიტორიაზე ან სათავსოებში განთავსების და მათი გამოყენების უფლებას. უფრო მეტი, დოკუმენტის მიღების შემთხვევაში ნატო მიიღებდა ხელშეუხებლობას ყველა იურიდიული პროცესის მიმართ, შეეხებოდა ეს ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის. სხვა სიტყვებით, თუ სამოქალაქო ან სამხედრო პირი ნატოს პერსონალიდან ჩაიდენდა რაიმე დანაშაულს იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ამ ქვეყნის სამართალდამცავ სისტემას დარჩებოდა მხოლოდ იმის იმედი, რომ ბრალდებული იქნებოდა დასჯილი ალიანსის ფარგლებში.

დოკუმენტის მიხედვით, ნატოს პერსონალი არ ექვემდებარებოდა გადასახადებს, მოსაკრებლებს, საბაჟო კონტროლს. უფრო მეტი, ალიანსის ძალებს უფლება ექნებოდათ უფასოდ გამოეყენებინათ აეროპორტები, საავტომობილო და სარკინიგზო გზები, მხარეები კი ვალდებული იყო ნატოს თხოვნის შემთხვევაში გადაეცათ მის განკარგულებაში ყველა ტელესაკომუნიკაციო სამსახურები, ფართომასშტაბული ჩათვლით, რომლებიც საჭირო იქნება ნატო-ს შეხედულებით მათი უფლებამოსილების განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ნატო საჭიროდ ჩათვლიდა თავისი ამოცანების შესრულებისთვის შეეცვალა ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, გვირაბები, კომუნალური სისტემები) მას შეეძლო ამის გაკეთება თავისი შეხედულებით. ბელგრადის მიერ მოცემული წინადადებების მიღება ფაქტობრივად ნიშნავდა არა მარტო კოსოვოზე, არამედ იუგოსლავიის მთელ ტერიტორიაზე ნატო-ს კონტროლს, რაზეც სერბეთის დელეგაციას ბუნებრივია არ უნდოდა დათანხმება, გამომდინარე იქედან, რომ ნატო-ს არ აღიქვამდა „თავისიანად“.

კოსოვოელი ალბანელების წარმომადგენლებმაც უკანასკნელ მომენტში უარი თქვეს ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე, რადგან მასში არ იყო მუხლი რომ სამწლიანი პერიოდის შემდეგ ჩატარდებოდა რეფერენდუმი მხარის შემდგომ სტატუსზე.

თავის მიმუარებში ბ. კლინტონი შემდეგნაირად აღწერს მოლაპარაკების პროცესს რამბუიეში: „მადლენ ოლბრაიტი და მისი ბრიტანელი კოლეგა რობინ კუკი აქტიურად ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმების ხელმოწერისთვის. ერთკვირიანი მოლაპარაკებების შემდეგ... მადლენმა გაარკვია, რომ ჩვენს წინადადებას ეწინააღმდეგება ორივე მხარე: სერბები წინააღმდეგი არიან, რომ კოსოვოში განლაგდეს ნატოს სამშვიდობო ძალები, კოსოვოელ ალბანელებს კი არ უნდათ დათანხმება ავტონომიაზე, თუ მათ არ ექნებათ გარანტია დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე... ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა მოემზადებინა შეთანხმების ისეთი პროექტი, რომლის შესაბამისად დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება გადადებული, მაგრამ შესაძლებელი რჩებოდა“ (**Clinton 2004:953**). როგორც ვხედავთ, ბ. კლინტონი არ აზუსტებს, თუ სწორედ როდის „გაარკვია მადლენმა“ რომ ამერიკის წინადადებას „ეწინააღმდეგება“ ორივე მხარე. მაგრამ რთულია იმის ვარაუდი, რომ ფურცლები, რომლებიც პირველად ნახა სერბებმა, ნაჩქარევად იყო მომზადებული და არა წინასწარ გააზრებული. რამბუიეში მოლაპარაკებების დასრულებისას, სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთმა უფროსმა მოხელემ აღიარა ზოგიერთ ჟურნალისტთან, რომ აშშ-მა განზრახ აამალა თამასა სერბებისთვის, რამეთუ „ისინი იმსახურებდნენ დაბომბვებს“ (**Carpenter T. 2000:24**).

ვუკ დრამოვიჩმა, რომელსაც იმ დროს ეკავა იუგოსლავიის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, ერთ-ერთ ინტერვიუში შენიშნა, რომ ის დაჟინებით ცდილობდა დაერწმუნებინა ს. მილოშევიჩი დათანხმებოდა პირველ ვარიანტს და დაუყონებლივ მოეწერა მასზე ხელი. მისი აზრით, ეს აუცილებელი იყო, რათა დაესწროთ მ. ოლბრაიტის ჩამოსვლისთვის, რადგან სერბეთის დელეგაციაში უკვე იცოდნენ, რომ ის თან ჩამოიტანს ისეთ ვერსიას, რომელიც უფრო მეტად წაადგება კოსოვოელ ალბანელებს, მაგრამ ს. მილოშევიჩმა უარყო ეს წინადადება. ამრიგად, ვ. დრამოვიჩის მიხედვით, ბელგრადში უკვე იცოდნენ, რომ აშშ-მა მოამზადა შეთანხმების ვარიანტი, წამგებიანი იუგოსლავიისთვის, მაგრამ მათ ვერ

წარმოედგინათ, რომ ის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდებოდა. თვითონ ს. მილოშევიჩმა ჰააგაში გამოსვლისას განაცხადა, რომ შეთანხმების ტექსტი რამბუიეში დაბეჭდილი იყო ალბანურ გაზეთ „კოხა დიტორეში“ ორი დღით ადრე მოლაპარაკებების დაწყებამდე, და რომ მას თვითონ ეკავა ხელში ეს გაზეთი, მაგრამ ბელგრადში ეს ფაქტი შეაფასეს როგორც პროვოკაცია.

შესაძლებელია, რომ სერბებისგან განსხვავებით, კოსოვოელ ალბანელთა დელეგაციამ წინასწარ იცოდა ამერიკელთა წინადადებების არსი. ირიბად ეს იმით დასტურდება, რომ მათ კონსულტაციებს უწევდნენ გადამდგარი ამერიკელი პოლიტიკოსები და სამხედროები. თავის მოგონებებში მ. ოლბრაიტი წერს იმაზე, რომ ალბანელები დათანხმდნენ მიეღოთ დახმარება „გარეშე მრჩეველთა მცირე ჯგუფისა, აშშ-ის ყოფილი ელჩის მორტონ აბრამოვიჩის ჩათვლით“ (**Albright M. 2004:399**). ნებისმიერ შემთხვევაში როდესაც მხარეები მზად არიან ხელი მოაწერონ შეთანხმებას, რომელზეც ისინი მუშაობდნენ ორ კვირაზე მეტხანს, და უცებ მათ სთავაზობენ გარკვეულ დანართებს, წინასწარ მიუღებელს ერთ-ერთი მხარისთვის, ჩნდება კითხვა: „რა მიზნით გაკეთდა ეს ასე აჩქარებით?“ იოლი იყო სერბების დელეგაციის შესაძლო რეაქციის წინასწარმეტყველება (**Albright M. 2004:399**), ისევე, როგორც იოლი იყო ბელგრადისთვის დაბრალება მოლაპარაკებების ჩაშლაში, რაც გაკეთდა კიდევ.

მოლაპარაკებების შედეგად მონაწილეები თებერვალში შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია მათი გაგრძელება 1999 წლის 15 მარტიდან. აშშ-ის წარმომადგენლები გამოვიდნენ ამის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ რა რომ ტექსტზე ხელი მოწერილი ყოფილიყო მეორე რაუნდის დაწყების პირველ დღეს. ამრიგად, იუგოსლავიას წაუყენეს ულტიმატუმი: ან თანხმობა მთელი ქვეყნის ოკუპაციაზე ნატოს ჯარების მიერ და კოსოვოს დაკარგვა, ან უარი ამაზე, რის შედეგი უნდა გამხდარიყო ბრალდება მოლაპარაკებების ჩაშლაში და დაბომბვების გარდაუვალობა (**Керестеджиянц Л.В. 2008:52**). ბელგრადმა დაგმო ულტიმატუმი და გამოხატა მზადყოფნა ხელი მოეწერა იმ პირობით, რომ სამწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ სერბეთის მთლიანობა შენარჩუნებული იქნება. ამის შემდეგ იუგოსლავია მზად იყო განეხილა თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო ყოფნის ვარიანტები.

მიუხედავად მოლაპარაკების ფაქტობრივი ჩაშლისა ნატო-ს ოპერაცია გადავადებული იქნა ყვე-ლაზე ნაკლები, სამი კვირით, რაც მომგებიანი იყო ბელგრადისთვის, ალბანელებმა კი თავის მხრივ, მიიღეს შესაძლებლობა შეენარჩუნებინათ მათ ხელში არსებული შეიარაღება.

თავისი ევროპელი მოკავშირეებისთვის რწმენის გასამყარებლად, ვისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობა კოსოვოში განლაგებისთვის, ბ. კლინტონმა 23 თებერვალს განაცხადა, რომ აშშ ამისათვის გამოყოფს 4 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს (კოსოვოში შესაყვანად გათვალისწინებული საერთაშორისო კონტინგენტის 10-15 %). იმავე დღეს კონგრესის სპიკერ დენის ჰასტერთან და სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერ ტრენტ ლოტთან ჩატარდა კონსულტაციები აშშ-ის შეიარაღებული ძალების შესაძლო მონაწილეობის შესახებ ნატოს ოპერაციაში კოსოვოში. რამდენიმე დღის შემდეგ მ. ოლბრაიტმა განაცხადა, რომ თუ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები განთავსებული იქნებიან კოსოვოში, ისინი იქ დარჩებიან გაურკვეველი ვადით (**Керестеджиянц Л.В. 2008:52**). ფაქტობრივად ეს ნიშნავდა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებდნენ კოსოვოს დატოვებას განურჩევლად მისი სტატუსისა ნავარაუდები სამწლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ, რაც წააგავდა მათი ჯარების განთავსებას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.

თებერვლის ბოლოს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა მოხსენება, მიძღვნილი ადამიანის უფლებების დარღვევებისადმი კოსოვოში. დოკუმენტში ნახსენები იყო დანაშაულებები, ჩადენილი კგა-ს მიერ სერბების მიმართ, მაგრამ საუბარი ძირითადად მიდიოდა კოსოვოს ალბანელი მოსახლეობის ტანჯვაზე, რომელიც მას მიაყენა სამხედროების და პოლიციელების მოქმედებებმა და რომელზეც სახელმწიფო დეპარტამენტი ბრალს დებდა იუგოსლავიის ოფიციალურ ხელისუფლებას. იმავე დღეს აშშ-ის პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით, რომელიც მიძღვნილი იყო შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისადმი, და რომელშიც ის შეეხო ვითარებას კოსოვოში. მან გამოთქვა შიში, რომ კონფლიქტი შეიძლება გადავიდეს მეზობელ საბერძნეთსა და თურქეთზე. შეეხო რა მოლაპარაკებას რამბუიეში ბ. კლინტონმა აღნიშნა, რომ „კოსოვოელ ალბანელთა

ლიდერები პრინციპში დათანხმდნენ გეგმაზე, რომელიც დაიცავს მათი ხალხის უფლებებს და მისცემს მათ საკმაო თვითმმართველობას. სერბეთი ბევრ რამეზე დათანხმდა, მაგრამ არა ავტონომიის ყველა პირობაზე, ასევე აქამდე არ არის თანახმა მშვიდობისმყოფელ ძალებზე ნატოს მეთაურობით“. ბ. კლინტონის სიტყვებით, სერბ ლიდერებს უნდა გაეგოთ, რომ ქვეყნის შენარჩუნება მხოლოდ კოსოვოელებისათვის თვითმმართველობის უფლების მიცემით იქნებოდა შესაძლებელი. პრეზიდენტ მილოშევიჩმა უნდა გაიგოს, ახლა არის არა რეპრესიების დრო, არამედ შეკავების, და მისი არდათანხმების შემთხვევაში ნატო მზად არის იმოქმედოს. „თუ კი შეთანხმება მიღწეული იქნება, - დაასკვნა ბ. კლინტონმა, - ნატო უნდა იყოს მზად კოსოვოში განთავსებისთვის, რათა მხარეებს მიენიჭოს რწმენა ბრძოლის შეჩერებაზე“ (**Керестеджиянц Л.В. 2008:52**).

ამრიგად, ვაშინგტონი მოუწოდებდა სერბებს მშვიდობისაკენ, რაც ნიშნავდა იმას, რომ სწორედ ისინი იყვნენ მთავარი მიზეზი კოსოვოში ძალადობის გაღვივებისა. ამერიკის პრეზიდენტმა არაფერი თქვა იმაზე, რომ პირობები, რომლებზეც ნატო აპირებდა კოსოვოში შესვლას, იუგოსლავიას გადააქცევდა ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებული იქნებოდა საპატიო საბაბით. ასევე, მას არაფერი უთქვამს რამბუიეში მიმდინარე მოლაპარაკების თავისებურებაზე, კერძოდ, იმ დანართებზე, რომელიც დამატებით ახლდა შეთანხმებას. ვაშინგტონს სჭირდებოდა კოსოვოს პრობლემა იუგოსლავიასა და ს. მილოშევიჩზე ზეწოლისთვის (**Лавров С. 1999:66**). ა. ვ. კრიჟანოვსკის აზრით, ნატომ შეგნებულად დაიკავა ანტისერბული პოზიცია (**Крыжановский А.В. 2004:232**). თუ აშშ-ს მართლა სურდა სისხლისღვრის შეჩერება, ის ამას მიაღწევდა. ვაშინგტონს საკმაო ბერკეტი გააჩნდა კგა-ზე გავლენისთვის, რომელიც არ იქნებოდა ესოდენ ურჩი, რომ არა მხარდაჭერა შეერთებული შტატებისა, რომელიც თავისებურად იყენებდა თავის შესაძლებლობებს. საფრანგეთში აშშ არ იყო მიუკერძოებელი შუამავალი მოლაპარაკებებისას, პირიქით, მან დაიკავა კგა-ს მხარე, მოქმედებდა რა მასთან ერთად (**Carpenter T. 2000:15**). სამშვიდობო დარეგულირების ამერიკულ გეგმებში შედიოდა არა მშვიდობა, არამედ კოსოვოს ოკუპაცია ნატოს ჯარების მიერ. თუ ამასთან ერთად „მშვიდობისმყოფელებად“ გამოვიდოდნენ, ხომ კარგი, თუ არა, დაბომბვების დახმარებით კოსოვო მაინც იქნება ოკუპირებული.

სწორედ ამ მიზნით უჭერდა მხარს აშშ ტერორისტებს კვა-დან, ერჩივნა არ შეემჩნია მათ მიერ ჩადენილი მკვლელობები როგორც პოლიციელების, ისე მშვიდობიანი მოქალაქეებისა, მათ შორის იმ ალბანელების, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ბელგრადისადმი. მ. ლიტმანის აზრით, ის პირობები, რომლებზეც იუგოსლავია და ნატო შეთანხმდნენ 1999 წლის ივნისში, რომ ყოფილიყო წარდგენილი რამბუიეში, შესაძლებელი იქნებოდა ომის აცილება თავიდან.

პაუზის დროს ზეწოლა იუგოსლავიაზე არ სუსტდებოდა. მ. ოლბრაიტის დავალებით, 9 მარტს რ. ჰოლბრუკი ჩაფრინდა ბელგრადში. მისი სიტყვებით, ის უნდა დახმარებოდა კოსოვოს პრობლემის გადაჭრაში, რომლის გამო იუგოსლავია და დასავლეთი „სახიფათო გზას“ დაადგნენ. დიპლომატის ცდები „გაეტანა“ გეგმის სამხედრო ნაწილი, უშედეგო აღმოჩნდა. იმის შემდეგ, რაც ამერიკელები მიხვდნენ, რომ იუგოსლავები ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ნატოს კონტინგენტის განთავსებას კოსოვოში, ამოქმედდა სხვა სცენარი.

მოლაპარაკების მეორე ეტაპი ტარდებოდა 1999 წლის 15-18 მარტს. რამდენიმე დღით ადრე მის დაწყებამდე, კვა-ს შეეცვალა სარდალი: მისი ახალი ლიდერი გახდა სულეიმან სულემი, მეტსახელად სულთანი. მან უარყო ნებისმიერი „ნახევარზომები“, „ნაწილობრივი შეთანხმებები“, გამოვიდა რა სრული დამოუკიდებლობის მომხრედ და კვა-ს განიარაღების წინააღმდეგ.

ამის შედეგად, მოლაპარაკებაში შესვენების დროს აშშ კონსულტაციებს მართავდა ალბანელებთან, ზოგიერთი რადიკალურად განწყობილი ლიდერის პოზიციის შეცვლას კი უშუალოდ ვაშინგტონში ცდილობდნენ. ალბანელთა დარწმუნებისთვის თეთრმა სახლმა მომლაპარაკებლად მოიწვია ყოფილი სენატორი რობერტ დოული. 7 მარტს ცნობილმა რესპუბლიკელმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ალბანელები დაპირდნენ მას შეთანხმების შეთავაზებულ ვარიანტზე ხელის მოწერას, მაგრამ უკვე ოთხი დღის შემდეგ მისი ოპტიმიზმი ამოწურული იქნა: რ. დოულის სიტყვებით, კვა-ს ხელმძღვანელები თამაშობენ თამაშებს, მაგრამ მას მეტი არ აქვს მათთვის დახმარების გაწევის სურვილი.

აშშ-მა შეახსენა კოსოვარების წარმომადგენლებს, რომ მანამდე, სანამ ისინი არ მოაწერენ ხელს შეთანხმებებს, ნატო-ს არ ექნება შესაძლებლობა მოახდინოს

ბელგრადის მიმართ თავისი მუქარების რეალიზაცია. ამასთან დაკავშირებით, ალბანელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ჰაშიმ ტაჩმა გამოთქვა განზრახვა ხელი მოეწერა „მშვიდობის გეგმაზე“. 18 მარტს, ალბანელებმა, ვაშინგტონის მითითებით, ცალმხრივად მოაწერეს ხელი «შუალედურ შეთანხმებას კოსოვოში მშვიდობისა და თვითმმართველობის შესახებ» იმ მიზნით, რომ ისინი არ ამბობენ უარს დებულებაზე იუგოსლავიიდან კოსოვოს გამოსვლის შესახებ. უკვე ერთი საათის შემდეგ სერბებმა საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით ხელი მოაწერეს შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილს, მაგრამ ეს უკვე არავის აინტერესებდა. 19 მარტს თანათავმჯდომარეებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება, განაცხადეს რა, რომ მათ გაგრძელებას არ აქვს მნიშვნელობა. აშშ-მა და ნატომ დაიწყეს მზადება იუგოსლავიის, როგორც მოლაპარაკების ჩაშლაში ბრალდებულის, დასასჯელად.

უშუალოდ ამის შემდეგ, ვაშინგტონიდან, სპეციალური კავშირგაბმულობის ხაზით არაერთხელ დაუკავშირდნენ უ. უოკერს წინადადებით დაეტოვებინა მხარე უსაფრთხოების მიზნით, რაც მხოლოდ ერთს შეიძლება ნიშნავდეს - იუგოსლავიაზე დარტყმები დაიწყება უახლოეს დროში. შედეგად, ეუთოს თავმჯდომარემ, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კნუტ ვოლბეკმა მიიღო გადაწყვეტილება გაეყვანა კოსოვოს შემოწმების მისია იუგოსლავიის ტერიტორიიდან. კოსოვოს კრიზისმა აჩვენა, რომ იმედები ეუთოზე, როგორც ევროპული უსაფრთხოების სისტემის შენარჩუნების და ევროპის ტერიტორიაზე კონფლიქტების შეწყვეტის ეფექტურ მრავალმხრივ მექანიზმზე არ გამართლდა. და მაინც, მიუხედავად კრიტიკისა რომელიც კოსოვოს შემოწმების მისიის მისამართით გამოითქმოდა, მასში მუშაობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები, შესაბამისად, შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა შეფასებები და შეხედულებები. ფაქტობრივად, კოსოვოდან მისი გამოყვანის შემდეგ (20 მარტი) ბელგრადს არ დარჩა რაიმე სააპელაციო საერთაშორისო ინსტანცია, რომელსაც შეეძლო მიეცა კოსოვოში არსებული ვითარების დამოუკიდებელი შეფასება, უშუალოდ მხარეში მუშაობის პირობებში.

და მაინც, თეთრ სახლში არ კარგავდნენ იმედს, რომ იუგოსლავია დათანხმდება ამერიკის პირობებზე. ამისათვის, 22 მარტს ბელგრადში მერამდენედ ჩამოფრინდა რ.

ჰოლბრუკი. ამერიკელები არაფერს კარგავდნენ ამ შეხვედრით. იუგოსლავიის პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში ნატო კოსოვოს არაფრის ფასად ღებულობდა, მთელი დიპლომატიური გამარჯვება კი ვაშინგტონს მიეწერებოდა. თუ კი ბელგრადი კვლავ დაადასტურებდა თავის პოზიციას, რ. ჰოლბრუკის ჩამოსვლა იქნებოდა იმის მოწმობა, რომ აშშ ყველანაირად ცდილობდა სისხლისღვრის გაჩერებას. ს. მილოშევიჩი არ წავიდა თავისი ქვეყნის ოკუპაციაზე. იუგოსლავიის პარლამენტმა ასევე უარყო თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების განთავსება - რ. ჰოლბრუკმა დატოვა ბერღრადი. 22 მარტს ნატოს საბჭომ „პასუხად ბელგრადის შეურიგებლობის და რეპრესიებისა“ ალიანსის გენერალურ მდივანს უფლება მისცა დამოუკიდებლად მიეღო შემდგომი გადაწყვეტილებები. 23 მარტის ღამეს უ. კლარკს დაურეკა ხ. სოლანამ და აცნობა მას, რომ დაბომბვები უნდა დაიწყოს 24 საათის განმავლობაში.

რამბუიეში მოლაპარაკებების დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო მოვლენები რაჩაკში, რომლის შესახებ დასკვნების ნაჩქარევად გაკეთება, აგრეთვე ამერიკელი უ. უოკერის მოქმედებები მოწმობდნენ, რომ აშშ-მა იცოდა მოცემული პროვოკაციის ბუნების შესახებ და მზად იყო მისთვის. მოლაპარაკებები რამბუიესა და პარიზში მიმდინარეობდა ვაშინგტონის კონტროლქვეშ. ისინი აშშ-ს სჭირდებოდა იუგოსლავიაზე საერთაშორისო ზეწოლისთვის, რათა ნატოს მოეხდინა კოსოვოს და მთელი იუგოსლავიის ტერიტორიის კონტროლი. სწორედ ამიტომ იუგოსლავიისთვის შეთავაზებული იქნა დოკუმენტი, რომელზე დათანხმებაც ფაქტიურად უბრძოლველად ჩაბარებას ნიშნავდა, არ დათანხმება კი ბრძოლას. საბოლოოდ ასეც მოხდა.

§ 3. აშშ-ნატო-ს სამხედრო ინტერვენცია და სამშვიდობო ძალების განთავსება

1999 წლის 24 მარტს დაიწყო ნატოს ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ სახელწოდებით „სამოკავშირეო ძალა“ («Allied Force»), რაც განპირობებული იყო საფრანგეთში მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულებით და ფაქტიურად,

საკითხის დიპლომატიურად მოგვარების რესურსის ამოწურვით. 1998 წლის შემოდგომაზე ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმებამ ის გადაარჩინა სრულ განადგურებას. ეს რომ მომხდარიყო, ნატო დაკარგავდა არა უბრალოდ მოკავშირეს კოსოვოში, არამედ ამბოხებულ მხარეში არასტაბილურობის კატალიზატორსაც, რის შემდეგ გაცილებით უფრო რთული გახდებოდა მოძებნილიყო ზეწოლის საბაზი იუგოსლავიაზე, მით უმეტეს, შეიარაღებულზე. კგა-ს ლიკვიდაციას შეეძლო ჩაეშალა ნატოს გეგმები იუგოსლავიის მიმართ. ამის თავიდან ასაცილებლად, ისევე როგორც ბოსნია-ჰერცეგოვინაში, გარდა დახმარებისა ჰაერიდან, აშშ აწვდიდა იარაღს ალბანელ სეპარატისტებს, მათ რაზმებში კი იმყოფებოდნენ კავშირგაბმულობის ოფიცრები ამერიკიდან.

შეერთებულმა შტატებმა იცოდა, რომ ბელგრადი აპირებს 1999 წლის გაზაფხულზე განადგუროს კგა, იცოდა ისიც, რომ იუგოსლავიას ამის გაკეთების შესაძლებლობებიც ჰქონდა (Albright 2003:395). 1999 წლის თებერვლის დასაწყისში აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი გამოვიდა სენატში შეიარაღებული ძალების კომიტეტის წინაშე მოსმენებზე, რომელიც ეძღვნებოდა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მიმდინარე და მომავალი საფრთხეებს. თავისი გამოსვლის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნებოდა ბალკანეთს, მან განაცხადა, რომ კგა-მ გამოყენა დაზავება თავისი წევრების წვრთნისთვის, აგრეთვე მიიღო ალბანური დიასპორისგან დამატებითი იარაღი და ტანსაცმელი. თავის მხრივ ბელგრადს, ჯ. ტენეტის სიტყვებით, გადაწყვეტილი აქვს საბოლოოდ გადაჭრას კგა-ს საკითხი. ამ ფაქტორების გამო, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის პროგნოზით, სწორედ 1999 წლის გაზაფხულზე ახალი ძალით განახლდება საბრძოლო მოქმედებები, რაც გამოიწვევს უფრო სისხლისმღვრელ ბრძოლებს, ვიდრე 1998 წელს იყო.

გეოგრაფიულად, ისტორიულად და ეკონომიკურად აშშ და იუგოსლავია შორს იყვნენ ერთმანეთისგან. იუგოსლავია არავის ემუქრებოდა, არ ეხებოდა სხვა სახელმწიფოების ინტერესებს. მით უმეტეს, არ წარმოადგენდა მუქარას შეერთებული შტატების ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული სუვერენიტეტის და საერთო კეთილდღეობისთვის (Dempsey 1998:10), ანუ, აშშ-ის ცხოვრებისეულ ინტერესებს

არავინ შეხებია, მაგრამ იმ პერიოდისთვის აშშ საკუთარი თავის და ნატო-ს ახალ ფუნქციად ხედავდა მსოფლიოში მშვიდობის, თავისუფლების, სტაბილურობის და ზოგადად დემოკრატიული ღირებულებების გარანტად ყოფნას. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავდასხმა იუგოსლავიაზე ეწინააღმდეგებოდა მისივე წესდებას, რომლის შესაბამისად, ნატოს შეუძლია ძალის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავს დაესხმიან მის ერთ ან რამდენიმე წევრს. უფრო მეტიც, ნატოს კომპეტენციის სფერო შემოიფარგლებოდა ალიანსის წევრი-ქვეყნების ტერიტორიით. იუგოსლავია არა მარტო არ დასხმია თავს რომელიმე მის წევრს, არამედ თვითონაც არ ყოფილა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და, შესაბამისად, მისი ტერიტორია არ იყო ნატო-ს კომპეტენციაში, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ ნატო-ს გაცხადებული მიზანი ამ ომში ადამიანთა უფლებების დაცვა და ჰუმანიტარული კატასტროფის შეჩერება იყო.

ოპერაციის - „სამოკავშირეო ძალა“-ს დაწყების დღეს, 1999 წლის 24 მარტს აშშ-ის პრეზიდენტი ბ. კლინტონი ორჯერ გამოვიდა მიმართვით ერისადმი. პირველ გამოსვლისას მან აცნობა ამერიკელებს, რომ „ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა ნატოელ მოკავშირეებთან ერთად დაიწყეს დარტყმების მიყენება სერბეთის სამხედრო სამიზნეებზე იუგოსლავიაში“. ბ. კლინტონმა ასევე ბრალი დასდო ს. მილოშევიჩს, რომ ამ უკანასკნელმა “უარყო დაბალანსებული და სამართლიანი მშვიდობა, რომელიც ჩვენმა მოკავშირეებმა და პარტნიორებმა, რუსეთის ჩათვლით, შესთავაზეს მას გასულ თვეში“. მოცემულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ბელგრადმა ხელი მოაწერა იმას, რაზეც თანახმა იყო ყველა მხარე, უარყო რა მხოლოდ შეთანხმების სამხედრო დანართები, რომლებსაც არც რუსეთმა დაუჭირა მხარი.

პრეზიდენტის სიტყვებით, შეერთებული შტატები მოქმედებენ გამომდინარე იქედან, რომ აუცილებელია ნატო-ს სერიოზულობის დემონსტრირება, რათა მოხდეს ს. მილოშევიჩის შეკავება დაუცველ სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმებისგან, რომლებიც გრძელდება და სულ უფრო ძლიერი ხდება, სამაგიერო გადაუხადონ მას ამისთვის, აგრეთვე მოუსპონ სერბეთს შესაძლებლობები იომოს კოსოვოს წინააღმდეგ მომავალში. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბ. კლინტონი საუბრობდა სწორედ „სერბეთის შესაძლებლობების მოსპობაზე იომოს კოსოვოს წინააღმდეგ მომავალში“,

თითქოს საუბარი იყო სხვა სახელმწიფოზე და არა სერბეთის ნაწილზე. დღეს, როდესაც კოსოვო de facto გამოყოფილია სერბეთისგან დიდ წილად აშშ-ის გამოისობით, ბ. კლინტონის ეს სიტყვები ჟღერს უკვე არა როგორც შემთხვევითი წამოცდენა, არამედ ნამდვილი სურვილი გაეხადა კოსოვო დამოუკიდებელი.

მეორე, სადამოს მიმართვისას, რომელიც უფრო სრული იყო, ბ. კლინტონმა რუკაზე აჩვენა ამერიკელ ხალხს, თუ სად მდებარეობს კოსოვო, აგრეთვე მოუთხრო მათ, რომ კოსოვო არის „სერბეთის პროვინცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ცენტრში, დაახლოებით 160 მილის მანძილზე იტალიის აღმოსავლეთით. რომ ეს უფრო მოკლე მანძილია, ვიდრე ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს შორის. კოსოვოს მოსახლეობა თავის უმრავლესობაში ალბანური და მუსლიმურია“. საფრანგეთში მიმდინარე მოლაპარაკებებზე საუბრისას ბ. კლინტონმა განაცხადა, რომ „ჩვენ (აშშ) ჩვენს მოკავშირეებთან და რუსეთთან ერთად შევთავაზეთ სამშვიდობო შეთანხმება... კოსოვართა ლიდერებმა მას ხელი მოაწერეს... სერბების ლიდერებმა... პირიქით, ლაპარაკიც კი არ ისურვეს სამშვიდობო შეთანხმების ძირითად ელემენტებზე“. მოცემული განცხადება უფრო ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე ანალოგიური დებულება პირველ მიმართვაში ერისადმი. რადგან ბელგრადმა არა მარტო განიხილა „სამშვიდობო შეთანხმების ძირითადი ელემენტები“, არამედ ხელიც მოაწერა მას, უარი განაცხადა რა ხელი მოეწერა მის თანმხლებ სამხედრო დანართებზე. 26 მარტს ბ. კლინტონმა, როგორც ამას მოითხოვდა 1973 წლის კანონი, აცნობა კონგრესს, რომ აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა მისი ბრძანებით და ნატოელ მოკავშირეებთან კოალიციაში დაიწყეს საჰაერო დარტყმების განხორციელება იუგოსლავიის წინააღმდეგ.

რამდენიმე დღით ადრე, მძაფრი დებატების და რესპუბლიკელების მხრიდან ბ. კლინტონის საგარეო პოლიტიკის კრიტიკის შემდეგ, წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა კოსოვოში აშშ-ის ჯარის გაგზავნას მშვიდობისმყოფელი მისიის შესრულებისთვის. სენატმა კი პრეზიდენტს მიანიჭა უფლება გაეცა სერბეთზე დარტყმების სანქცია. მან ასევე მხარი დაუჭირა „შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ძალისხმევას, მიმართულს კოსოვოელი ალბანელების

სასტიკი ეთნიკური წმენდების შეწყვეტაზე³⁶. შემდგომში წარმომადგენელთა პალატას სენატის აღნიშნული გადაწყვეტილების მხარდაჭერისთვის არ ეყო ერთი ხმა, რამეთუ მასში შიშობდნენ, რომ ოპერაციაში მონაწილეობა შეიძლება მიეღო სახმელეთო ჯარებს. ამავე მიზეზით, პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც კრძალავდა სპეციალური კანონის მიღების გარეშე თავდაცვითი უწყებისთვის გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებას აშშ-ის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ელემენტების განლაგებისთვის სერბეთში, აგრეთვე უარი თქვა იუგოსლავიისთვის ომის გამოცხადებაზე³⁷.

მაგრამ კონგრესის წევრებს ესმოდათ, რომ პრეზიდენტისთვის მხარის არ დაჭერას არ უნდა შეექმნა არალოიალობის შთაბეჭდილება ბალკანეთში მყოფი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეებისადმი. ამიტომ მათში წარმომადგენელთა პალატამ სამხედრო მოქმედებებისთვის პენტაგონს გამოუყო იმაზე მეტი თანხა, ვიდრე თეთრი სახლი ითხოვდა. მათში წარმომადგენელთა პალატის 18 წევრმა გაასაჩივრა პრეზიდენტის გადაწყვეტილება აშშ-ის არმიის გამოყენების შესახებ ოპერაციაში სერბეთის წინააღმდეგ, მაგრამ როგორც პირველ, ისე სააპელაციო ინსტანციაში მათი მოთხოვნები უარყოფილი იქნა (**Grimmett 2007:5**).

ომის დაწყებიდან მის დასრულებამდე დაბომბვები სისტემატური იყო. ისინი ერთი დღითაც არ შეჩერებულა. მათი შეწყვეტის პირობად ნატოში ასახელებდნენ ხუთ პირობას, რომელიც უნდა შეესრულებინა ს. მილოშევიჩს:

- სამხედრო ოპერაციების შეწყვეტა;
- კოსოვოდან სამხედრო, ნახევრად სამხედრო და პოლიციური ფორმირებების გამოყვანა;
- მხარეში საერთაშორისო ძალების შეყვანა;
- ლტოლვილთა დაბრუნება;
- პოლიტიკური დარეგულირება რამბუიეს შეთანხმების შესაბამისად.

ვაშინგტონში ვარაუდობდნენ, რომ იუგოსლავია რამდენიმე დღეში, მაქსიმუმ, ორ კვირაში დათანხმდება ამერიკის პირობებზე (**Келеманс 2002:293**), მაგრამ ეს არ

³⁶ აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილება, H. CON. RES. 72. 24 მარტი 1999.

³⁷ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის რეზოლუცია, H. J. RES. 44. April 28, 1999.

ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით, დარტყმების გაგრძელებასთან ერთად თანდათან იზრდებოდა მათი სიძლიერე და ინტენსიურობა. უკვე 31 მარტს ევროპაში ნატო-ს ჯარების მთავარსარდლის, უესლი კლარკის მოთხოვნით, მიიღეს გადაწყვეტილება გაევრცელებინათ დაბომბვები ბელგრადზე (**Clark 2007:212**), 19 აპრილიდან კი დარტყმები დაიწყო იუგოსლავიის მთელ ტერიტორიაზე, რათა მიეღწიათ ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების პარალიზებისთვის, მოესპოთ იუგოსლავიის არმიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოეხდინათ მძლავრი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მთელ ხალხსა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაზე.

დარტყმები გამიზნული იყო ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებზე, რომლებიც იუნესკოს დაცვის ქვეშ იყო, აგრეთვე შუა საუკუნეების დროის მონასტრებსა და სიწმინდეებზე. ნაწილობრივ თუ სრულიად დანგრეული იქნა ათი მართლმადიდებლური ეკლესია და მონასტერი, ბევრი სხვა ისტორიული ძეგლი (**Гуськова 2001:49**). რიგ ქალაქში დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ცენტრები ლტოლვილთათვის, ხიდები, სკოლები, კერძო სახლები, საავადმყოფოები, წყალსადენები, სატელეფონო და სხვა კომუნიკაციები, ნედლეულის საწყობები ხელოვნური სასუქებისთვის, ფაბრიკები, საგზაო მაგისტრალები. დაზიანებული იყო სამეურნეო და სამოქალაქო ობიექტები, ცენტრები ხორვატიიდან და ბოსნია-ჰერცეგოვინიდან ჩამოსული ლტოლვილებისთვის, 150-ზე მეტი სასკოლო შენობა, თამბაქოს ფაბრიკა, სატელევიზიო რეტრანსლატორები, ელექტროსადგურები, საავადმყოფოები, ქვეყნის ყველაზე მსხვილი საავტომობილო ქარხანა „ზასტავა“. რაკეტები ხუთჯერ დაეცა რკინიგზას (**Гуськова 1999:36**), დაშავებული იყო დუნაიზე გადებული 30 ხიდი. მშვიდობიან სამიზნეებზე დარტყმების უმეტესობა მიაყენეს არა „შეცდომით“, როგორც ამას აცხადებდნენ ნატოში. მათზე სანქცია გაცემული იყო ალიანსის სარდლობის მიერ. ბ. კლინტონი თავის მოგონებებში წერს, რომ ხანდახან ბომბები ცდებოდა მიზანს (**Clinton 2004:954**), მაგრამ თვითონვე აღიარებს, რომ ნატო-ს ოპერაციის დროს ის კვირაში რამდენიმეჯერ ხვდებოდა გარკვეული წრის პირებს, რათა „მოეხდინა მიზნების სიის ანალიზი და მათი შერჩევა, ს. მილოშევიჩისთვის მაქსიმალური ზარალის მისაყენებლად“ (**Clinton 2004:958**). მრეწველობის და სიცოცხლის უზრუნველყოფის ობიექტების დანგრევა პანიკას ქმნის მშვიდობიან

მოსახლეობაში, რომელიც მოითხოვს თავისი მთავრობისგან წავიდეს დათმობაზე შემტევი მხარის მიმართ, ანუ, ახლოებს ამ უკანასკნელს გამარჯვებასთან. თავისი გაჭირვებების მიზეზად მოსახლეობა აღიქვამს არა იმდენად იმას, ვინც თავს ესხმის, რამდენადაც საკუთარ ლიდერს, ამიტომ დარტყმები მშვიდობიან ობიექტებზე ასევე მოწოდებული იყო ს. მილოშევიჩის რეჟიმის პოზიციების დასუსტებაზე. ნაწილობრივ თავის მოგონებებში ეს აღიარა უ. კლარკმაც (მისი სიტყვებით ის ყოველდღე ლოცულობდა, რომ არცერთი უდანაშაულო ადამიანი არ გარდაცვლილიყო დაბომბვების შედეგად) (Clark 2007:212). ამასთან დაკავშირებით უცნაური ჩანს მ. ოლბრაიტის მტკიცება, რომ სამხედრო მოქმედებების მსვლელობისას სამხედრო იურისტები აკონტროლებდნენ მიზნებს ჟენევის კონვენციისადმი მათი შესაბამისობის თვალსაზრისით. თუნდაც რომ ეს სიმართლე იყოს, რეალური სიტუაცია ადასტურებდა, რომ ნატოში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მათ აზრს. არა ძირითად, მაგრამ წონად მიზეზებს შორის არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ იუგოსლავიის ინფრასტრუქტურის დანგრევა ამცირებდა ნატოს ქვეყნების მრეწველობის კონკურენტებს.

დაბომბვების უშუალო მიზნების მიღწევის გარდა აშშ-ს საშუალება ჰქონდა ძველი შეიარაღების ამოწურვის და აგრეთვე ახლების გამოცდისა საბრძოლო პირობებში. ომის დროს პენტაგონმა გამოსცადა საჰაერო და საზღვაო ბაზირების უახლესი ფრთოსანი რაკეტები, კასეტური ავიაბომბები თვითდამიზნების საშუალების მქონე საბრძოლო ელემენტებით და სხვა შეიარაღება. რეალურ საბრძოლო პირობებში იქნა აპრობირებული დაზვერვის, მართვის, კავშირგაბმულობის, ნავიგაციის, რადიოელექტრონული ბრძოლის, უზრუნველყოფის მოდერნიზებული და ახალი სისტემები. დამუშავებული იქნა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ავიაციის და სპეციალური დანიშნულების ძალების ურთიერთქმედების საკითხები. ოპერაციამ კოსოვოში აჩვენა შეერთებული შტატების პირველობა მაღალი ტექნოლოგიების სამხედრო გამოყენებაში და მისი უნარი შედარებით დაუსჯელად მიაყენოს დარტყმები სხვა ქვეყნებს. მზიდი თვითმფრინავები გამოიყენებოდა როგორც რაკეტების „მიმტანები“. ისინი აფრინდებოდნენ საავიაციო ბაზებიდან, რომლებიც განლაგებული იყო აშშ-ში,

ნატოს ევროპულ ქვეყნებში, აგრეთვე ავიამზიდებიდან; მიჰქონდათ ეს ფრთოსანი რაკეტები, წინასწარ დამიზნებული ობიექტების კონკრეტულ კრიტიკულ წერტილებზე, გაშვების ხაზამდე, რომელიც მიუწვდომელი იყო იუგოსლავიის საჰაერო თავდაცვის სისტემებისთვის, უშვებდნენ ამ რაკეტებს და მიდიოდნენ ახლებისთვის. როდესაც ომი გაჭიანურდა, დაიწყო სტაჟირება რეზერვისტი-მფრინავებისა, საბრძოლო გამოცდილების მიღების შემდეგ (10-15 დამოუკიდებელი გაფრენა) მათ ცვლიდნენ სხვა „სტაჟიორები“. ამასთან, სწორედ ამ პერიოდზე მოდიოდა ალიანსის ავიაციის ყველაზე მეტი უხეში შეცდომა სახმელეთო სამიზნეებზე დარტყმების მიყენებისას.

ნატოს ავიაციის უდიდესი უპირატესობის პირობებში იუგოსლავიის სამხედრო-საჰაერო ავიაცია ცდილობდა თავიდან აერიდებინა საჰაერო ბრძოლები, რის შედეგად მისი დანაკარგები ავიაციაში მინიმალური იყო: 6 თვითმფრინავი ჰაერში და 22 აეროდრომებზე. გარდა ამისა, ბელგრადმა განაცხადა, რომ მისმა არმიამ დაკარგა მხოლოდ ცამეტი ტანკი. ნატოს ანგარიშები სხვა ციფრებს შეიცავდა: იუგოსლავიის 93 განადგურებული ტანკი, 153 ბტრ-ი, 339 წარმატებული დარტყმა სამხედრო ტრანსპორტზე, 389 - ქვემეხების და ნაღმსატყორცნების პოზიციებზე, მაგრამ ეს მონაცემები გააკრიტიკეს ანალიტიკოსებმა თვითონ ალიანსის დაზვერვიდან და ხელმძღვანელი სამხედრო ორგანოებიდან, ხოლო აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გამოუქვეყნებულ მოხსენებაში კი მოცემული იყო, რომ დადასტურებული რიცხვი იუგოსლავიის განადგურებული მოძრავი სამიზნეებისა შეადგენდა 14 ტანკს, 18 ჯავშანტრანსპორტიორს და არტილერიის 20 ერთეულს.

ასეთი სხვაობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ მოწინააღმდეგის დაზვერვისთვის იუგოსლავიის არმია წარმატებით იყენებდა გასაბერ ტანკებსა და ბტრ-ს, ამიტომ თავისი დარტყმების უმეტესი ნაწილი ალიანსის ავიაციამ მიაყენა მულაჟებს, რომელთა კარგად გარჩევა არანაკლებ 5000 მეტრის სიმაღლიდან რთული იყო. ამრიგად, არსებითი ზიანი იუგოსლავიის შეიარაღებულ ძალებს ნატომ ვერ მიაყენა. ეს დასტურდება ნატოს მიერ ივნისში, ანუ ომის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარებული ოპერაცია „ისარის“ მაგალითზე. ოპერაციის მიზანი იყო საჰაერო დახმარების გაწევა კვა-ს რამდენიმე ათასი ალბანელი ბოვეიკისთვის, რომლებიც

ცდილობდნენ შელწევას კოსოვოში ალბანეთიდან და დამარცხებული იქნენ იუგოსლავიის არმიის მიერ, რომელიც, ნატოს წარმომადგენლების სიტყვებით, განიცდიდა სათბობის უკმარისობას, დანაკარგებს ტექნიკაში, და რომელიც, ამასთან, დემორალიზებული იყო.

28 მარტიდან, ანუ დაბომბვების დაწყების მეხუთე დღიდან, დაიწყო ალბანელთა მასობრივი გასვლა კოსოვოდან, რისი მიზეზიც იყო იუგოსლავიის არმიის ძლიერი შეტევა. ნატომ, დაიწყო რა სამხედრო მოქმედებები, ფაქტობრივად ხელები გაუხსნა ბელგრადს წესრიგის დამყარებისთვის კოსოვოში. თუ ჰოლბრუკ-მილოშევიჩის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ იუგოსლავიის არმიის ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყვანილი იქნა მხარიდან, ომის დაწყების შემდეგ იუგოსლავიის ხელისუფლებამ ახალი ძალით დაიწყო ხისტი ბრძოლა კვა-სთან. შედარებითი მშვიდობის რამდენიმე თვეში მან შეძლო სერიოზულად აღედგინა ძალები. ამის შედეგად ალბანელები მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევდნენ სერბეთის ძალებს, რაც უფრო ხისტ ხასიათს აძლევდა ოპერაციებს და ასევე გავლენას ახდენდა მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობაზე. ამასთან ბრიუსელში ვითარების გაუარესების ერთადერთ მიზეზად ასახელებდნენ იუგოსლავიის კამპანიას, მიმართულს ეთნიკურ წმენდებზე.

მაგრამ კოსოვოდან მოსახლეობის მასობრივი გასვლის მიზეზი, ასევე დაბომბვებიც იყო. თუ კამპანიის დასაწყისში ნატო ცდილობდა ძირითადი დარტყმები მიეყენებინა სამხედრო სამიზნეებისთვის, შემდგომ აქცენტი გადატანილი იქნა სამოქალაქო ობიექტებზე, მათ შორის, კოსოვოში, რის გამოც მშვიდობიანი მოსახლეობა ბუნებრივია, გაჭირვებას განიცდიდა. ამრიგად, კოსოვარები ერთსა და იმავე დროს ხდებოდნენ როგორც იუგოსლავიის არმიის ოპერაციების, ისე ნატოს დაბომბვების მძევლები, ამიტომ გარდა ახლომდებარე სახელმწიფოებისა, ისინი გარბოდნენ სერბეთსა და ჩერნოგორიაში, სადაც ასევე ეცემოდა ბომბები, მაგრამ არ ტარდებოდა ანტიტერორისტული ოპერაციები.

ომის პირველ კვირებში ბელგრადმა შეძლო ჩაეხშო ალბანელი სეპარატისტების წინააღმდეგობის ძირითადი კერები და აღედგინა კონტროლი კოსოვოზე. ამის

შედეგად, მხარეში დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობის ცხოვრება უფრო უსაფრთხო გახდა, ასე თუ შეიძლება ითქვას, როდესაც ცაში დაფრინავენ ნატოს თვითმფრინავები, რომელთა ბომბებისგან არავინაა დაზღვეული. ამიტომ, ბევრმა ალბანელმა გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება, სადაც კგა-მ დაკარგა შესაძლებლობა გამოეყენებინა ისინი როგორც ცოცხალი ფარი. მაგრამ კოსოვარების დაბრუნება არ შედიოდა ნატოს გეგმებში. ათობით ათასი ლტოლვილი ალიანსს სჭირდებოდა თავის მოქმედებების გამართლებისთვის, იმ საბაბით, რომ ლტოლვილების მასობრივი გადინება მოხდა არა დაბომბვების გამო, არამედ მხოლოდ „ეთნიკური წმენდების“ შედეგად.

ლტოლვილთა დაბრუნება შეიძლება გამხდარიყო კოსოვოში შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენის მოწმობა, ამიტომ მოკლე ხანში ნატოს დარტყმები მოვიდა იმათზე, ვისაც ალიანსი „იცავდა“. ამასთან დაკავშირებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვია სწორედ აშშ-ის და ნატოს მოქმედებებმა (Хайден 1999:90), იყო რა მათი მოქმედებების ერთ-ერთი ტაქტიკური მიზანი.

აპრილის შუახანებში ალბანელი ლტოლვილების კოლონა, რომელიც შედგებოდა მანქანების, ტრაქტორების და საზიდარებისგან, ბრუნდებოდა ჯაკოვიცა-პრიზრენის გზით. ის სამგზის დაიბომბა, რის შედეგად 64 ადამიანი დაიღუპა, 20 დაიჭრა. ეს მოხდა დღით 13.30-დან 15.30-მდე. მფრინავებს, რომლებიც სამჯერ წავიდნენ დასაბომბად, რთული წარმოსადგენია ვერ დაენახათ, რომ კოლონა მოქალაქეებისგან შედგებოდა. როგორც შემდგომ ჰააგაში ს. მილოშევიჩი აცხადებდა, ნატო-მ კოლონა იმიტომ დაბომბა, რომ ლტოლვილები თავის სოფელში ბრუნდებოდნენ საპირისპიროდ ნატო-ს კონცეფციისა, ალბანელები გარბიან სერბეთის არმიისა და პოლიციისგან. ნატოში აღიარეს, რომ მათი ბრალია კოლონის დაბომბვა, მაგრამ მანამდე უ. კლარკი ამას სერბებს აბრალებდა.

ერთი თვის შემდეგ მოხდა მეორე მსგავსი ტრაგედია. პრიზრენ-სუვა-რეკის გზაზე ნატოს ავიაციამ დაბომბა კოლონა, შემდგარი რამდენიმე ასეული ალბანელი ლტოლვილისგან, რომლებიც თავის სახლებში სოფელ კორიშაში ბრუნდებოდნენ. ბრიუსელში კვლავ განაცხადეს შეცდომის შესახებ.

რამდენიმე კვირის განმავლობაში დაბომბვების და ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ორმოცდამეათე წლისთავის აღნიშვნის შემდეგ იუგოსლავია ჯერ კიდევ წევდა წინააღმდეგობას. საზოგადოებამ, უმთავრესად, ევროპულმა, თანდათან დაიწყო ომის შეწყვეტის მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით, დაბომბვების ინტენსიურობის გაზრდის და მათი მიმართვისა სამოქალაქო ობიექტებზე, აშშ-მა გადაწყვიტა საქმეში ჩაერთო რუსეთი, რომლის პოზიცია უკვე არ იყო ისეთი ხისტი და ცალსახად უარყოფითი, როგორც ომის დასაწყისში.

14 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა თავის წარმომადგენლად იუგოსლავიასთან დაკავშირებული ვითარების დარეგულირების საკითხებში დანიშნა ვ. ს. ჩერნომირდინი. ბ. კლინტონი თავის მოგონებებში წერს მხოლოდ იმაზე, რომ იმ დღეს მან მიმართა ბ. ნ. ელცინს დახმარებისთვის (**Clinton 2004:955**). მაგრამ თვით ვ. ს. ჩერნომირდინის მემუარების მიხედვით მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე მოითხოვა სწორედ ბ. კლინტონმა (**Черномырдин 2003:206**). იოლია ამას დაეთანხმო, რამეთუ ამერიკელებს უკვე ჰქონდათ ნამუშევარი ვ. ს. ჩერნომირდინთან ამ უკანასკნელის ყოფნისას რუსეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე და იცნობდნენ მას როგორც საკმაოდ ლოიალურ პოლიტიკოსს, ადვილად რომ მიდიოდა დათმობებზე. ბ. კლინტონი არ მოტყუებულა თავის მოლოდინში: ელცინის წარმომადგენელმა აუხსნა სერბებს, რომ რუსეთი არ შევა დავაში დასავლეთთან სერბეთის გამო. რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ რუსეთის დახმარების იმედი, რადგან ის მხოლოდ მიიღებს მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციებში (**Гуськова 2001:682**). გენერალ-პოლკოვნიკმა ლ. გ. ივაშოვმა, რომელიც შედიოდა რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ჯგუფში და მონაწილეობდა მოლაპარაკებებშიც, ვ. ს. ჩერნომირდინის მოქმედებები შემდგომში ღალატად შეაფასა.

5-6 მაისს გერმანიის ქალაქ ბონში შედგა „დიდი რვიანის“ წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც შეიმუშავეს კოსოვოს კრიზისის დარეგულირების პრინციპები, რომელიც შემდგომი მოლაპარაკებების საფუძველი გახდა. ძალადობის შეწყვეტის მიზნით, პოლიციური და გასამხედროებული ძალები გამოყვანილი უნდა ყოფილიყო კოსოვოდან. მხარის მოსახლეობის მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით განიხილებოდა მისი დროებითი ადმინისტრაციის შექმნა

გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც უნდა მიეღო გაეროს უშიშროების საბჭოს. პოლიტიკური დარეგულირების პრინციპებს შორის ასევე იყო პოლიტიკური პროცესის ორგანიზაცია, მიმართული დროებითი ჩარჩო-შეთანხმების ხელმოწერაზე, რომელშიც კოსოვოსთვის გათვალისწინებული იქნებოდა თვითმმართველობის მნიშვნელოვანი ხარისხი, რამბუიეში მომზადებული შეთანხმების სრული გათვალისწინება, აგრეთვე სერბეთის და რეგიონის სხვა ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები და კგა-ს დემილიტარიზაცია.

კოსოვოში უნდა უზრუნველყოთ ყველა ლტოლვილის და გადაადგილებული პირის უსაფრთხო და თავისუფალი დაბრუნება, დაუბრკოლებელი შესვლა ორგანიზაციებისა, რომლებიც ეწევიან ჰუმანიტარულ დახმარებას, გაეროს მიერ მხარდაჭერილი და დამტკიცებული სამოქალაქო პერსონალის და უსაფრთხოების ძალების ეფექტური საერთაშორისო ყოფნა. პოლიტიკური დარეგულირების პრინციპებში ასევე შედიოდა ყოვლისმომცველი მიდგომა კრიზისული რეგიონის ეკონომიკური განვითარების და სტაბილიზაციისადმი. კოსოვოელმა ალბანელებმა უარყვეს მოცემული გეგმა, რადგან ის არ გულისხმობდა კოსოვოს დამოუკიდებლობას.

სამშვიდობო პროცესის მეორე ეტაპი გახდა 18-19 მაისს ჰელსინკში შემდგარი შეხვედრა აშშ-ის წარმომადგენელ ს. ტელბოტს და ვ. ს. ჩერნომირდინს შორის, ევროკავშირის წარმომადგენლის, ფინეთის პრეზიდენტ მარტი ახტისაარის მონაწილეობით. მოლაპარაკებები, ჩატარებული რუსეთი-აშშ-ევროკავშირის ფორმატში დასრულდა იუგოსლავიაში დარეგულირების საკითხზე საერთაშორისო საშუაშაველო სამეულის ჩამოყალიბებით (ჩერნომირდინი-ტელბოტი-ახტისაარი), რომელმაც განაგრძო თავისი კონსულტაციები მოსკოვში 20 და 27 მაისს.

28 მაისს ბელგრადში, ს. მილოშევიჩთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა ვ. ს. ჩერნომირდინი რუსი სამხედრო ექსპერტების თანხლებით, შემდეგ, მ. ახტისაარი. იუგოსლავიის მხარე დათანხმდა სამ პუნქტზე, რომელთა მიმართ ადრე მას უკომპრომისო პოზიცია ეჭირა. ბელგრადი დათანხმდა თავისი საჯარისო და პოლიციური ქვედანაყოფების კოსოვოდან გაყვანას, ამ მხარეში გაეროს მანდატით

საერთაშორისო სამშვიდობო მისიის განლაგებას, მასში ნატოს არსებითი მონაწილეობით და კოსოვოში ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაბრუნებას.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მხარი დაუჭირა სპეციალურ გეგმას გაეგზავნათ კოსოვოში 48 ათასი სამხედრო პირი. მაგრამ ბ. კლინტონის მოგონებების მიხედვით, იმავდროულად დაიწყო არაოფიციალური განხილვა საკითხისა მათი ვადამდელი გაგზავნის შესახებ, თუ გასაგები გახდება, რომ დაბომბვებს არ მოაქვს შედეგი, „ჯარებს რომ არ მოუწიოს გამოზამთრება მთებში“. ამრიგად, აშშ ემზადებოდა სახმელეთო ოპერაციის ჩატარებისთვის, რადგან არ იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ დაბომბვების საშუალებით მიაღწევდა თავისი მოთხოვნების შესრულებას.

მორიგების შედეგად ხელი მოეწერა შეთანხმებას კოსოვოში კრიზისის დარეგულირებისთვის ხელის შეწყობის შესახებ (მშვიდობიანი დარეგულირების გეგმა)³⁸, მიღებულს იუგოსლავიის მთავრობის და მხარდაჭერილს სერბეთის სკუპშჩინას მიერ. 3 ივნისს ვ. ჩერნომირდინი იუგოსლავიის დედაქალაქიდან დაუკავშირდა ტელეფონით ს. ტელბოტს და „დაჟინებით შესთავაზა უახლოეს დღეებში გაეგზავნათ ბელგრადში სამხედროების ჯგუფი რათა იუგოსლავიის და რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად მომხდარიყო კოსოვოსთან დაკავშირებული უკვე მხარდაჭერილი გეგმის რეალიზაცია“ (Гуськова 2001:684). 9 ივნისს იუგოსლავიის და ნატოს წარმომადგენლებმა ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ მაკედონიის ქალაქ კუმანოვოში ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ შეთანხმებას, რის შედეგად 10 ივნისს ხ. სოლანამ გამოაცხადა დაბომბვების შეჩერების შესახებ. იმავე დღეს ბ. კლინტონი გამოვიდა სპეციალური სიტყვით ერისადმი, რომელშიც განაცხადა, რომ იუგოსლავიაში მიღწეულია გამარჯვება უფრო უსაფრთხო მსოფლიოს, ამერიკის დემოკრატიული ღირებულებების და უფრო ძლიერი ამერიკის სახელისთვის.

კუმანოვოში ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, იუგოსლავიის ჯარებს და პოლიციას ეძლეოდა 11 დღე, რათა დაეტოვებინათ მხარე და მათი ადგილი უნდა დაეჭირათ „ძალებს კოსოვოსთვის“. შეთანხმების 1 მუხლით განისაზღვრა 5-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა სერბეთის სიღრმეში სახმელეთო ჯარებისთვის

³⁸ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/1999/649 07.06.1999.

და 25 კილომეტრიანი - სამხედრო საჰაერო ძალებისთვის. „ძალები კოსოვოსთვის“ თავისთავზე იღებდნენ პასუხისმგებლობას იუგოსლავია-ალბანეთის საზღვრის დაცვაზე, შემდეგ კი ეს ფუნქცია უნდა გადაცემოდა გაეროს სამოქალაქო პერსონალს. ამასთან, ძკ-ის ენიჭებოდა მნიშვნელოვანი უფლებები, რომლებიც გავდა „შეთანხმებათა შესრულების ძალების“ უფლებამოსილებას ბოსნია-ჰერცეგოვინაში. ასე მაგალითად, დანართ „ბ“-ს შესაბამისად, „ძალები კოსოვოსთვის“ სარდალს შეეძლო გაეკეთებინა ყველაფერი, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა (სამხედრო ძალის ჩათვლით) ძალების და საერთაშორისო სამოქალაქო მისიის დაცვისთვის. მასში ასევე გათვალისწინებული იყო, რომ „ძალები კოსოვოსთვის“ პერსონალი არ აგებს პასუხს სახელმწიფო ან კერძო საკუთრების იმ დაზიანებებისთვის, რომელიც შეიძლება მიეყენებინა ძალებს თავისი ფუნქციების შესრულებისას.

„ძალებს კოსოვოსთვის“ უფლება ჰქონდა გაეკონტროლებინა და უზრუნველყო შეთანხმების შესრულება, დროულად მოეხდინა რეაგირება ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებაზე, აგრეთვე, აღედგინა შეთანხმებების დაცვა, საჭირო შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებით. ის ასევე უფლებამოსილი იყო გაეკონტროლებინა და მოეხდინა ინსპექტირება ნებისმიერი ობიექტისა თუ საქმიანობის სახეობისა კოსოვოში, რომლებიც გავლენას ახდენენ ან კავშირში იყვნენ შეთანხმების შესრულებასთან და ძალების სარდალი ჩათვლიდა ძალების კომპეტენციად. „ძალებს კოსოვოსთვის“ უნდა უზრუნველყო იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გამოყვანა კოსოვოდან, და იმ პერსონალის დაბრუნება, რომელსაც იუგოსლავია აგზავნიდა კონფლიქტის გადაჭრაში მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციების დასახმარებლად. მათ ფუნქციებში ასევე შედიოდა კავშირების დამყარება კოსოვოს ადგილობრივ ხელისუფლებასა და იუგოსლავიის/სერბეთის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებებს შორის.

კუმანოვოში მიღწეული შეთანხმებების შემდეგ, 1999 წლის 10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო № 1244 რეზოლუცია კოსოვოს საკითხზე. ის, ელენა გუსკოვას სიტყვებით, გახდა გაეროს დეგრადაციის მაჩვენებელი, დოკუმენტის მთავარი ნაკლი კი იყო ნატოს მოქმედებების გამართლება და ამავე დროს იუგოსლავიის დაგმობა. კონფლიქტის დარეგულირებაში და უსაფრთხოების

მხარდასაჭერად საერთაშორისო მისიების ყოფნის განსაზღვრაში, დოკუმენტში გამოყოფილია ნატოს პრიორიტეტი თვით გაეროს, აგრეთვე მისი ადმინისტრაციული, ჰუმანიტარული და საფინანსო დაწესებულებების მიმართ. რეზოლუციაში არა მარტო უპირობოდ იყო აღიარებული, რომ კოსოვო არის იუგოსლავიის განუყოფელი ნაწილი, არამედ საუბარი იყო გაეროს ზომების დროებით ხასიათზე. როგორც დრომ აჩვენა, ეს მხოლოდ დეკლარაცია იყო. უშიშროების საბჭომ იუგოსლავიას მოსთხოვა დაუყონებლივ შეეწყვიტა ძალადობა და რეპრესიები კოსოვოში და დაეწყო იქიდან ყველა თავისი სამხედრო, პოლიციური და გასამხედროებელი ძალების ეტაპობრივად გამოყვანა დაჩქარებული გრაფიკის შესაბამისად, რომელთანაც სინქრონული იქნებოდა კოსოვოში უსაფრთხოებისთვის საერთაშორისო ძალების განთავსება³⁹. კვა-ს, აგრეთვე „კოსოვოელი ალბანელების სხვა შეიარაღებულ ჯგუფებისგან“ უშიშროების საბჭომ მოითხოვა „შეეწყვიტათ ყველა შეტევითი მოქმედება და შეესრულებინათ დემილიტარიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები“.

რეზოლუციის თანახმად, იუგოსლავიის ძალოვანი ქვედანაყოფები უნდა იქნან გამოყვანილი მხარიდან, რის შემდეგ, იუგოსლავიის და სერბეთის სამხედრო და პოლიციური პერსონალის გარკვეულ რაოდენობას მიეცემა კოსოვოში დაბრუნების ნება. მოცემული პერსონალის ფუნქციებში შედიოდა დანაღმული მინდვრების აღნიშვნა და განაღმვა, სერბეთის სიწმინდეების დაცვა, აგრეთვე სამსახური საკვანძო სასაზღვრო საგუშაგოებზე. პერსონალს უნდა ჰქონოდა კავშირი საერთაშორისო სამოქალაქო მისიასთან და უსაფრთხოების საერთაშორისო ძალებთან. როგორც ჩანს, სერბული პერსონალის ფუნქციები, ფაქტობრივად კი ოფიციალური ბელგრადის წარმომადგენლობა კოსოვოში იყო მცირერიცხოვანი და ატარებდა დამხმარე ხასიათს. კონტროლი იუგოსლავიის ამ ნაწილზე ევალებოდა „ძალებს კოსოვოსთვის“, რომლის ხელმძღვანელი როლი ჰქონდა ნატო-ს.

კოსოვოში გაეროს ეგიდით უნდა ყოფილიყო განლაგებული საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობა და უსაფრთხოების საერთაშორისო წარმომადგენლობა სათანადო პერსონალით და აღჭურვილობით, რომლებიც

³⁹ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N 1244 10.06.1999.

იქნებოდნენ თავდაპირველი 12-თვიანი ვადით, შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით, თუ უშიშროების საბჭო არ მიიღებდა სხვა გადაწყვეტილებას.

უსაფრთხოების საერთაშორისო წარმომადგენლობა მოწოდებული იყო თავიდან აეცილებინა საბრძოლო მოქმედებების განახლება, მხარი დაეჭირა და სადაც საჭირო იქნებოდა, უზრუნველყო ცეცხლის შეწყვეტა. მას ეკისრებოდა კგა-ს და კოსოვოელი ალბანელების სხვა შეიარაღებული ჯგუფების დემილიტარიზაციის, აგრეთვე კოსოვოდან საკავშირო და რესპუბლიკური სამხედრო, პოლიციური და გასამხედროებული ძალების გამოყვანის და უკან არ დაშვების ფუნქცია (გარდა ნებადართული შემთხვევებისა). უსაფრთხოების საერთაშორისო წარმომადგენლობას უნდა შეექმნა შესაბამისი პირობები თავის სახლებში ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობის ფუნქციონირების, გარდამავალი ადმინისტრაციის შექმნის და ჰუმანიტარული დახმარების მოწოდების.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველყოფა, განაღმვაზე ზედამხედველობა შედიოდა უსაფრთხოების საერთაშორისო წამომადგენლობის ამოცანებში მანამ, სანამ საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობა არ შეძლებდა თავისთავზე აელო პასუხისმგებლობა ამ ფუნქციების შესრულებაზე. უსაფრთხოების საერთაშორისო წარმომადგენლობას ასევე ევალებოდა საჭიროების შემთხვევაში სასაზღვრო კონტროლის განხორციელება, თავისი ძალების, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, საჭიროებისას, საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობის მხარდაჭერა და მჭიდრო კოორდინაცია მასთან.

საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობა კოსოვოში უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად, ფუნქციონირებდა კოსოვოსთვის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის მიზნით, რამეთუ მისი მმართველობის ქვეშ მხარის მოსახლეობა შეძლებდა გამოეყენებინა არსებითი ავტონომია იუგოსლავიის ფარგლებში. დროებით ადმინისტრაცია უნდა ყოფილიყო გარდამავალი ადმინისტრაცია, რომელიც იმავდროულად შექმნიდა და გააკონტროლებდა თვითმმართველობის დროებითი

ორგანოების განვითარებას, რათა შექმნილიყო პირობები კოსოვოს ყველა მოსახლის მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრებისთვის.

საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობის მოვალეობაში შედიოდა სიტუაციის საბოლოო დარეგულირებამდე, კოსოვოში არსებითი ავტონომიის და თვითმმართველობის დამყარების ხელშეწყობა, ასევე ძირითადი სამოქალაქო ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება. საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობას ევალებოდა დემოკრატიული და ავტონომიური თვითმმართველობის დროებითი ინსტიტუტების განვითარების ორგანიზაცია და კონტროლი სიტუაციის პოლიტიკური დარეგულირების მიღწევამდე, მათ შორის არჩევნების ჩატარება, დახმარება ინფრასტრუქტურის საკვანძო და სხვა ეკონომიკური ობიექტების აღდგენაში, ჰუმანიტარული და საგანგებო დახმარების უზრუნველყოფა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან კოორდინაციაში.

